

ISSN 0182-599 X

საქართველოს  
ზოოლოგიური

# ბუნების



# 12

---

1986



# პენთონი

ქართული  
მწერთა კავშირი

ქვეყნის მწერთა კავშირის ლიტერატურულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წილი 62-ე

№ 12

დეკემბერი, 1986 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

### პროზა, პოეზია

თინათინ ბაგრატიანი — შინაარსი პოეზია ანუ მსიხიველი ჩანაწერები (მეორე წიგნიდან)	3
ლალა სულაბერიძე — ლექსები	9
მედიკ ნინოიძე — ლექსები	13
მისიველ ანთაძე — მოთხრობები	17
ზურაბ ლორთქიფანიძე — ლექსები	41
ოთარ ზალაზიანი — ლექსები	43
გონა კობახიძე — უფრო მაღალი ცა (ნაწყვეტი პოეზიანი)	47
დათო მარაძე — ლექსები	51
ოთარ ჯარაღიანი — ზღაპრები მრავალ ბაღში. მოთხრობა. დასასრული	54

### ჩვენი მივლინებით

აკაკი ბაღვაშიანი — ნაბიჯი. ნარკვევი	86
-------------------------------------	----

### 150 ილია ჭავჭავაძე 150

მედიკ ბაგრატიანი — ილია და იროვნულ-სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოძრაობის თავისებურებანი	94
--	----

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

გივი მალაზიანი — ოტის პაპაიანი	105
ჯანსუღ ლინჯილია — მთლიანობის განცდა	116
სულხან მორჩილი — ერთნი ვართ, ერთი გვიწოდებს სათავე	121
ჯორჯო ბარბაქაძე, აპოლონ ტანაია — ტინდორის კრიტიკის გავლა	130

### მომგონებები, ფაქტები

დავით ჩხიკვიანი — ნიკო მუსხილიშვილის იუმორი	141
---	-----

(მ. მეორე გვერდი)



**მეხნიერება**

ლიანა დავლიანიძე — „უფალი“ და „უფალთა უფალი“ ალბი შემადგენელი ნაწარმი  
სომხურ სისტორიის მწიგნობარში . . . . . 148

თამარ ციციშვილი — შ. არაგვისპირაელის შემოქმედების კრიტიკული აღება . . . . . 152

**გამოსათხოვარი**

ზაზუნა ამირაშვილი — ნათელი სიცოცხლე . . . . . 159  
 გურამ კვიციანიძე — გამოსათხოვარი მწიგნობარი და გამოსათხოვარი . . . . . 160  
 ლადო სულაბერიძე — ზაზა მარადისოებისათვის . . . . . 161  
 ლევა თაბუკაშვილი — წინოგრიბი გაბაღითი . . . . . 162

**წიგნების მიმოხილვა**

ამირან ასანიძე, დენის დგახუაძე — ბ. ლომიძის რჩეული ლირიკა უკანონოდ 163  
 ივანე ამირხანაშვილი — მართალი წიგნი . . . . . 164  
 ზაზა სინაბერიძე — „მე ვარ ზარის ხმა უღებნოში“ . . . . . 167  
 რეალიზა  
 ნანა მამუკაშვილი — ერთი მცდელობა რევიზიის გამო . . . . . 169  
 თრეკალ „მნათობის“ 1986 წლის ნომერების შინაარსი . . . . . 173

**შთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაშვილი**

**ხარედაქციო კოლეგია:**

- პრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამფუხაელი, მ. გერქანიშვილი, ალ. გო-  
 შიუაშვილი, ბ. დოხანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლიბანიძე,  
 ე. მალარაძე, ლ. მრეღაშვილი, ბ. ნატროშვილი, რ. კატარაძე, ჯ. ნა-  
 ტკვიანი, ნ. წულუბერიძე, ი. შილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი)  
 რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.



გამოჩენილ ქართველ მწერალს, მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს — თენგიზ ბუაჩიძეს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. ყურნალ „მნათობის“ კოლექტივი, სახელმწიფო კოლეჯია მრავალთმისიან მკითხველთან ერთად ულოცავენ ძვირფას იუბილარს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებენ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ მოღვაწეობას ქართული მწერლობისა და მეცნიერების დიდ გზაზე.

თენგიზ ბუაჩიძე

## მცირე პროზა ანუ უსეისტური ჩანაწერები

(მეორე წიგნიდან)

### ზამთრის პირი

ზამთრის პირი — წლის დასასრული.

ნოემბრის ცივი მზე. ჰირბლით გაქლარავებული ქალაქის უსწორმასწორო შემოგარენი. ჰირბლი სახურავებზე. თხელი ყინულით გატკიცინებული მცირე გუბეები.

სიციხის დაბრუნების სურვილი მაშინ, როცა სიციხით შექირვებული ყოფა გვაიწყდება.

საკუთარი არსებობისადმი ადამიანის უმადურობა ცნობილია, უმადურობა იმ წუთისადმი, ახლა რომ დგას, სინანულით გახსენება იმ წუთისა, წარსულში რომ დარჩა, იმედი მომავლის წუთისა.

თუ ადამიანი მოქმედია, უმადურობა ენერჯის სათავეა — განუქვრებილი მომავლისაგან სწრაფვა მოქმედების სურვილს ბადებს.

ზამთრის პირს თავისი მშვენება აქვს. დროებით გაწონასწორებული ბუნება თითქოს ყოყმანობს, კიდევ ერთი თბილი დღე მოგვანიჭოს, თუ უკანმოუხედავად გადაეშვას სიცივის შორეულში.

ადამიანიც გაწონასწორებულია. მისი

სულის ამინდი ცოტა ხნით მაინც მყარია. მყარია, მაგრამ თავისებურად: შეჯამებას მეტი ადგილი უჭირავს, ვიდრე მომავლის გეგმვას.

ზამთრის პირი.

ფოთოლგაცილი ხეები მგლოვიარე ასულებივით ატუბულან.

ჭერჭერობით გარეთ უფრო თბილა, ვიდრე შინ.

ამინდით გამოწვეული უმადურობა აბსურდია. ხნოვანებით გამოწვეულიც — აგრეთვე.

ადამიანი ბოლოს და ბოლოს ბუნებასთან რჩება.

ბრბოშიც რომ იდგეს, ცას მაინც დაინახავს.

ესეც საკმარისია პიროვნული თავისუფლების განსაცდელად.

ბუნებისაგან განცალკევებული ადამიანი უბედური უნდა იყოს; თუმცა შეიძლება, ვერც მიხვდეს ამას.

ბუნების მხოლოდ მომხმარებლური აღქმა მისგან განცალკევებას ნიშნავს.

ბუნება თავისთავადია, ის ისეთია, როგორც არის.

ადამიანთა უმრავლესობა არ არის

თავისთავადი, ხშირად მსგავსი მსგავსზე მოქმედებს.

ბუნებაში არაფერია მოჩვენებითი, ყოველ გამოვლინებაში ის თავის არსს გამოხატავს.

ადამიანში ბევრია მოჩვენებითი — ნამდვილის იმიტაცია.

ადამიანის მოქმედებას მიზანი განაპირობებს და ამდენად — ასუბიექტურებს.

ბუნებას მიზანი არ გააჩნია — ის არის, რაც არის.

მაგრამ ადამიანი ხომ ბუნების ნაყოფია?

წინათ ვარაუდობდნენ, ბუნების მიზანი ადამიანის შექმნა იყო. საეჭვოა. შედეგი რომ არაბუნებრივი გამოუვიდა?! შეიძლებოდა კი, ბუნებას

თავისი მომსპობის შექმნა. კჰონოდა მიზნად?

იქნებ აქ დიალექტიკა უნდა ღრმად ვიდრე ჩემი გონება სწვდება?

ზამთრის პირი მშვენიერია.

ბუნება გაწონასწორებულია...

ზომიერი ყინვა გაუსხავს და გაჯანმრთელებს.

არც არაფერს აჯამებ და არც არაფერს გაგმავ.

არსებობის თვით ეს წუთია მშვენიერი. ბუნების მძლავრ მკლავებში ყოფნა მშვენიერი, რაც შენი შინაგანი თავისუფლების უტყუარი საწინდარია.

ჩანს, მაინც ბუნების ნაყოფი ვართ, რადგან მხოლოდ მასში უშუალოდ ყოფნა გვანიჭებს ჩვენი არსებობის ქვემაროტ ბედნიერებას.

## წინასიტყვი

ძველ ფოტოებს აქვთ რაღაც დაუძლეველი მიზიდულობა, დღეს უკვე აუხსნელი იდუმალება.

ამ ფოტოზე გამოსახულია თეთრჩოხიანი ოცდახუთიოდე წლის კაცი, წინ რომ სატყვარი ჰქონდა, გვერდზე კი — ძველებური გრძელლულიანი დამბაჩა. მის მხარდამხარ დგას თეთრმანდილიანი და თეთრკანიანი ყმაწვილი ქალი, მარცხენა ხელი კაცისთვის მკლავში რომ ჩაუვლია.

სურათი საკმაოდ გახუნებულია, მაგრამ მასზე აღბეჭდილთა იერში მაინც ნათლად იკითხება მშვიდი და ერთგვარად საზეიმო განწყობილება, საქორწილო ფოტოს გადაღების იმ წუთს, უკვე მომხდარ ამბებს თუ მოსახდენ სიკეთეთა მოლოდინს რომ მიუნიჭებია მათთვის.

ცხოვრების ცალკეული მონაკვეთის გავლენა ზოგჯერ იმგვარია, რომ ადამიანს განვლილ ღირთათმენასაც ავიწყებს და მომავალსაც ვარდისფრად უსახავს. ეს ხდება ძირითადად მაშინ, როცა პიროვნება გრძნობს, რომ მის ცხოვრებაში ძირეული გარდატეხა ხდე-

ბა და იწყება არსებობის ახალი ხანა.

ნორმალური სულიერი წყობის ადამიანი გაუცნობიერებლადაც კი ილტვის ამგვარი წუთებისაკენ. მაშინ ის გრძნობს საკუთარი არსებობის სისაყსესა და აუცილებლობას. ქვემაროტი ბედნიერების განცდა ეს არის და არა მხოლოდ მოულოდნელი სიხარულით აყვილებული სწრაფწარმავალი წამი.

ბედნიერების ღრმად და სრულად განცდის უნარი ხასიათის სხვა თვისებებთან ერთად თან დაპყვება ადამიანს. მაგრამ ბევრია ამ უნარს მოკლებული. ქვემაროტი, სიღრმისეული განცდის მაგივრად ხდება შეგნებული თუ შეუგნებელი იმიტაცია, ისეთივე ზედაპირული, როგორც ყოველგვარი იმიტაციაა. ამგვართათვის უბედურების ნამდვილი განცდაც უტბოა, რადგან პირველის არსებობა მეორესაც აპირობებს.

აი, გაცოცხლდა სურათი. ამოძრავდნენ და ჩარჩოდან გადმოვიდნენ ისინი, დინჯად განვლეს მანძილი მაგიდასთან მდგარ ძველებურ სკამებამდე და ჩამოსხდნენ. დარჩა ცარიელი შავგულიანი ჩარჩო.



ჩემი სურვილით რახან ისინი გავაცოცხლე, სურათის ჩარჩოდან გადმოვიყვანე და სკამებზე დავსხი, უნდა განვეშხადო კიდევ მათი ცხოვრების აღსაწერად, სული მოვითქვა, ღონე მოვიყრიბო, ხსოვნა დავძაბო, წარმოდგენა გავიმახვილო და შევეუდგე...

მაგრამ — მცირე პაუზა.

ჩაიარა მშვიდმა და ერთგვარად საზეიმო განწყობილების წამმა. საქორწილო ღვინო მიიწურა და დაიწყო ყოველდღიური ყოფა, აღსავსე ყველაფერი იმით, რითაც აღსავსეა ადამიანური ცხოვრება.

მათ ჯერ არ იციან, რომ შვიდ შვილს გააჩენენ, რომ ახალგაზრდა კაცი ვერც კი მოასწრებს დახნოვანებას, ისე მოულოდნელად შეეწირება წუთისოფლის ბრუნვას, რომ ყმაწვილი ქვრივის სუსტსა და მაინც ყველაფრის ამტან ქედს წისკვილის ქვასავით დააწეება შვიდი შვილის რჩენა, აღზრდა, ცხოვრებაში გამოყვანა, მათი მოსალოდნელი ბედნიერების თუ უბედურების, სიხარულისა თუ ტრაგედიის ქეშმარიტად სიღრმისეული განცდა, ნებისყოფით გადატანა და ხსოვნით არდავიწყება და ბოლოს — გულხელდაკრეფა, ნაჯაფი და დაღლილი ხელების საბოლოო მოსვენება, ნატანჯი და დაღლილი გულის უკანასკნელი აძვრება, ამ ცხოვრებისეული ტყბილ-მწარე ჰაერის ბოლო ამოსუნთქვა სწორედ მაშინ, როცა დიდი ხნის ნანატრი სიხარული, სევდანარევი, მაგრამ მაინც სიხარული ელის, მის ცხოვრებას რომ ამართლებს, მის ნაშვირთ რომ ასპეტაკებს, სიკეთეს ბურტყებზე რომ ამარჯვებინებს...

ისევ ჩემი ნება-სურვილით, რათა მათი ბედნიერებისა და არსებობის სიასვისის ის ერთი წამი გამეგრძელებინა, ახალგაზრდა კაცმა და ქალმა კვლავ დინჯი ნაბიჯით განველო მცირე მანძილი სურათის ჩარჩომდე, კვლავ შვეილენ მის გულში, შემობრუნდნენ და

იმავე იერითა და იმავე პოზიით მოგვევლინენ. მათ სახეებზე შემყურე ყვე ერთგვარად საზეიმო განწყობისა... მათ ჯერ არაფერი იციან მომავლისა...

მშვიდი და ერთგვარი საზეიმო განწყობილება. ვაკვირდები მათ სახეებს და ვცდილობ ამოვხსნა — ვინ, რომელმა მათგანმა გადასცა შვილებს, ყველა ნაშვირს, ხასიათის უდრეკელობა, დარდისა და ჰიროს მხოლოდ შრომით, თავდავიწყებამდე მისული გარჯით განქარების უნარი და დაუძლეველი რწმენა ხვალისა, თუმცა ის „ხვალე“, მათივე მიწიერი გუმანით განჭვრეტილი, იგივე იქნება, რაც იყო „გუშინ“, რაც არის „დღეს“ — ყოველთვის თავიდან დაწყებული, შეუწყველებელი და დაუსრულებელი ჰიდილი, გამართულად ფეხზე დგომისა და შეგნებული შეუპოვრობის აუცილებლობა, რათა თვით დამკვიდრდნენ მხოლოდ იმ მიზნით, რომ გადარჩნენ მათგანვე შობილნი, გარს რომ ახვევიან და რაღაც ამოუცნობი ბუნების ძალით ისევე ესწრაფვიან მათკენ, როგორადაც ისწრაფვიან მათგან.

წინაპრები.

აი, ამ ერთი წამის — მათი ჩარჩოდან გამოსვლასა და ისევ ჩარჩოში დაბრუნებას შორის გაფრენილი ერთი წამის, მათ ცხოვრებაში ავტორის შექრისა და მათი ყოფის ავტორისეული ათვისების დასაბამს რომ სდებს — იმ ერთი წამის დაუფლება მოითხოვს უდიდეს სულიერ დამაბუვას, მძიმე ფიზიკურ ძალისხმევას, გონებისა და გრძნობის უჩვეულო გამახვილებას, როცა შენ ერთმა უნდა დაიკავო მათი, მრავალის, ადგილი, გაითავისო მათი სული, კაცი იქნება თუ ქალი, იცხოვრო მათი ცხოვრებით, იგრძნო მათი სხეული, ვითარცა შენი, დაეუფლო მათ წარსულს, მიჰყვე მათ გზას, ვითარცა შენსას და ისე აზიდო ეს ტვირთი, რომ არავინ

მიხედვს შენს გარდასახვას, არავინ იგ-  
რძნოს ოდნავი სიყალბე, სრულად გაი-  
თქვიფო მათში, მათ სინამდვილეში და,  
იმავე დროს, დარჩე კვლავ ყველაფრის  
გამთვალისწინებელ, შემოწმებელ, გა-

ნმკერტ, მიმხედრ, და გულდრეწად  
აღმწესხველ სხვა პირებზე და  
ქველ ფოტოებს აქვთ რაღაც დაუძ-  
ლეველი მიზიდულობა, დღეს უკვე  
აუხსნელი იდუმალება...

### პირველი შთაბეჭდილება

ბავშვური შემეცნება ანუ შემეცნე-  
ბის სულ პირველი, დასაწყისი ეტაპი,  
როცა შთაბეჭდილებანი გონების ჯერ  
კიდევ წმინდა დაფაზე ამ გონების თი-  
თქმის ჩაურევლად ფიქსირდება, მკვე-  
თრად უნდა განსხვავდებოდეს მორბ-  
დილის შემეცნებისაგან.

ორი-სამი წლის ბავშვი თითქმის არა-  
ვითარ ყურადღებას არ აქცევს მისთვის  
უშნიშვნელო საგნებს — მზეს, მთას,  
სახლს, ხიდს, გზას... მისი ყურადღების  
ცენტრშია ძირითადად ის, რაც მოძრა-  
ობს: ადამიანი, ცხოველი, მწერი, ქარი,  
წყალი, ბურთი, მანქანა, საკუთარი ხელი  
და ფეხი; რაც მის ყურთასმენას სწვდე-  
ბა: ბლავილი, ყეფა, ქრიალი, კნავილი,  
სიმღერა, სიცილი, შრიალი, გრგვინვა...

ახლა ყველაფერ ამას, ბუნებრივია,  
ძლივს ვიხსენებ, მხოლოდ მაშინ, რო-  
ცა ძალას ვატან გონების, ხსოვნის ერთ  
შორეულ კუნძულში მიმალულ, მიფე-  
რფლილ, მივიწყებულ, თითქმის გამქ-  
რალ შთაბეჭდილებებზე, გადაბრუნე-  
ბული პირამიდის ძირში რომა და ზე-  
მოდან უამრავ შემდგომ შთაბეჭდილე-  
ბათა ტვირთი რომ აწევს.

გაუცნობიერებელი, ბუნდოვანი ში-  
შით იწყება ჩემი მახსოვრობა.

დღეა ოთახიდან გავიდა. რაღაც ინს-  
ტინქტური ხიფათის გრძნობით თუ მო-  
ლოდინით ვივსები. განა ვიცი, რომ  
დღეა დედა, მხოლოდ ვგრძნობ — მი-  
სი ხელები, თითები სულ მეფერება,  
სიამოვნებას მანიჭებს, ოდნავი უბერ-  
ხულობისაგანაც კი მათავისუფლებს,  
მეალერსება, ნეტარებას მგვრის, შიშს  
მიქრობს; ყველა ხმისაგან გამორჩეუ-  
ლი მისი ხმა უცბადვე მამშვიდებს, შე-  
უგნებელი სიხარულით მავსებს, შიშს

მიცვლის სულ სხვა, რაღაც სიმყუდრო-  
ვის, უსაფრთხოების, სიამოვნების  
სხეულებრივი განცდით. როცა ჩემს  
გვერდით ზის და არც მეხება, მაინც  
ვგრძნობ ფიზიკურად — ყნოსვით, გუ-  
მანით, მის სუნთქვას ვარჩევ ყველა  
სხვის სუნთქვისაგან, ჩემი სხეულის  
უმეტესად დაჭიმული კუნთები თავი-  
სუფლდება, სანეტარო სიმსუბუქეს  
ვგრძნობ და ამგვარ ვითარებაში ალბათ  
ყოველთვის ძილს ვეძლევი...

ვიძინებ მშვიდად, მაგრამ ვიღვიძებ  
ყოველთვის შიშის განცდით — აჰ,  
ჩემთან, ჩემს გვერდით არის თუ არა  
ის არსება, ვის ყოფნასაც წამსვე ვიგ-  
რძნობ... თუ არ არის, ჩემდაუნებურად  
ვტირი, ვლრიალებ და საკმარისია დიდ  
ხანს არ გამოჩნდეს (დიდ ხანს ჩემი  
ტირილისათვის, თორემ დროის შეგ-  
რძნება, ცხადია არ გამაჩნია), ვდუმდე-  
ბი, სხეულის, სმენისა და მზერის ყუ-  
რადღება რაღაც სხვა საგანზე გადაი-  
რთვება: ხან ჩრდილების მოძრაობაზე,  
ხან ფარდის რხევაზე, ხან შორიახლო  
მოძრავ რაღაც საგანზე. ვილაც სხვების  
სიარულს, შემოსვლა-გასვლას, საუბარს,  
ვესტიკულაციას ვგრძნობ, ვხედავ, მე-  
სმის, მაგრამ მაინც ჩუმად ვარ. საკმა-  
რისია ის გამოჩნდეს, ნაწყენი ვლრია-  
ლებ, რომ ამდენ ხანს მაკლდა ნეტა-  
რება, ფიზიკური სიმშვიდე, ინსტინქ-  
ტური შეგნება უსაფრთხოებისა და, ამ-  
დენად, სიამოვნებისა, მისი აბლოს ყო-  
ფნა რომ მანიჭებს.

პირველი ჩემი გაუცნობიერებელი  
ხსოვნის ფრაგმენტები ალბათ ორი,  
ორნახევარი წლიდან იწყება. უკვე და-  
ვიდვიარ, ხშირად ვეცემი, მაგრამ მაინც  
თავჩარგული დავდივარ — ფეხებს ვა-



კვირდები, მათი მოძრაობა მიტაცებს. სულ წინ მიდიან ფეხები, თავისით, თითქოს ჩემი სურვილის გარეშე, სულ წინ მოძრაობენ, ამიტომ სათითაოდ ვხედავ და არასდროს ერთად. აი, ერთმა გამოჰყო თავი საიდანაც, იმ წამს მეორეც მოსდევს, მაგრამ ვერ ეწევა, პირველი უკვე წინ წავიდა, შემდეგ კვლავ ის, კვლავ მეორე, კვლავ ის და რალაცას ვეჭახები, ვეცემი და ვლრი-ალებ...

ფეხები მეტად საინტერესო დაკვირვების საგანია. დრო რომ გადის, მთელი ყურადღება უკვე უფრო საგულისხმო ობიექტზე — ხელეზე გადადის. ფეხები მავიწყდება, ისინი თავისთავად, უჩემოდ არსებობენ. ხელებს უფრო მეტი შეუძლიათ, საოცრად ბევრი რამ შეუძლიათ და მათ შესაძლებლობათა გამუდმებულ ძიებაში ვარ...

ახლა კი კარგად ვიცი, რომ ხელზე უკეთესი, ხელზე უფრო უნივერსალური ინსტრუმენტი ჯერ არ შექმნილა, ჯერ არ გამოგონილა. ვფიქრობ, ვერც ვერასოდეს გამოიგონებენ. იმიტომ, რომ ხელი გონიერი ინსტრუმენტია, გონიერი იარაღია, უშუალოდ დაკავშირებული ადამიანის გონებრივ-გრძნობით სამყაროსთან, ბავშვობაში — უფრო მეტად ალბათ გრძნობით სამყაროსთან, გაუცნობიერებელ ინსტი-ნქტთან, როცა ხელი იღებს, თავისკენ ეზიდება, ითავისებს საგნებს. მაშინ ხელს ეს უფრო შეუძლია, ვიდრე ვა-ცემა, მიწოდება, გასხვისება...

არ ვიცი, რამდენი წლის ვარ — სა-მის, ოთხის? სოფელში ჩამიყვანეს, დედულეთში, ბაბუასთან. მახსოვს მისი გრძელი თითები და ორივე ნეკზე უზ-რძესი თეთრი ფრჩხილი. ერთ ცხელ დღეს ბაბუა დაკეცილ გაზეთს მაწვდის და პირობას მიდებს: რამდენ ბუზს მოვ-კლავ, იმდენ ზღაპარს მიამბობს დაძი-ნებისას. ორივე მოგებულში დავრჩე-ბით. მაშინ ცხაღია, შემეცნებული არა მაქვს, მაგრამ უკვე არაერთი პირადი მაგალითით ვიცი, რომ სიამოვნებას წინ უნდა უძღოდეს რალაც აუცილე-

ბელი შრომა-გარჯა. თუმცა, ამჯერად დავალება თამაშად — სიმჩქნუნეში — გადამეჭყა: მთელი დღე მსჭვანვენი და თავდავიწყებით ვუტყაპუნებ უკვე დაძინებულ გაზეთს. დაძინების წინ ველარ ვასწრებ დაპირებული სიამოვნების ბოლომდე განცდას: როგორც კი ბაბუა იწყებს — „იყო და არა იყო რა“ — უკვე მძინავს. სიამოვნების მო-ლოდინი უფრო მთავარი აღმოჩნდა, ვიდრე მისი დადგომის წამი...

ღილით ეზოში დავრბივარ. გუშინ თავი გადამხობტრეს და სანამ მზე მაგ-რად დაჰქერს (მერე აღარ გამიშვე-ბენ), ესარგებლობ: ხან მგელს ვთამა-შობ, ხან — კრავს. ბუჩქის ძირას ჩავ-ცუცქდი და უცებ თავზე რალაცამ სას-ტიკად მიკბინა. ვიწივლე, თავზე ხელი ვიტაცე — ხელს მსხვილი ბზიკი ჩა-მოჰყვა. „რა მოგივიდა, ბიჭო?“ — აი-ვანზე ბაბუა გადმოიმდგარა. „ბზიკმა მი-კბინა!“ — ვლრიალებ. წამის დაყოვნე-ბით ბაბუა კიბეზე ჩამორბის და თავის ძველებურ ხმაღს მოაბრიგინებს, ზა-ლაში კედლის ნოხზე უქმად რომ უკი-ღია. ხმალი ქარქაშიდან ამოასრიალა, თავზე ყურადღებით დამხედა და ნაკ-ბენ ადგილზე ბასრი პირით ისე გადა-მისვა, ძლივს ვიგრძენი. „ნესტარს ამო-აგდებს, აღარ გაგისივდება“, — მეუბ-ნება ბაბუა. მე ვჭვითინებ...

ახლა კი ღიმილს მგერის უჩვეულო სურათი: მტრიალი შვილიშვილი ბუჩ-ქთან ჩაცუცქულა და ხმაღამოლებული ბაბუა თავს ადგას. ნუთუ ყოველგვარი იარაღი სიკეთის იარაღიცაა?

ყოველ შემთხვევაში, ხსოვნა სიკე-თის იარაღია, ანდა, უნდა იყოს. ბო-როტებად ქცეული ხსოვნა თვით ხსო-ვნის მტერია, ამდენად, ადამიანობის მტერია. ასეა თუ ისე, მხოლოდ სასი-კეთოდ უნდა განგაწყოს დაუბრუნე-ბელმა, ნეტარხსენებულმა და გაუმქ-რალმა პირველმა შთაბეჭდილებებმა, რომლებიც, ვინ იცის, უკანასკნელიც კი გახდეს იმ ერთ წამს, როცა ბოლო



ზარი ჩამორეკავს იმის მალევედღა, რომ, როგორც შენამდე იყო, აწ და მა-

რადის ცხოვრება გაგრძელდება უშე-  
ერტყნულ  
ზიზღიროვნებას

### ადამიანი, შენ, მე, ის...

ადამიანები ძმები არიან, მაგრამ ამას ვერ ვერ მიმხვდარან.

სინდისი სულის პასპორტია.

სხვათა შორის, ფიქრი ყოველთვისაა საჭირო, ფიქრი, დაფიქრება, განსჯა. განუსჯელად პირუტყვი ცხოვრობს. ხშირად მიფიქრია: ნუ ენდობი ხალხს, რომელთაც არაფერი არ აღელვებთ, მათ ნახევარი ადამიანობა დაკარგული აქვთ.

თეორიულად ხომ ვიცოდი და ახლა პრაქტიკულად განვიცადე: ნამდვილად ბედნიერი არიან ისინი, ვინც ძნელად ცხოვრობს.

შემთხვევითი სინათლე ცხოვრებაში მოულოდნელი, მაგრამ წარმავალი ბედნიერებაა. კანონზომიერს, ამდენად დამსახურებულს, უნდა ელოდო.

რა ადამიანურია ის ადამიანი, თავს რომ არ იკავებს, ამბობს იმას, რასაც ფიქრობს, ისე მოქმედებს, როგორც შინაგანად ემოქმედება და არასოდეს არ თამაშობს ცხოვრების სცენაზე. ადამიანის როლი ერთი და უცვლელია: ადამიანად დარჩე ყველა პირობებში. ნამდვილ ადამიანებს ვგულისხმობ.

მადლობას ვუხდის ცხოვრებას მოყვნიებული ტყვილისათვის, ეს რომ არ იყოს, განა არსებობას ვიგრძნობდით? მადლობა ამ ხეებს, ჩემს შემდეგაც რომ იქნებიან.

სულიერების კულტი უდიდესი კულტია, ნდობის — არანაკლები.

იყო დრო, როცა ამაზე არ გვიფიქრია: წლები მიდიან და ჩვენც მივდივართ, ყველაფერი პატარებს უნდა ვა-

ჩუქთ. ესაა ჩვენი ბედნიერება, სხვა არაფერი.

რა ჩქარა ვბერდებით, მეგობრებო!

ცხოვრებას ჰქვია მდინარე. იგი თანდათან გვერევა, გვჯობნის, თუმცა საბოლოოდ ჩვენ მას არც ვებრძვით და არც ვეწინააღმდეგებით — მივყვებით. გიყვარდეთ ერთმანეთი, სანამ ცოცხლები ვართ, მერმე — არაფერია.

ჩვენი ცხოვრება მხოლოდ სხვათა სიცოცხლის დასაწყისია. ნუ იბერები და ნუ იმუქრები — რად გინდა, სიცოცხლე მოისწრაფო?

წასვლამდე სინათლე დატოვეთ, მცირე მაინც. სხვა კვალი ჩვენგან არ რჩება. სინათლე სიკეთეა.

მეტად სამწუხაროა, რომ სიკვდილი გარდაუვალია. ჩვენ მხოლოდ დაისის ანარეკლი ვართ.

ყველაზე დიდი ბედნიერებაა გაუსროლელი ტყვიის პოვნა — ვიღაც გადარჩა.

საბოლოოდ ყველაფერი მთავრდება. ნუ გეშინიათ ამის, შეიგნეთ, რომ საბოლოოდ ყველაფერი მთავრდება და დამშვიდდით.

წერე შენთვის, სხვისთვის რომ გამოდგეს.

ძველი მეგობრები მიდიან, ჩვენ ახალ მეგობრებთან ერთად ვიცინით, ღამ-ღამობით კი ძველ მეგობრებზე ვფიქრობთ, გული გტყავა და ეტირით. ძველი მეგობრები მიდიან და ვინ რჩება?

ხანდახან ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენ მხოლოდ ადამიანები ვართ. შენ, მე, ის — ყველანი...

ლადო სულაბერიძე

• • •

წუხელ გავაცოცხლე სუყველა ბავშვი უდროოდ მკვდარი,  
დედ-მამებისკენ გაქურცხლეს მყისვე ნაბიჯით ჩქარით.  
ზოგ-ზოგს — (სულ ძველებს) — აღარც კი დახვდა დედ-მამა შინ,  
მაინც შეუდგნენ სიცოცხლის გზას საწუთროში  
სიბერისაკენ...

წუხელ გავაცოცხლე სუყველა ბავშვი უდროოდ მკვდარი,  
დედ-მამებისკენ გაქურცხლეს მყისვე ნაბიჯით ჩქარით.

• • •

იმ მაღალ მთაზე დაბურულ ტყეში წყაროა ანკარა.  
იქ ვინ ავიდა პირველად, ბილიკი იქ ვინ აკვალა?!  
სულ მოწანწყარობს... ძნელად თუ ადის ვინმე წყაროსთან.  
უდაბნოს მწყურვალნო, თქვენ კი დაეძებთ წყაროს, წვალობთ და  
არ უწყით, რომ იქ,  
იმ მაღალ მთაზე დაბურულ ტყეში წყაროა ანკარა.

იქ ვინ ავიდა პირველად, ბილიკი იქ ვინ აკვალა?!  
იმ მაღალ მთაზე დაბურულ ტყეში წყაროა ანკარა.

• • •

ჩუმაღ!  
ამოდის დედის საფლავზე უცხო ყვავილი.  
ამოიარა მთვარეშაც ჩემი გზა აქ მოყვანილი.  
ჩუ!...  
ჭერ ამნაირ ყვავილს არავინ არ ღირსებია.  
მიწაზე  
ვარდები,

იები,  
ტიტები,  
ნარგიზებია...  
ეს მათ არა ჰგავს.  
ჩუმაღ!

ამოდის დედის საფლავზე უცხო ყვავილი.  
ამოიარა მთვარემაც ჩემი გზა აქ მოყვანილი.



• • •

გადაისრიალა ვარსკვლავმა ცაზე, გადაისრიალა,  
ვიღაცის სულიაო, ამბობენ, ვარსკვლავი კი არა.  
ვინ ბედნიერი ამალდა, აენტო, განათდა?!  
ვინ მიალწია ამ მწირ ქვეყნიდან იმ ქვეყანასთან  
და იქ დაივანა?!  
გადაისრიალა ვარსკვლავმა ცაზე, გადაისრიალა,  
ვიღაცის სულიაო, ამბობენ, ვარსკვლავი კი არა.

• • •

თვალი გააყოლე, ცისფერი თვალი იმ გორებს ან ამ ხევს,  
ცაცხვების ჩეროდან გადაჰხედე ქართლის სანახებს,  
ხელისგულებიდან აფრენილ ჩიტს სულიც მიადევნე,  
ცვარნამიან მტევნებს ჩაუქროლე, ცვარნამიან მტევნებს...  
და ჩემთან დარჩი...  
თვალი გააყოლე, ცისფერი თვალი იმ გორებს ან ამ ხევს,  
ცაცხვების ჩეროდან გადაჰხედე ქართლის სანახებს.

• • •

ლელა და ლადო, მე ფრთებს გიწრთენით ლურჯი ცისაყენ,  
რათა მიაკვლიოთ უჩინარ ვარსკვლავს, ძნელად მისაყვლევს.  
მაგრამ შავი ცაც არის სადღაც შავ სატანათა,  
ხომ არ წაგზიდავთ ქარი იმ ცად ასატანად,  
ლურჯისკენ მფრენო?!  
მე კი ფრთებს გიწრთენით, ჩემო მართვენო, ლურჯი ცისაყენ,  
რათა მიაკვლიოთ უჩინარ ვარსკვლავს, ძნელად მისაყვლევს.

• • •

სამი ასულის სიმღერის ნიავში თრთოდა სანთელი,  
შრიალი თუათქო, — მეგონა, — ძეწნისა ან თელის.  
ძეწნისა ან თელის, — მეგონა, — თუათქო შრიალიც  
სამი ასულის ნიავ-სიმღერა კაეშნიანი  
მთვარის შინდორზე...  
სამი ასულის სიმღერის ნიავში თრთოდა სანთელი,  
შრიალი თუათქო, — მეგონა, — ძეწნისა ან თელის.

• • •

ვულკანზე ვდგავარ, ხომ შეიძლება ამოსკდეს ანაზღად?!  
რამდენი რამე ვულკანის ღვეღფზე ჩაცხრა და ჩანაცრდა.  
ამოსაფრქვეველ ლავაზე დავდივარ, ვწვალობ და მიჩანავს,



ნუ გააღვიძებთ გავარეარებულს, შლეგსა და მძინვარს,  
ვულკანს მძინარეს...  
ვულკანზე ვდგავარ, ხომ შეიძლება ამოსკდეს ანაზღაურება  
რამდენი რამე ვულკანის ღველფში ჩაცხრა და ჩანაცრდა.

\*\*\*

შებლა-შემოხლაა, საწუთისოფლოო შეხლა და შემოხლა,  
დამდაბლებულთა ამ მღვრიე წრეში შენ ნუ შემოხვალ.  
მაგ კლდის წყაროსთან დაარწყულე მწყურვალე ფოთრები,  
რა შენი საქმეა დაუნდობელი საწუთროს შფოთვები, —  
შენ მანდ იყავი...  
შებლა-შემოხლაა, საწუთისოფლოო შეხლა და შემოხლა,  
დამდაბლებულთა ამ მღვრიე წრეში შენ ნუ შემოხვალ.

\*\*\*

როს დამეფარება თვალეზზე ლიბრი, მომიცავს წკვარამი,  
წარმომესახება ცეცხლის სამეფო და ბნელში წვა რამის,  
არა ნგრევის ლავა, შლეგ ვულკანის ყელით მფინარის,  
არამედ შენი სუნთქვის ნიავში ნელი მფრინავი  
ციცინათელა...  
როს დამეფარება თვალეზზე ლიბრი, მომიცავს წკვარამი,  
წარმომესახება ცეცხლის სამეფო და ბნელში წვა რამის.

\*\*\*

აღარ არიან ცად ატყორცნილი ხეები ალვის,  
ჩემს შუამთაში აღარც კი ახსოვს ისინი არვის.  
მათ კენწეროებზე ბავშვების ზეცა კრთის უტურფესი.  
ჩემს სულს შემორჩინენ იმ რტოებით, ფერით და ფესვით  
და შრიალებენ...  
აღარ არიან ცად ატყორცნილი ხეები ალვის,  
ჩემს შუამთაში აღარც კი ახსოვს ისინი არვის.

\*\*\*

ოკვანეზე როს ატყდებიან ავი ქარიშხლები,  
შავო ღრუბლებო, თქვენც ზეცაზე როცა განიშლებით,  
მე გამოვყვები ჩემს სიზმრებსა და ჩემს მირაყებს  
და შევუდგები იქ შემართულს ზომალდს ყირეზე  
და გადავარჩენ...  
ოკვანეზე როს ატყდებიან ავი ქარიშხლები,  
შავო, ღრუბლებო, თქვენც ზეცაზე როცა განიშლებით.

\*\*\*

უღაბნოს სილაზე ჰყვავის თურმე ყვავილი ზოგან,  
ქარბორბალაცო შორ-შორს ჩაუვლის, არ თელავს, ზოგავს.



## წიგნიდან „ივერიის პარსკვლავები“

### ქეთევანი

ქებათა ქება ქეთევანს —  
ვარსკვლავს სინათლის მთოვარს,  
ღედას, დიდედას, მეუღლეს,  
ღედოფალს სწორუბოვარს.  
ერის და ქრისტეს რწმენისთვის —  
გულმკერდდადალულს შანით,  
უუპირველეს საფიცარს  
და კერპს ყოველი ქართველის.

თუ მართლა ღედოფალი ხარ  
და შენს ბედს ბევრი ნატრობს,  
გაჭირვების ეამს ქვეყნისთვის  
სიციცხლეც უნდა დათმო.  
რაბან იმედით შეგვუბრებს  
ასიათასი თვალი,  
თუ მართლა ღედოფალი ხარ  
და ხარ ქართველი ქალი.

ქებათა ქება ქეთევანს —  
ერის სინდის და ნამუსს,  
სიწმინდის შარავანდედი  
დაადგა მშობელ მამულს  
გადაარჩინა სული და  
მისთვის გასწირა ხორცი,  
მის სახელს საჭრისტიანო  
მუღამ ახსენებს ლოცვით.

მისი სიმტკიცე ვაჟკაცსაც  
შეშურდებოდა რამდენს,  
აი, ვით უნდა გვიყვარდეს  
აი, ვით უნდა გვეწამდეს

აი, ვით უნდა ავინთოთ  
სანთლად რწმენა და ჭიში,  
აი, ვით უნდა დავტრგუნოთ  
ტანჯვის, სიკვდილის შიში

ქებათა ქება ქეთევანს  
და იმის გვირგვინს ეკლის,  
ო, როგორ აგვამაღლებდა  
დიდი ღედოფლის ძეგლი.  
ქვაში იმგვარად ნაკვეთი  
რომ მისი სუნთქვა იგრძნო,  
გმირობის და თავგანწირვის  
სული შთაგვებროს ვინძლო.

მისი სახელი გასწვდება  
საუქუნეთა წყებას  
ის ვარსკვლავია, რომელიც  
არც არასოდეს ქრება.  
რანი ვართ, თუ კი იკითხავს  
ვინმე, ქართველის გარდა,  
ამაყად ვეტყვით: ღედოფლად,  
ჩვენ ქეთევანი გვყავდა!

ქებათაქება ქეთევანს  
ღედოფალსა და ღედას,  
შემინდეთ თუ კი ცოდვილი  
მასზე სიტყვის თქმას ვებედავ.  
და თუნდაც ამ ლექსს წილად ხედეს  
გადავიწყების ხედრი,  
მე ბედნიერი ვიყავი,  
როდესაც მასზე ვწერდი.

## ტატო



ზოგჯერ ჩემს თავს შეგვიტხივარ  
 დავრჩენილვარ როს ყრმა მარტო:  
 სიცოცხლეში მწარე ხვედრი  
 რად არგუნა ღმერთმა ტატოს?  
 ალბათ მსგავსი მზეკაბუჯი  
 ცოტა თუ შვა ქვეყნად დედამ,  
 მას კი მხოლოდ უიღბლობა  
 და ტკივილი დაებედა.  
 ბევრი უმაქნისის ბედი  
 ცამ იეზით გადაქარგა,

ხოლო ტატო უმოწყობლოდ  
 მოუსაღლეთს გადაკარგა.  
 მაგრამ რაც ყრმამ არ ვიცოდი,  
 ახლა ვიცი, ახლა მესმის  
 ოდენ დიდი ტკივილის წილ  
 იწერება დიდი ლექსი.  
 და თუ ვინმეს მისი სიტყვის  
 სილიადე არა სჯერა,  
 პა, ბურთი და მოედანი  
 დაეწიოს ტატოს შერანს.

## კაი ყმა, კაი ღიატი

როცა თქვენი ხატება  
 თვალწინ ჩამომიჭროლებს,  
 წამსვე ერყოლა დაუვლის  
 დაუწერელ სტრიქონებს.  
 და თვალების ყინული  
 უნებურად გალღეება,  
 თქვენი სახელიანი  
 ყოფა შემეხარბება.  
 გრძელნაწნავა ასულო,  
 ვაჟო, ლომისტორებავ,  
 აზვირთებულ ტალღებზე  
 დაგარწიათ ცხოვრებამ.  
 აბა, თქვენი ნათელი  
 როგორ დამენისლება,  
 რა ლამაზად ატარეთ  
 ივერიის ღირსება.  
 ყვავილებო უშლელნო,  
 ყვავილებო შვილებო,  
 წვერწამახულ შუბებზე  
 მკერდებშელეწილებო.

თქვენი ჟინის ჭირიმი,  
 მტერთან თქვენი კვეთების,  
 თორემ რას გახდებოდნენ  
 აბა მარტო მეფენი.  
 არ ყოფილხართ დიახაც  
 არავისზე ნაკლები,  
 თქვენ დაქსოვეთ დროშებიც,  
 თქვენ გათალეთ აკენებიც.  
 ამაყნო და მართალნო,  
 მზენო, დაუდეგარნო,  
 ნეტა ჩვენი შვილები  
 მაინც გამოგემგვანონ.  
 თქვენებრ კაი ყმებსა და  
 თქვენებრ კაი ღიატებს  
 ქვეყანა რომ გამოზრდის  
 ის თავისას მიაღწევს.  
 როცა თქვენი ხატება  
 თვალწინ ჩამომიჭროლებს  
 ერუანტელი დაუვლის  
 დაუწერელ სტრიქონებს.

## შუშარი და სიმღერა

ულამაზეს ბგერების,  
 უნატიფეს ჰანგების  
 თაებრუდამხვევ წიალში  
 ისევ ჩაიკარგები.

ისევ სიზმარეული  
 ნეტარებით ვიმღერევი,  
 ტრფილი ვარ ქართული  
 შუშარის და სიმღერის.



ხმები მოედინება  
ბანებად და კრინებად,  
მათი შერწყმა, ამბობენ,  
თვით განგებამ იწება.

ხან ზეავივით გუგუნებს,  
ხან ტალღებად ირწყვია,  
ხანაც წკრიალ-წკრიალით  
ნემსის ყუნწში მიძვრება.

სმენა თუ გაქვს, ისწავლი,  
თუმც საკმაოდ რთულია  
ცალფა არვის ეგონოს —  
პოლიფონიურია.

მღერიან და სიმღერის  
სმენით ველარ გაძლები,  
გალობენ და ზეცისკენ  
მალღებებიან ტაძრები.

შენც მამულის ვარსკვლავებს  
ეფერები ოცნებით,  
ირგვლივ შემოგხვევიან  
თითქოს სირინოზები.

ცეკვავენ და თვალთაგან  
შვის აღმასებს კვესავენ,

არაფერი მინახავს  
მსგავსი, უენი კვნესა

რაო, ვინმეს არ მოსწონს?  
კაცია და გუნება.  
მაგრამ, რა ვქნა, ასეთი  
არავინ მეგულება.

სიხარულშიც გვარგია,  
გასაჭირშიც გვარგია,  
თუმცა ვზა-ვზა მრავალი  
პანგი დაგვიკარგია.

მაგრამ რაიცი შემოგვრჩა,  
ისიცი საკმარისია,  
ისიცი სიყვარულის და  
გაფრთხილების ღირსია.

რადგან ცეკვაც სიმღერაც,  
არის აწ და მარადის,  
ერის თვითმყოფადობის  
საევიზიტო ბარათი.

ჩვენი „ხასანბეგურით“,  
„ჩაკრულოთი“, „ლილეთი“  
გვაქვს თვით უკვდავებაში  
დაწავშნული ბილეთი.

### ვაზი

ვაზი ჩვენი სიმბოლოა,  
ჩვენი ხმალი და ფარია,  
ვაზთან ერთად წინაპართა  
წმინდა ხსოვნა გვაბარია.  
როგორც ზღაპრულ დევის სული  
კოლოფშია ჩარახული,

ვაზთან არის რა ხანია  
ჩვენი სული გადაწნული.  
ვაზი ჩვენი სიმტკიცეა,  
ძალაა და ჭანმრთელობა.  
სანამ ვაზი იარსებებს,  
იარსებებს ქართველობაც.

### ნერგი კეთილი

ამოიყარა,  
გაიფურჩქნა,  
ნერგი კეთილი  
არ უცხოვრია  
ჩემს ქვეყანას

კარჩაკეტილი.  
ულამაზესი,  
უმალღესი  
ქმონდა მიზანი,  
ეკლიან გზებზე



დღენიც ახსოვს  
 დიდებისანი.  
 ახსოვს ცათამდე  
 აღზევებაც  
 დაბლა დაცემაც,  
 ნექნების მსხვრევაც,  
 დახანძრებაც  
 და დანაცრებაც.  
 ამოიყარა,  
 გაიფურჩქნა,  
 ნერგი კეთილად  
 და სული, სული  
 ივრიის  
 არ გატეხილა,  
 ისევ ვაზს სხლავდა,  
 ხატებს ჭედდა,  
 ტაძრებს აგებდა,

ეტრატებს წერდა  
 და ჩუქურთმებს  
 აწახნაგებდა.  
 რალაც დიაღზე  
 ფიქრში იყო  
 მუდამ გართული,  
 თვალისჩინივით  
 შეინახა  
 ენა ქართული.  
 წინ მიუძლოდა  
 რწმენა,  
 რწმენა  
 სხივთაშფენელი  
 და მიდიოდა  
 ამაყი და  
 შეურცხვენელი.

### ვიამაყოთ მარადის

ვეფხვისა და მოყმის  
 და ბეთქილის ბალადით,  
 ჩვენი ძველი მოდგმით,  
 ვიამაყოთ მარადის!

უშგულით და გრემით,  
 ენგურით და არაგვით,

ჩვენი ტკბილი ენით  
 ვიამაყოთ მარადის!

ილორით და ჭვარით,  
 მცხეთით, თბილისქალაქით,  
 ჩვენი ძველი გვარით  
 ვიამაყოთ მარადის!

## მ ა რ თ ა

იციანდეთ: ნიკო კაბაძე. იგი ოც-დაათი წლისაა, ზრდილი და სიმპათიური ახალგაზრდაა, თავი მოაქვს კაი ოჯახიშვილობით და, რაც მთავარია, თბილისელობით, ბავშვობა ევრის უბანში აქვს გატარებული, თუმცა შემდგომ მშობლებმა ახალი ბინა აიშენეს საბურთალოზე; როგორც ქალაქში გაზრდილ კაცს შეეფერება, ცოტ-ცოტა ყველაფრის აზრზეა: ინტელექტუალურ კამათში სიტყვას ევრ მოუგებ, დარღვიანდობა და დროსტარება მაგისი მოგონილია; საქმე-საქმეზე თუ მიდგა, ძველ-ბიჭობაც იცის და „ქურდული“ მიეთ-მოეთიც; რო რამე იყოს, საქმეში ჩახედულიცაა და გამკეთებელიც.

უცოლოა, ჰყავს მშობლები, აქვს ავტომანქანა „ლადა“, ცხოვრობს კეთილმოწყობილ კომპერატულ ბინაში. სიმაართლე რომ ითქვას, მანქანა მამამისისაა. მამას თავისი საქმე აქვს, დედას კიდევ—თავისი და ნიკო სრულიად დამოუკიდებლად გრძნობს თავს. ეს გასაკვირი არაა, თუ კი მის ასაკს გავითვალისწინებთ. ევროპული ტრადიციისაგან განსხვავებით პარტიარქალური წეს-ჩვეულების აჩრდილად შემორჩენია თბილისქალაქს დასაკეხული შვილების მშობლებთან თანაცხოვრების ხან რით და ხან რით განპირობებული პრინციპი, რომელსაც მრავალ თბილ სიკეთეს-

თან ერთად ბევრი ნევროზულ-ამაფორიკაქებული თვისებაც ახასიათებს და ოჯახურ უსიამოვნებათა საბაბიც ზშირად ხდება; თუმცა ჩვენს შემთხვევაში შვილი და მშობლები ჩაურევლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის წყალობით უდრტეინველად ცხოვრობდნენ.

დრტეინავდნენ კიდევ. თუმცა იშვიათად. მეტწილად მშობლები ჯავრობდნენ: ბავშვობისას ორიანებისა და სამიანების გამო; მოგვიანებით, დროთა-სვლის მხარდამხარ, მალულად მოწყული სიგარეტების, ჩხუბში დახეული პერანგებისა და უბნელ ბიჭებთან დამლობით საეჭვო ყილის გამო; შემდეგ კიდევ ერთ დღეში დახარჯული სტიპენდიისა და გაცდენილი ლექციების გამო, თუმცა ამ დროიდან შვილი ნაკლებ მნიშვნელობასდა ანიჭებდა მშობლების დრტეინვას. ამასობაში, დიპლომსა და ფორმალურ მხარეზე რომ აღარაფერი ითქვას, ნიკო განათლებული კაცი გახდა და მშობლებიც, სხვა რა გზა კქონდათ, დრტეინვას გადაეჩვივნენ. ისინი მეტის ხალისით შთაინთქნენ ათასსაქმიანვიზიტთან დისერტაციებსა და საზღვარგარეთულ მოგზაურობებში, რამაც ნიკოს ფაქტიური დამოუკიდებლობა დაუმკვიდრა.

დამოუკიდებლობა. სამსახურშიც

დადიოდა, რვაწლიანი სტაჟი დააგროვა. უმცროს ინსტრუქტორად მუშაობდა ერთ დიდ, მნიშვნელოვან უწყებაში. სიმართლე ითქვას, ხელფასი სიგარეტის ფულად ძლივს ჰყოფნიდა, ამიტომ მშობელთაგან დამოუკიდებლად ცხოვრებას მატერიალური საფუძველი აკლდა. ეს ნიკოს ჭერჭერობით არ ადარდებდა — ის დროც მოედიოდა, როცა განმტკიცდებოდა და მომძლავრდებოდა. სამსახური პერსპექტიული ასპარეზი იყო ახალგაზრდა მუშაკისათვის, რომელიც დღეის დღეს მხოლოდ უმნიშვნელო ქალაქების წერა-კითხვით იტკივებდა თავს, მაგრამ სახვლიო დაწინაურებაზე ფიქრი ხანდახან რეალურად ეწვეოდა ხოლმე.

დაწინაურებდნენ. დარწმუნებული იყო. შერე ცოლსაც შეირთავდა. სტუდენტობის ბედნიერ ხანაში ნიკოს თავისი თანაკურსელი ჭერათმიანი ირინა უყვარდა. გულის სიღრმეში, ცოდვა გამხელილი სჯობს, დღემდე არ ტოვებდა მასზე ფიქრი ნიკოს, რვა წელი გასულიყო, მაგრამ ვერ შეპყვებოდა მის დაქარგვას. ამ ფიქრს ნიკო ქვეყნად არავის, თავისთავსაც კი არ უშვებდა, რადგან ჭერათმიანი ირინა ჭერ კიდევ მაშინ, სტუდენტობისას ნიკოს მეგობარს, მათსავე თანაკურსელს, სათვალთან ირაკლის გაყვდა ცოლად. ასე ჩაიხლართა მელიოდრამატული სამკუთხედი, თუმცა მისი სამივე წევრი შეეცადა არ დაეკარგათ ერთმანეთი, რაც დელიკატური აღზრდილობისა და ცივილიზებულიობის შემწეობით მოახერხეს კიდევ — ყოველ შემთხვევაში, აღარაფერს იმჩნევდნენ, თითქოს აღარც ახსოვდათ ძველი ამბები.

მეგობრობდნენ. დროს ატარებდნენ. ბევრნი იყვნენ ამქარში: ვინ სკოლის მერხიდან, ვინ ინსტიტუტიდან, ვინ სამსახურიდან. უამრავი მეგობარი ჰყავდა ნიკოს — ამ მხრივ ბედნიერ კაცს. თითქმის ყოველ საღამოს იკრიბებოდნენ ზოლმე ხან ერთისას, ხან მეორისას და გადიოდა დრო ახალ-ახალ ჭორანუკოტებსა თუ სადღეგრძელოებში. ნაირგვარ ხალხს მოეყარა მათ წრეში

თავი — სხვადასხვა სექციონებისა თუ ხასიათის ადამიანებს, ერთმანეთს უკავიათ ასაკი და წლები, მაგრამ ერთადერთი ახლობლობა აერთიანებდათ, არავის უცდია ამ რთული, მრავალნიშნა ურთიერთობების გარჩევ-გაჩხრეკა და «გენეოლოგიური ხის» დახაზვა, თორემ ეგებ ნათელი გამხდარიყო, თუ ერთმანეთისაგან რაოდენ შორს მდგომი ხალხი იწოდებოდნენ ამ «მეგობრებად» — ისინიც, ვისაც ერთმანეთი დიდად არ ებიძგებოდათ და ისინიც, ვისაც უერთმანეთოდ სიცოცხლე არ შეეძლოთ, რის დასტურადაც ზოგიერთები ერთიმეორის სარეცელსაც იზიარებდნენ.

ბუნებრივია. ადამიანები წყვილდებიან. უფრო ხშირად — დროებით. ნიკოსაც ჰყავდა ლამაზი, ერთგული და კეთილი მეგობარი — ნინო. კაცმა რომ თქვას, ის ძალიანაც შესაფერი ქალი იყო ნიკოსთვის. ერთადყოფნის წლები მიილეოდნენ, მათ კი აზრადაც არ მოსდიოდათ შეუღლება. სავსებით ყოფნიდათ ნახევრად მალული ურთიერთობაც, რომლის შესახებ ყველამ ყველაფერი იცოდა. შესაძლოა, მხოლოდ ნიკო სჯერდებოდა ამგვარ ურთიერთობას, მაგრამ მას არასოდეს ჩაუხედავს ნინოს სურვილებში, რომლებიც ღრმად მიმალულიყვნენ პიკანტური და დელიკატური მორჩილების მიღმა. საფიქრალია, რომ ამ მეტად ევროპიზირებულ, ინდეფერენტულ, სიგარეტის ზაც კვამლში გახვეულ ნილაბქვეშ გათხოვებაზე, კმარა-შვილსა და მამა-პაპურ სარეცხ-სადილიან ოჯახზე ჩვეულებრივი ქართველი გოგოს ბანალური ოცნება უნდა ყოფილიყო მიჩქმალული.

„პა-აა-ო-პპი — ამთქნარებს“ ნიკო, თავს ვერ იკავებს. ამ ბოლო დროს ძალიან ხშირად, თითქმის ყოველ წუთს ამთქნარებს ზოლმე. მთქნარება, მედიცინის თანახმად, ფიზიოლოგიური მოვლენაა. მას იწვევს დიდად საიდუმლო მიზეზები და ამის შესახებ თვით ღრმად განსწავლულმა მეცნიერებმაც კი არაფერი იციან. ზოლო ნიკოს არსების ყოველი ნაკეთით ამთქნარებდა უკანას-



ქნელ ხანს, რაც ზამთრის დადგომას ერთობ უცნაურად დაემთხვა. ეგებ არაფერი იყო უცნაური, რაკი ძილქუში ყველა ცხოველს თან სდევს დედამიწისა და მზის დაშორიშორების პერიოდში, რომელსაც ადამიანურ ენაზე ზამთარი ჰქვია, ამგვარ პერმანენტულ მოქნარებას კი, იქნებ სულიერი ჩამოზამთრება ვუწოდოთ, მოდიო.

დაზამთრდა ატალახდა ქუჩები. ქვეყნიერებამ უსაშველოდ მოიწყინა. უსაშველოდ მოწყენილთა რიცხვში მოხვდნენ თბილის-ქალაქიცა და ნიკოც. ზამთარში, რასაკვირველია, თოვლის მსგავსი არაფერი ჩამოვარდნილა ციდან. ხშირხშირად სცრიდა წვერილად და ლამობით სველ ქუჩებს ნეონის ფანრები მკრთალად ანათებდნენ. ზამთრის განწყობილება, რომელსაც გაუთავებელი მოქნარება ერთვოდა, აუტანელსა და ერთფეროვანს ხდიდა სამყაროს. ნიკოს ეჩვენებოდა, რომ ეს უღიმღამო ამინდი, თითქოს მუდმივად რომ დასწყებებოდა დედამიწას, სწორედ ეს მოლუშული ცა და ლაფით საესე ქალაქი გამოხატავდა ზუსტად ამქვეყნიური ყოფიერების არსსა და მულამს.

იკრიბებოდნენ. ამინდი ხელს უწყობდათ. ერთსა და იმავე ანეკდოტებს ყვებოდნენ, ერთსა და იმავეს ჰამდნენ და სვამდნენ; ჭორებიც კი, მუდამ ახალახალი, ერთიმეორეს ტყუბებივით ემსგავსებოდნენ. ნიკოსა და მისი მეგობრების ურთიერთობები არ იცვლებოდა და ყოველი საღამო ერთხელდასამულდამოდ დადგმული სპექტაკლივით თავისთავს მცირეოდენი იმპროვიზაციებით იმეორებდა. ნიკოსაც ერთიდაიგივე რეალის ათასჯერ შესრულებით თავგაბებურებული არტისტივით ყელში ჰქონდა ამოსული ამ გარეგანმხიარული შეკრებილობის უაზრო გურგური, რომელიც ზვალსა და სმენას შესაძლოა წყალს ასმევდა, ჰკუთსაც ართობდა, სხეულსაც მაძღრისად ანაყრბდა, მაგრამ სულს, როგორც ქვისმტებლის ხელისგულს, ერთსადიამავე წერტილზე

მუდმივი ზეწოლით კოყრა ერთნადა უმოწყალოდ.

ერქნენული ციოდა. სუსტი მეგობრული ქვეუღიყო სიყვარული. ნინო და ნიკო ინერციით აგრძელებდნენ ნახევრადკონსპირაციულ პაემნებს. მათ კავშირს სიყვარულიც ინერციით თულა ერქვა. მართალია, მეგობართა წრეს ისინი თავიანთ ურთიერთობას არ უმაღავდნენ, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო სრული ბედნიერებისათვის. „სრული ბედნიერება“ მათი მოქანცული და გაცვეთილი კონტაქტისათვის ისეთ შორეულ ქვეყნად ქვეუღიყო, რომლისკენ გამგზავრება ჰქუდაამქდარ კაცს აზრდაც არ მოუვა — „ჰქუდაამქდარობა“ გულისხმობს, რომ მოგზაურობაზე ფიქრი არ გაიკარო, შენს კანში დაეტიო და მხოლოდ ჩაუსაფრდე ხელსაყრელ შემთხვევას, როცა მშობლები შინ არ იქნებიან, ანდა რომელიმე მეგობარი გასალებს გათხოვებს, რათა ორიოდ საათით უგემური სიყვარული შეიტკბარუნო და ასე გაატარო ახალგაზრდობის საუკეთესო წლები.

„არა“, ფიქრობდა ნიკო, „შეუძლებელია ასე გაგრძელდეს“ — და ამ დროს სხვანაირ გაგრძელებაზე ფიქრი პატარა, ბოროტ ეშმაკუნებს შობდა. ისინი მათი მოდგმის ტრადიციისამებრ, ტინის უღრმეს ხვეულებში სახლობდნენ. ცხოვრების არარსებული ინვარიანტის აზრისმიერი ძიება საუკეთესო ატმოსფეროს ქმნიდა მათი არსებობისათვის და მზავკარი ეშმაკუნები ფრთხილი, ვნებიანი ფუთფუთით მოცოცავდნენ ღრმა ხვეულებიდან სააშკარაოზე. ისინი იოლად სძლევენ ზამთრის სიცივეებისა და ერთფეროვნების მიერ მიძინებულ სინდისისმიერ ზღვარს, რომელიც სუსტადლა ეწინააღმდეგებოდა იმათ მხიარულ ლაშქრობას. ისინიც, გახალისებულნი ამგვარი ხელისშემწყობი პირობითა და ლალი თავისუფლებით, აღტყინებულნი აღავზნებდნენ გადადლილ ტინში ჩაბუღბოლო კოდვიან, ბოროტ ოცნებებს, რომელთა აღსრულება ერთობ მიშხიდველ სიამეებს ჰპირდებოდა გულსა და ვონებას.

„ცოლი“ — ფიქრობდა ნიკო, „ცოლი უნდა შევიერთო“. ლოგიკის ყველა კანონის თანახმად მას ნინო უნდა შეეერთო და შეეთვისებინა, მაგრამ, უცნაურია, სწორედ წლების მანძილზე გასისხლხორცებული ნინო არ ესაბებოდა მეუღლედ. მობეზრებოდა ნიკოს ჩვევადქცეული სწორფერი და ერთფეროვნებიდან თავდასაღწევი გზაც თავისდაუნებურად გვერდს უქცევდა ამ გულისშემალენებლად ლოგიკურ ვარჩაბს. ირინა, რომელიც დიდი ხნის წინ თითქოსდა რაინდულად დაუთმო მგვაბარს, დღეს შეუბრალებლად ამღვრევდა ნიკოს. იგი საკუთარ არსებაში ხელშესახებად განიცდიდა ურცხვ, დაურიღებელ, კაცური დანდობის არმცოდნე თავმოყვარე იმპულსს, რომელიც მზად იყო გაეწყვიტა ნამუსის ძარღვი და თუკი რამ შესაძლებელი და შეუძლებელი საგმიროს საქმე არსებობდა ამქვეყნად, ყველა ერთბაშად ჩაედინა ათი წლის წინ უარყოფილი, ამ ხნის მანძილზე გულგაგრილებული, აწკაი ბიჭის მეუღლედ და ორი შვილის პატიოსან დედად ქცეული მაშინდელი შეყვარებული გოგოს გულის ხელახლად მოსანადირებლად, რასაც დღეისდღეს მხოლოდ ვნების დამცხრობი მრუშობა, უნამუსო ღალატი შეიძლება მოკყოლოდა და არა ღვთისთქურთხეული შეუღლება, რომლის შესაძლებლობაც ნიკომ ათი წლის წინ სხვას გადაუღოცა, ღმერთმა თუ ეშმაკმა უწყის, რატომ, რის გამო და რა მიზეზით.

„ცოლი?“ — ფიქრობდა ნიკო, „რა უფლება მაქვს!“ მის ასაკში ოჯახის შექმნას მატერიალური დამოუკიდებლობა და სამსახურებრივ ასპარეზზე მოლონიერება უნდოდა. უმცროს ინსტრუქტორს, თუმცა პერსპექტიულს, ჭერჭერობით დაწინაურებას არაფერი უპირებდა. სახელმწიფო იერარქიულ კიბეზე ნაბიჯის ზედადგმას მონდომება სჭირდებოდა და ნიკოს რაიმე უნდა მოემოქმედნა საამისოდ. რაც მოეთხოვებოდა, მან კარგად იცოდა. ოღონდაც, ზამთრის გარინდებაში გაყინულს, ძილქუშმორეულს და ინერტულს, ერთობ

ძნელად, ამაოდ და, ცოტა არ იყოს, უზნეოდაც ეჩვენებოდა. უფრუხუხუღუღისმოსაგები, კონკურენტოვითმობრელი, მხრისდამპერთა და პროტექტორთა მოსაქოქი, ყოჩალი ბიჭებისა და კაიბუშაკობის დასამტკიცებელი სვლების კეთება, თუმცა გრძნობდა, რომ აღრე თუ გვიან, სხვა გზა არ იყო, ამ საქმიანობას ენერგიულად უნდა შესდგომოდა.

ეზარებოდა. სასტიკად ეზარებოდა. უმოქმედობის ვნებას შეეპყრო. უკარო, ქვითკირის მძიმე კედელი ოთხიგმზრვი შემორტყმოდა არსებობას. გამოსავალი ამ შემოზღუდული სივრციდან — მოჯადოებული წრიდან — არ ჩანდა. ზეცაც, ლეგა ჩამოქუფრული ღრუბლებით დაბლა დაწეულიყო და ჭერად დაბურვოდა ამ ხაფანგს, წერტილი დაესვა გამოსავლის ძიებისათვის. ფიქრი კი ჯიუტად ითხოვდა სიცხადეს, რადგან ფიქრს ბურუსიანი გაურკვევლობისა ეშინოდა. სიცხადეს კი ითხოვდა ფიქრი, მაგრამ, გამოსავლის არ იყოს, სიცხადეც არსად ჩანდა — აკი თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, კალენდრის მიხედვით, წესითა და რიგით ზამთრობდა ბუნება, რიტმიან ცხოვრებას განაგრძობდა ქალაქი და ათასთამსგავსი, ჩვეულებრივად ვადალილი უმცროსი ინსტრუქტორი ნიკო კაბაძეც, მზრუნველი მშობლებით, კეთილმოყვრებითა და მეგობრებით გარემოცული, კარგად ცხოვრობდა და ვერ გაეგო, რატომ შეეპყრო გამოუვალობის უნასოო განცდასა და გამოსავლის ძიებაზე ხელისჩაქნევის სურვილს.

ფიქრობდა. ბოლოს დაასკვნა: „არავის არ ეკირდები“. მარტრობა როდი აწუხებდა ნიკოს. მას, უბრალოდ, დამარწმუნებლად ეჩვენა თავისი მიგნება. რატომღაც საკუთარი პიროვნება ამქვეყნიური მდინარეებიდან გარიყულად ჩათვალა და ცხოვრებამაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ამ აზრის სისწორე დაადამსტურა. გამოაკლო ნიკომ აზრში თავისი თავი სხვა დანარჩენს ერთად აღებულს, რასაც გარე სამყაროს უწოდებენ, ახლობლიან-ქალაქიან-საყვარლიან-

მანქანაინად. ამ არითმეტრიული ოპერაციის შედეგად აღმოჩნდა, რომ არაფერი შეცვლილა, ისე, როგორც რიცხვი არ იცვლება ნოლის გამოკლებებისა და თუკი ნიკოს რაიმე თვალსაზრისით შეეძლო თავი ამ ერთობ დამამცირებელი ციფრისათვის გაევიგებინა, რაღა თქმა უნდა, არა პიროვნული ღირსების, კაცობის, ნიჭის, ცოდნისა და უნარის მიხედვით, არამედ გარემოებათა იმ აუხსნელი, საბედისწერო განვითარების გამო, რის შედეგადაც ერთ მშვენიერ დღეს ცოცხალი, სასლამათი, მშვენიერი კაიკაცი აღარავის არაფრად აღარ ჰქირდები, რომ გაქრე, ვერც შეამჩნევენ და არაფერი არ შეიცვლება, მცირე გლოვის მერე ყველაფერი ძველ კალაპორტში ჩადგება, ყველა თავის საქმეს მიხედავს, იმიტომ, რომ ამჟამად შენი და მათი ერთობლივი ნებასურვილით, მათ საქმეებში შენ — ნიკო — მათი შეილი, ძმა და მეგობარი — არანაირად არ მონაწილეობ.

მოსაღამებელიყო. ზამთარი ილეოდა. ნიკო ქუჩას მიუყვებოდა. იგი სამსახურიდან წამოსულიყო და უმიზნოდ მიაბიჯებდა ბინდმორეულ ქალაქში. ერთგან, გზის გასაყარზე, მცირეოდენი ფიჭვის შემდეგ მოკლეზე გადახვევა გადაწყვიტა. სასურველ გაჩერებამდე მისასვლელად ერთი მოზრდილი პარკის ბილიყ-ბილიყ გადაჭრა იყო საჭირო და ნიკოც იქით გაემართა პალტოს საყელში კისერჩარგული, ჯიბეებში ხელბეჩაწყობილი. დაუყვა მკრთალად განათებულ ხეივანს, რომლის გასწვრივ სველი, სკამ-ძელები ჩარიგებულყო. ამ სკამძელებს ზაფხულობით მუდამ ხალისით ეხიზნებოდნენ ხოლმე პენსიონერთა, გუნდები და საფეხბურთო დისკუსიის, მოყვარულები, ბავშვიანი მოსეირნეები და შეყვარებულთა წყვილები, მაგრამ ახლა, ციკ, მოქუფრულ, მიუსაფარსა და ბნელ სივრცეში აქ კაციშვილი არ ჰქანებდა, რის გამოც, ხალხმრავალი, ხმაურიანი ქუჩიდან უეცარი, შემთხვევითი გადაწყვეტილებით ამ უკაცურობაში შემოხეტებულ ნიკოს

ერთი წამით უსიამოვნო კრთომამ ჩაურბინა სხეულში ვერცხვანაშვილი შუქით ბაცად მოხაზული შრშვლი ტოტეზისა და სკამძელების შემხედვარეს.

„ვაი!“ — შეერთა ანახლად: პარკში ვილაც იყო! მოშორებით მდგარ სკამძელებზე ადამიანის ფიგურა დაილანდა და შეინძრა კიდევ, მეტიც — წამოდგა და ნიკოსკენ გამოემართა. ბნელში ადამიანის სახის გარჩევა ჰქირდა, მაგრამ ახალგაზრდა ქალის სილუეტი ნათლად იკვებებოდა. ქალი სწრაფად, მიზანდასახულად მოახლოვდა, რამაც ნიკო აიძულა შეჩერებულიყო. იგი შეემზადა გაეგონა უცნობთა შეხვედრისათვის დამახასიათებელი: „მაპატიეთ, თუ შეიძლება“, ანდა „ბოდიში, ერთის წუთით“, მაგრამ თავისდა განსაკვიფრებლად მოესმა:

— უკაცრავად, ნიკო, გამარჯობათ. მე თქვენ გელოდით.

„ვაჰ!“ — გაოგნდა ნიკო, ვერაფერი ვერ გაიგო: „როგორ თუ შელოდა, რანაირად?“ რაღა თქმა უნდა, უცნაური იყო უცნობი გოგონას ნათქვამი. ნიკომ დაკვირვებით შეათვალიერა იგი და თვალში მოხვდა გარეგნული სიუბრალოვე, ულამაზო სახე, დიდი თვალები და მოწაფურად შუაზე გაყოფილი თმა. მერე გოგონამ თქვა, რომ იგი ნიკოს შორიდან იცნობდა. ნიკო, თავის მხრივ, ნამდვილად არ იცნობდა მას და კიდევ უფრო გააოცა ახსნა-განმარტებამ, რომ ეს ვითომდა შორიდან ნაცნობი უცნობი აქ, სრულიად შემთხვევით ადგილას, სადაც, ჭერ ერთი, ნიკომ ალაღბედად ჩამოიარა და, მეორეც ერთი, სადაც ჭკუათმყოფელ კაცს ამ სიცივესა და სიბნელეში ქდომა აზრადაც არ მოუვიდოდა, სწორედ მას ელოდა, მისივე სიტყვებით იმისათვის, რომ „ცოტა ხნით გასაუბრება სურდა“.

„გადასარეგია“, გაიფიქრა ნიკომ. დაბნეულობისაგან ენაჩავარდნილი დუმდა. გოგონა კი უბერხულად შესსკებროდა შემკრთალი, დარცხვენილი. ცხადი იყო, ახლა ნიკოს უნდა ეთქვა რამე. სიტყვა თავისთავად გამოსხლტა უცნა-

ური შეხვედრით აღლევებულ-დამფრთხალი არსებიდან და ნიკომ თქვა:

— მაპატიეთ, ახლა ცოტა არ იყოს, მენჭარება. — ასე გაურბიან ხოლმე მტრებს ანდა სულთ ავადმყოფებს მოულოდნელი შეხვედრისას, რათა თავი დააღწიონ მოსალოდნელ უსიამოვნებას. მართალია, ნიკომ ჯერ არ იცოდა, უსიამოვნება უნდა მოჰყოლოდა თუ სიამოვნება ამ ღამეულ შეხვედრას, მაგრამ თავის დაზღვევის მშისარა ინსტინქტმა ოფიციალური ტონითა და ცრუ აღლევებლობით ათქმევინა ეს ცივი ფრაზა, თან ერთი ნაბიჯიც გადაადგმევინა უკან.

— მე... — დაწყუო გოგონამ, მაგრამ ვეღარაფერი თქვა: უცერად მღელვარებისა თუ სხვა მიზეზის გამო ჭეითინი მოერია, შეეცადა არ ეტირა, მაგრამ უშედეგოდ. ღაბაღუბით წამოსცვივდა ცრემლები და ხელები სახეზე აფარა, დარცხვენით შეტრიალდა და იმ სკამქელისკენ გაიქცა, სადაც წუთის წინ იჯდა. ნიკო, რომლის არსებაში უმწეოდ აქვითინებული გოგონას დანახვაზე მყისიერად განჭარდა იღუმალეობით, უკაცურაობით, დეტექტიური სიიღუმლოებით აღძრული შიში თუ ერთობა, წამსვე უდრეკ ვეკაცად იქცა და, რაკილა იაზრა, ქალი ალბათ, ჩემმა უხეშმა ტონმა ააქრმლაო, დაუფიქრებლად გაიჭრა მტირალის დასამშვიდებლად.

— დაწყნარდით, ნუ ტირით, მითხარით, რა გჭეით? — ნიკოს ხმა აქცერად რბილი და აღერსიანი გახდა. რაღა თქმა უნდა, ამან ქალი ოდნავ დაამშვიდა, ტირილის შეუწყვეტლევ გაიყნო ნიკოს, მართა მჭეიაო, და შემდეგ კარგა ხანს გრძელდებოდა ჩივილ-საყვედურიანი მოთქმა უკაცური პარკის მღუმარებაში. ნიკო ლეიტმორტივად იმეორებდა:

— დაწყნარდით, დაწყნარდით, — რასაც მართას ნაწყვეტ-ნაწყვეტი სამღურავი ერთეოდა. ამ სამღურავის აზრი შემდეგში იყო: მართას ის ატირებდა და ის სწყინდა, რომ ერთმანეთის მოსმენის უნარი სულ დაჰკარგეს ადამია-

ნებმა, აი, ერთი წუთით დალაპარაკება სთხოვა კაცს, რომელმაც არც კი იცის, რა გაჭირვებამ, რა სურვილმა აწიშლა უცნობი ქალი, მისთვის მიემართა, იქნებ ხმის გამცემი არავინ ჰყავს — ასეც არისო, თქვა — იქნებ სხვა გზა არა აქვს იმას იქით, რომ თითქმის უცნობ კაცს მიმართოს და დახმარების ხელი თხოვოს — რასაც ვაკეთებ კიდევო, თქვა, — და ნუთუ ამის პასუხად მართას კეთილმოწყობილი და თავდაჯერებული უდარდელობისა და მოყვარისცნებადაკარგული, უცხოთა მოშიშარი მოგერიების გარდა სხვა პასუხის იმედი არ უნდა ჰქონოდა?!

— დაწყნარდით, — იმეორებდა ნიკო. მართაც ნელ-ნელა წყნარდებოდა. ბოლოს სულ ჩაჩუმდა და ინერციითლა სლუეკუნებდა. ახლა ნიკო აღაპარაკდა, სიმართლე ითქვას, არანაყლები აღლევებით. იგი შეეცადა მართას ექვები საერთოდ ადამიანებისა და ნაწილობრივ ნიკოს შესახებ გაფანტა, მაგრამ ერთბაშად თვითონაც აღლვდა. საყვედური გულზე მოხვდა, რადგან წელან მართლაც ლაჩრულად შეშინდა, უცნობი ადამიანის, თუნდაც უმწეო და არაფრით საშიში გოგონას მოახლოებამ დააფრთხო და ახლა წელანდელი უნდობლობისა და სიფრთხილის შერცხვა, ამიტომ იჩქარა თავის მართლება და დაყვავებასთან ერთად მართას არწმუნებდა, მე შემიძლია კიდევ მოგისმინო, კიდევ გაგიგო და თუ მარტობა გაწუნებეს, ჩემს ათასმეგობრებიან წრესაც დაგაბლოვოო, ასეთი და ასეთი მეგობრები მყავსო, აი, მაგალითადო... და რამდენიმე წუთში ბნელ პარკში მჯდომი წყვილი დიდი ხნის ნაცნობებივით მზიარულად საუბრობდნენ, სანამ ერთიცა და მეორეც საბოლოოდ არ დაწყნარდნენ.

შესცივდათ. ნიკო გამოერკვა. აღლევებამ ტალღასავით გადაიარა. უცებ ახალი ძალით იფეთქა უნდობლობამ და ამ შეხვედრის უჩვეულობით აღძრულმა ექვემა. ცხადია, ეს ყველაფერი ზღაპარსა და მონაჩამას ჰგავდა. სინამდვილე კი, ალბათ, სულ სხვაგან შალავდა

თავის საიდუმლოს, თუმცა ნიკოს იგი ამოცნობილად ეჩვენებოდა. მისი აზრით, ამ საიდუმლოს სახელად ქალური ეშმაკობა ერქვა, დაუძლეველი ვნების ძალით ქალს ფანტასტიკურად გაბედულ ნაბიჯს რომ გადაადგმევინებს. თავდავიწყებად შეყვარებული უცნობი ქალის რომანტიკულმა ვერსიამ წამსვე ჯადოსნური მომზიბველობით დააჯერა თავი ნიკოს, რომელიც უკვე ამაყი მამალივით იფხორებოდა და ქალს ხვალ აქვე პარკის შესავლელთან პაემანს, ახლა კი გაცილებას სთავაზობდა, რაზეც მართამ მოკრძალებული უარი თქვა, მე ცოტა ხანს კიდევ აქ დავრჩებიო, მერე კი ჩემი გზით წავალ, სახვლიოდ შეხვედრას კი უეჭველად შეჰპირდა ნიკოს, თავის თავითა და ამ მოულოდნელი თავგადასავლით გაბრუნებულსა და ერთობ კმაყოფილს.

გათენდა. მზემ გამოიხედა. ნიკო საპაემნოდ მოეშადა. საღამოს მშობლები გვიანობამდე არ იქნებოდნენ შინ — სტუმრად აპირებდნენ წასვლას. ნიკომ, თავისი ჩვეულების საწინააღმდეგოდ, ნინოს არ ახარა ეს ამბავი, სამსახურიდან დაბრუნებულმა თავისი ოთახი მიიღავა, გაიპარა და გამოიპრანჭა. მაკივარში შამპანური ციკდებოდა, სააბაზანოში ახალი პირსახოციები ეყიდა, ერთი სიტყვით, პატარა ორგიისათვის ყველაფერი მზად იყო. მართალია, ბნელში წუხელ ნიკომ რიგინად ვერ მოახერხა მართას შეფასება, მაგრამ გადაწყვიტა, რომ ერთი საღამოს გამეტემა მაინც ღირდა თავდავიწყებით შეყვარებული გოგონასათვის მისი ქალური ავკარგობის მიუხედავად. კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, ნათქვამია — ნიკომ ნახევარ საათს უყურებდა დათქმულ ადგილას, ბოლოს კი მართამ მოუსვლელობით და ჩაშლილი პაემნით შეურაცხყოფილმა, ტრადიციული თავშესაფარი მეგობართა ჩვეულებორსადღევარძელოებიან წრეში კხოვა, რადგან საორგიოდ გამზადებული ცარიელი სახლის გახსენებაზე ერთ

წამს აზრად მოსული ჩანადიქორი, მოდი ნინოს მაინც დაეურეკავო, მუცხაყვანად უარპყო, როგორც ამოცნობილი ვნებელი.

„არაფერია“, — იფიქრა ნიკომ, „მაინც უშნო იყო“. უშნოც იყო და პერიფერიული წარმოშობისაც. ეს მეორე დღესვე ცხადი გახდა ნიკოსათვის — „ქალაქელ-სოფლელთა“ ამოცნობის შეუცდომელი სპეციალისტისათვის. მას თბილისელთა უმრავლესობის მსგავსად მეტროპოლიელი დიდკაცის ამბიცია სჭირდა და ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში მზად იყო ნებისმიერი, ისედაც დაკომპლექსებული პროვინციელი კიდევ უფრო დაეკომპლექსებინა. ამის შესაძლებლობა კი მეორე დღესვე იმიტომ მიეცა, რომ მართამ თავად მიაგნო სამსახურში, გამოეცხადა, გუშინდელი უპასუხისმგებლო საქციელის გამო ემოუბოდიშა, შემრცხვა და პაემანზე იმიტომ ვერ მოვედით, მერე კი დიდრონი თვალებით მიმნობლად შეაქჳრდა ნიკოს, თითქოს აქვე, ახლავე ელის დანაპირზე მეგობრობასა და თანადგომასო, რასაც, ძნელი ასახსნელია რით, მაგრამ მართლაც თითქოს იმსახურებდა, შესაძლოა იმით, რომ, როგორც ქალი, ნიკოსთვის ყოვლად უინტერესო იყო, ადამიანური თვალსაზრისით კი ერთსადაიმთავე დროს საცოდავიც და საქმოდ აბეზარიც, რაკი ასე დაეინებით მოაქითხა ნიკოს და მისი ვიზიტი ამიერიდან თითქმის ყოველდღიურ აუცილებლობად გადაიქცა ნიკოს ცხოვრებაში.

„ცოდავა“, ფიქრობდა ნიკო, „მართლა არაფერია ჰყავს“. დედა და მამა შორს იყვნენ სოფლად. მთელი გაზაფხულის განმავლობაში ნიკოს, თავისდა გასაოცრად, არ შეხვედრია მართას არც ერთი მეგობარი, ნათესავი ან დაახლოებული მეზობელი მაინც. სრული მარტობა ერტყა ირგვლივ. „დაუსწრებელზე“ სწავლობდა და, ამდენად, თანაკურსელებსაც ცუდად იცნობდა. მუშაობდა მედლად სასწრაფო დახმარებაში, რაც ოთხ დღეში ერთხელ მორიგეობას ნიშნავდა. სამსახურშიც გულ-



ჩათბრობილი ხასიათის გამო, კონტაქტი ვერავისთან დაემყარებინა ავადმყოფების გარდა, რომელთაგან ზოგიერთთან დასვენების დღეებშიც დაიარებოდა ხოლმე მოსაყოლად, რაც ყველას დიდად სასიამოვნოდ რჩებოდა, მაგრამ ეს ურთიერთობებიც სათნო თავაზიანობის ფარგლებს არასოდეს გადასცდენია.

წერდა. ხატავდა კიდევ. ნიჭი კი აქლდა. ძნელად თუ დაერქმეოდა მის შემოქმედს ლექსი, მოთბრობა ან ნახატი, სიმართლე ითქვას, კი არ აკლდა, სულ არ ჰქონდა ტალანტი. სამაგიეროდ, თვითგამოხატვის დაუძლეველი სურვილი ტანჯავდა და მართლაც მარტოობის მეტ ნაწილს უფერული და უსუსური ნაწარმოებების თხზვაში ატარებდა, თვითონ გარკვევით ვერ ახერხებდა მათ შეფასებას, რადგან საავტორო პრეტენზიები თვით ყველაზე ფუჭ და პრიმიტიულ შემოქმედებით პროცესსაც კი თან ახლავს. მართამ თავისთავად უფასური, მაგრამ მისთვის უაღრესად ინტიმური და ძვირფასი სამყაროს შემფასებელკრიტიკოსობა ნიკოს მიანდო და ეს უჩვეულო როლი, რომელიც, სწორედ იმიტომ, რომ ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის სრულიად არაფერს, ხოლო მარტოსული, შიშველნერვებიანი გოგონასათვის კი ყველაფერს ნიშნავდა, დიდ ტაქტსა და სინდისიერ მიდგომას მოითხოვდა ნიკოსაგან, რომელიც შეძლებისდაგვარად ცდილობდა დაუფარავად დაენახებინა მართასთვის მისი პოეტურ-მხატვრული მცდელობის უნაყოფობა ისე, რომ ამას გულის ტყენა არ მოჰყოლოდა.

ცდილობდა, ახერხებდა კიდევ, თითქოს ავადმყოფს მკურნალობდა, ნიკო უნებლიედ ჩაითრია ამ სპონტანური, არაპროფესიული ფსიქოთერაპიის უანგარო, კეთილმა აზარტმა. მართას არა მხოლოდ შემოქმედებითი წუხილები, არამედ უფრო მეტად გულის არეში შემავლოთებელი ტკივილები, უძილობა, უმიზეზო ფორიაქი და დეპრესიული ბნელ-ბნელი ფიქრები ტანჯავდნენ. ოცდაათი წლის ასაკში მეოცე საუკუნის საყმაწვილო სენი ვის არ მოუხდია და

ნიკოსაც არ გასჭირვებია ზუსტი დიაგნოზის დასმა. დაავადებულის კვლევებთან რომ სჭირდა, ხოლო ციფრულ-ანალიზულ წლის წინ კი ნიკოს, ისევე როგორც უამრავ მის ნაცნობსა და ტოლ-მეგობარს, სწავლულნიც და არასწავლულნიც ფსიქო-ნერვოს უწოდებენ, რაც მოჩვენებით ტკივილებში, სულიერ დისპარმონიასა და კიდევ მრავალ ჭანდაბა-ობრობაში გამოიხატება, მის განსაკურნად კი, როგორც გამოცდილებამ დაადასტურა, ყოველგვარ დამამშვიდებელ პრეპარატზე უკეთ შთამაგონებელი სიტყვა სჭრის, სიტყვა, რომელიც ამ ჭიუტი სენით შეპყრობილ ადამიანს თავდაპირველად არასგზით არ ეჭერება და რომელიც, ათასგვარი შესაძლებელი ინტერეტაციის მიუხედავად, საბოლოოდ გამოხატავს აზრს, რომ შენ ისეთი არაფერი გვირს, რომ ეს მხოლოდ ნერვებია, რომ გული ჭანსალი გაჭვს, რომ ცხოვრება არც ისე კუშტი და უსასოა და რომ ამ აზრის გამუდმებული თვითშთაგონება განკურნებისკენ მიმავალი ერთადერთი გზაა.

დათბა. ზამთარში ვადაირობა. წვიმებმა იმატა თბილისში. ისინი ხშირად ხედებოდნენ ერთმანეთს ან ნიკოს სამსახურში, ან მართას პატარა ნაქირავებოთაში. საუბრები ძირითადად, განყენებულ, ფილოსოფიურსა თუ შემოქმედებით საკითხებზე ჰქონდათ. მკურნალმა ავადმყოფის ნდობა მოიპოვა და, ამის კვალობაზე, მართამაც ნელ-ნელა უფრო დაუფარავად გამოუმეტა ან ნიკოს თავისი სულიერი ტკივილები. მართო ნერვოზულ მოვლენებში რომ ყოფილიყო საქმე, რა უშავდა. გულისა და თავის უსასრულო ტკივილებთან ერთად ხანდახან გონებას ბინდი ეკვრებოდა და ცნობიერება სასწაულებრივად სტოვებდა სხეულს, ჰკვებდა სივრცეს და სადღაც სხვაგან, სხვა ადამიანებისკენ მიექანებოდა, რასაც ერთგვარი სიზმრისეული სიცხადე ახლდა, ეს უცნაური შეგრძნება პირველ ხანებში პანიკურ შიშსა და ხანგრძლივ ნერვულ მოკში ავდებდა მართას, აძულებდა ყოველი შეტყვის მერე საშველად ეხმო

მეზობლებისა და ექიმებისათვის, მაგრამ რამდენიმე შემთხვევის შემდეგ გადაწყვიტა თავი შეეკავებინა, თუნდაც მომკვდარიყო, ავადმყოფობის შესახებ კი აღარავისათვის აღარაფერი ეთქვა.

შეშინდა. გიჟად ჩათვალეს. ეგებ გიჟიც იყო... ნიკო დაინტერესებით ეკითხებოდა, არკვევდა ამ უცნაურობის არსს. ჩანს, მართას ტელეპატიის შეტყუვის მსგავსი რამ სჭირდა. მისი გონება უცრად თითქოს სხვა ადამიანის სიახლოვეს, ზოგჯერ კი თვით სხვა ადამიანში ინაცვლებდა და ერთხანს მართას ცხადად შეედლო უცნობთა თუ ნაცნობთა ქცევებსა და ფიქრებს დაკვირვებოდა. ყოველივე ამას მეხსიერების გამოთიშვა არ ახლდა, რაც სიზმარს ამსგავსებდა ამ მოვლენას. ზოგიერთი ექიმის აზრით, ეს სწორედაც რომ უნებლიე ძილი და სიზმარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თვით მართამ მოგვიანებით, როდესაც ამ „სიზმრებს“ ასე თუ ისე შეეჩვია, ტელეპატიური გზით მიღებული ინფორმაციის ნამდვილობა რამდენჯერმე შეამოწმა და, თავისდა გასაოცრად დარწმუნდა, რომ იგი მართლა იგებდა სხვათა ამბებს, ზოგჯერ ერთობ ინტიმურსაც და საიდუმლოსაც, თუმცა მართა თავდამტყდარ გაუგებარ საოცრებას ვერავის უმხელდა, ემანდ საგიყეთში არ მიკრან თავიო, და მხოლოდ ნიკოსდა ანდო ეს ამბავი ბოლოს, ნიკოს, რომელმაც გულის სიღრმეში არ დაიჭერა ეს ზღაპარი, ახირებდად ან შეჭანებული გონების მოჩვენებად ჩათვალა, მაგრამ იოლად კი მონახა მისი განკურნების ხერხი, როდესაც მართას დარწმუნება დაუწყყო, ეგ სნება კი არა, სანატრელი ნიჭია, ჯადოქრობაა, რომლისაც ძალიან მშურსო, ერთი სიტყვით, გაუბიძგრუა სატყვიარი.

გაზაფხულდა. ადილდა მტკვარი. ქალაქელებმა სამოსი გაიხალვათეს. ქუჩებში გამოჩნდნენ თეთრად და ვარდისფრად აყვავებული ხეები, დაასხდნენ ალვის ტოტებს კვირტები, იფეთქეს ფოთლებმა და თბილისურად — საოცრად მოკლე ხანში — ამწვანდა არე-

მარე. მოვიდა ია — კონა სამ მანეთად, და იასამანი — ასეთივე ფასად, ჩულო მისმა უკანასკნელი კარიბჭე კრულს გაზაფხულს, რომლის განმავლობაშიც ერთმანეთს დაუახლოვდნენ ნიკო და მართა.

„გაიცანით, ეს მართაა“, ხშირად ამბობდა ნიკო — მან კეთილსინდისიერად და თანამიმდევრულად შეასრულა დანაპირები: თავის მეგობართა მრავალრიცხოვან წრეს — ქალაქის ინტელიგენტური უზნების რესპექტაბელურ ბინებში საღამოობით თავშეყრის მოყვარულ საზოგადოებას — ფრთხილი მორიდებით შეაპარა ახალი მეგობარი. თავიდან ამ ამბავს არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია და მოკრძალებული მართას სტუმრობა ახალ ნაცნობებთან ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ნიკოს მეგობრები ნებისმიერ ახალბედასთან უცერემონიო ფამილარობით იწყებდნენ „შენობით“ კონტაქტს, თუმცა ზედმეტ, არადელიკატურ ცნობისმოყვარობას უცხო ადამიანის მიმართ არასოდეს ამჟღავნებდნენ. მართას საშუალება მიეცა ჯერ ნიკოსთან ერთად, მერე კი მის გარეშეც ევლო ვიზიტებზე, ენახა ვიდეოფილმები, მიეღო მიპატიებება წვეულებებზე და თავი დაეღწია მარტობისათვის, რომელიც ახლა ლამაზი, თავაზიანი და საინტერესო ადამიანებით შეივსო.

„ჭრ-რ-რ“, ჭრიალებდა კარი. ნიკომ გულმოდგინედ დაზეთა. ონკანიდან წყალი წვეთავდა — ღონიერად მოქერა სჭირდებოდა. ფანჯარა ძლივს იხურებოდა, აქედან გამომდინარე, ძნელადვე იღებოდა. ნიკომ ხელის ერთი მოძრაობით გაასწორა ანჯამა, ხოლო ელექტრონათურა უბრალოდ თითის წაკვრას დასჯერდა: სასაცილო იყო — მართას ის მთელი ერთი თვის გადამწვარი ეგონა, თვითონ ვერ სწვდებოდა, ოთახში ყველაზე მაღალ ნივთზე, მაგიდაზეც რომ შემდგარიყო, ამიტომ ნიკოს სთხოვა, გამომიცვალო, მან კი წაქრა თითი და, თურმე გადამწვარი

კი არა, ოდნავ მოშვებული ყოფილიყო ეს უბრალო, ასსანთლიანი ნათურა, ახლა ხალისიანად რომ ანათებდა მართას მოკრძალებულ საცხოვრისს, რომელსაც ქალური სიკობტავითა და სიფაქიზით მორთულ-დალაგებულს, აშკარად აკლდა მამაკაცის უხეში, ძლიერი ხელი...

„ქალიშვილო, ერთი წუთით“, აეტორღიალა მართას მთვრალი. ნიკო ხუთიოდე ნაბიჯით ჩამორჩენოდა და ჩამუხლული ფეხსაცმლის ზონარს ისწორებდა. შემერთალი მართა, თითქოს მონუსხული, უმწეოდ მოიბუზა უგერგილოდ გაღრეკილი აბმახის წინაშე. ნიკოს ბევრი აღარ უფიქრია, თავმოყვარე სისხლი აუღუღდა, წამოხტა და ერთი თავით მაღალ მეტოქეს, რომელსაც ხელი უკვე გაეწვდინა შიშით თვალუბგაფართოებული მართასაკენ, რიხიანად დაუბღვირა. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ მომხდურს შეურაცხყოფელი ქათინაურები პირზე შეკეცივოდა — ჩვენ ბოდიშო, თავი დაეკრა ნიკოსათვის და თავისი გზით გაველო, რაც უმნიშვნელო ინციდენტის მშვიდობიან დასასრულს მოასწავებდა და თუმცა ნიკოს ეს ამბავი არაფრად ჩაუგდია, მართა სამ დღეს სულშეგუბებული იწვლებდა პირველგანცდილ ბედნიერებას — განცდას, რომელსაც მამაკაცური თანადგომისა და ზრუნვის საიმედო კედელი იწვევს ქალებში.

„გტკივა?“ კითხავდა ნიკო, „მართლა გტკივა თუ?...“ მართა უნებლიედ, ჩვეულების კარნახით გულზე მიდებულ ხელს ღიმილით ჩამოიღებდა. „რა თქმა უნდა, არაფერიც არ გტკივა!“ ჭიუტად განაგრძობდა შთაგონებით შეტევას ნიკო. მართა თავის ქნევით ეთანხმებოდა და ტკივილებიც თანდათან ქრებოდნენ. ქრებოდნენ, რადგან ცრუ ტკივილები იყვნენ, ისინი სისტემატურის სივდის, აუხდენელი ოცნებების, მშობელთა ხანგრძლივი მონატრების, ადამიანთა უხეშობის, უსწრაფესი ცხოვრების რიტმის, ინფორმაციის მოზღვავეებისა და ათასი სხვა წვრილმანი არეულობის შედეგად წარმოქმნილიყვნენ და ამიტომ, არც მთლად იოლად, მაგრამ მაინც იძუ-

ლებული იყვნენ უკან დაეხიათ დადებითი ემოციების წინაშე.

„იცი, — თქვა მამაკაცი, — მტკივნეულად აღარ ვწერ, აღარც ვწერ და აღარც ვხატავ, მართალი ვითხრა, აღარც მინდა“. ცრუ შემოქმედების მოთხოვნილება თავისთავად გაქრა, სამაგიეროდ მართა ახლა უკვე კრიტიკულად მოეკიდა თავის ძველ „ნაწარმოებებს“: ნახატების მთელი დასტა გადაურჩევლად გააყოლა მაკულატურას, არც კი დანანებია, ლექსებს კი დიდხანს უკირკიტა ბოლოს მხოლოდ ათიოდე ამოარჩია და ნიკოს სთხოვა საგულდაგულოდ წაეკითხა, რათა საბოლოოდ გამოეტანა განაჩენი, რომელიც საკმაოდ მოულოდნელი გამოდგა, რადგან ამ ათიოდე ლექსის წამკითხველი ნიკო კმაყოფილიც კი დარჩა და რაკი პოეზიაში თავს დიდად კომპეტენტურად არ თვლიდა, გადაწყვიტა რჩევისათვის ნაცნობი სპეციალისტებისათვის მიემართა, რაზედაც მართამ თვითონვე თქვა უარი, ჩემგან პოეტი მაინც არ გამოვაო, და ამ თავმდაბლური გადაწყვეტილებით წერტილი დაუსვა როგორც ნიკოს კონსულტაციებს, ისე საკუთარ შემოქმედებით კარიერასაც.

„შეგჩვიე“, თქვა მართამ. მეტი არაფერი უთქვამს. იგი მუდამ მორცხვად, შიშნულად გაურბოდა მადლიერების გამოხატვას. ნიკოც — უანგარო კეთილყოფელი — არ ითხოვდა სამაგიეროს. იგი გრძნობდა, რომ ამ უცხო ადამიანის ცხოვრებაში მთავარი ადგილი დაიჭირა. მას უფლება არ ჰქონდა ეს თითქოს უნებლიედ თავსმოხვეული მოვალეობა უგულვებელყო, მით უფრო, რომ უსიტყვოდ მადლიერებას მართას ყოველ შემოხედვასა თუ მოქმედებაში გრძნობდა, რაც სიბრაღულწარვე სიამაყეს აღუძრავდა და საკუთარი სიკეთის აღქმით ბედნიერებას განაცდევინებდა ნიკოს.

მალავდა, არ იმჩნევდა კმაყოფილებას, — ნიკოს თავგაბუზრებული უზომოდ კეთილი მფარველის ღუნე პოზა ეკირა. ამგვარი ნილაბი, მისი აზრით, ვაჟაკურ ღირსებას იცავდა. მა-

რთას შუბლზე ეწერა დაუმალავი სიხარული, რაც ნიკოს ქალური სისუსტის გამოხატულებად მიაჩნდა. მართა მართლაც შეიცვალა იმ გაზაფხულის განმავლობაში, გამოკეთდა, მარტოობა აღარ ტანჯავდა, ნევროზულ კრუ ჩივილებსაც უკლო, ტელეპათიურ გარდასახვებზე კი კრინტს აღარ ძრავდა და, რაკილა ადამიანს ერთხნობას ცოტა ჰყოფნის ხოლმე, იგი თავისი ბედით აშკარად კმაყოფილი ჩანდა.

ჩამოცხა. მოახლოვდა ზაფხული. მწვანედ დაიბურა ქალაქი. დადგა ფერად-ფერადი მანისტრებისა და თეთრი „ბოტასების“ დრო. ივნისს, რალა თქმა უნდა, ივლისი მოჰყვა, თბილისელებმა მყუდრო ავარაკებსა და ულტრაიისფერ პლაცებზე ფიჭის მოუხშირეს, რაც აგვისტოს პაპანაჭების მოახლოებას მოასწავებდა. სიცხე დაუნდობლად მიერეკებოდა ბედნიერ მოაგარაკებს და უმოწყალოდ სტანჯავდა უშვებულებოებს, მოუტლელებს, უფულოებს, უშანსოებსა და კიდევ სხვა მრავალი მიზეზის გამო ქალაქად დარჩენილ უიღბლოებს, რომელთა შორის თავიანთი უჩვეულო ურთიერთობით გართული ნიკო და მართაც იყვნენ.

„გოიშია“, ეუბნებოდნენ მეგობრები. „მერედა რა?!“ ეწინააღმდეგებოდა, ეურჩებოდა მათ ნიკო. მეგობრები, რალა თქმა უნდა, კამათს აღარ აგრძელებდნენ შეუტუნებელ ადამიანთან. მათ კარგა ხნის მანძილზე დელიკატურად აიტანეს ამ ეგზოტიკური ეგზემპლარის არსებობა საკუთარ პერსონათა სიახლოვეს, მაგრამ ახლა უკვე მოთმინება დაილია. გაშროკოცდა თავაზიან ღიმილთა სიღრმიდან დაუნდობელი ირონია, რომელსაც გულუბრყვილო მართა საბედნიეროდ ვერც კი ამჩნევდა. სამაგიეროდ, ნიკო ამჩნევდა და ცდილობდა მეგობართა დამცინავი ქილიკი, რომელიც დღითიდღე შეუბრალებლად ბასრდებოდა და თავხედდებოდა, რამენაირად აელავმა, მაგრამ ამ მცდელობის მიუხედავად, თუ სწორედ ამის გამო,

ეს ბასრი მახვილი მართასთან ერთად მზად იყო თვით ნიკოსაც დაეჭვებულა.

„უყვარს?!“ ილიმებდნენ მის შემხუშა „აბა, ბიჭო, საწყალი“ და ურცხვად, უხამსად იკრთებოდნენ. რა თქმა უნდა, სიუყვარულის ვერსია სერიოზულად არავის სჯეროდა, მათი კრიტიციუმიტ მართას შეყვარება საკოლმეურნეო საფრთხობელას შეყვარებას ნიშნავდა და ამიტომაც მცირე განსჯა-ჭორობის შემდეგ მამაკაცებს შორის ზვეულებრივი ბანალური მრუშობის ვერსიამ გაიმარჯვა. ნიკოს ასეთი უშნო და უღირსი ქალით ხანგრძლივი გართობა უბრალო სისუსტედ ჩაუთვალეს, რასაც კაცები, როგორც წესი, იოლად პატიობენ ერთმანეთს. ამიტომაც მალე მოეშვენ ბიჭები უჯდრის კორობას და მამაკაცის ბედ-იღბალზე თავდაპირველი შეშფოთებაც „ემანდ რაიმე შარში არ გაეხვიოსო“, მალე განუქარდათ, ბოლოს კი მთლიანად გადავიდნენ მათი აზრით უწყინარ, თუმცა საკმაოდ შეურაცხყოფელ შაყირზე, რაც ნიკოს გულს ტყენდა, რადგან იცოდა, რომ ვერასდიდებით ვერ დააჩერებდა მამაკაცებს, მასსა და მართას შორის „არაფერი რამ არ იყო“.

„უყვარს!“ იქუფრებოდნენ დედაკაცები, „გოედება, როგორ არა!“ ისინი მამაკაცათვის დამახასიათებელ უპატიოსნობად და უსინდისობად თვლიდნენ ნიკოს საქციელს. რასაკვირველია, მათი ქალური ბუნება ვერ ეგუებოდა ამგვარ „ცხოველურ“ გარყვნილებას, სწორედ „ცხოველურს“, თორემ გარყვნილების სხვა კულტურულ-ელვანტური ფორმები ასეთ უარყოფით დამოკიდებულებას ქალების მხრივ ნაკლებად იმსახურებდნენ ხოლმე. ჰოდა, მეგობართა მშვენიერი ნაწილი ერთობ მტრულად მოეკიდა ნიკოსა და მართას დაახლოებას, რადგან ქალებიც, მამაკაცთა მსგავსად, ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ასეთი ინტენსიური ურთიერთობა ინტიმური არ იყო. მაგრამ ქალები, მამაკაცთაგან განსხვავებით, უშიზო დაცივით და უხეშობით კი არ გამოხატავდნენ აღშფოთებას, არამედ

მიზანდასახული დიპლომატიური სკლებით, რაც მათის აზრით, კეთილშობილურ მიზანს ისახავდა, მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, როდესაც საქმეს ხელს ქალები ჰკიდებენ, ამ სკლებს უსიამოვნებისა და უბედურების გარდა სხვა რამ სიკეთე არ უნდა მოჰყოლოდა.

სწორედაც. მიზანს მიაღწიეს. ნინო საშინლად გაეჭვიანდა: „ან მე, ან მართა“. რაღა თქმა უნდა, ნიკომ სცადა საქმის არსი სწორად აეხსნა მისთვის, მაგრამ უბრალო განმარტება ვერ მოერია ქალთა საზოგადოებრივ აზრს და ნინომ სიმართლე უტიფარ ტყუილად მიიჩნია. ნიკო ნაწყენი დარჩა. რადგან ქვეყნად ცოტა რამაა უსამართლო უნდობლობაზე შეურაცხმყოფელი. კონფლიქტს შედეგად სერიოზული განხეთქილება მოჰყვა და ამრიგად, მრავალწლიანი, სიყვარულად მონათლული ურთიერთობა კრახით დასრულდა, თუმცა, ყველასთვის მოულოდნელად, თვით განშორებულნი ამ ამბავს მშვიდად, ტრაგიკული განცდების გარეშე შეხვდნენ.

„როგორ!“ აღშფოთდნენ მეგობრები, კაცებიცა და ქალებიც ერთნაირად: „ამ ვიღაც მაიმუხი გორსალა გიყის გამო დაქარგეს ერთმანეთი?!“ დაძაბულობამ, რაღა თქმა უნდა, იმატა — ბიჭებმა უფრო ბასრი და დაუნდობელი ხუმრობები მოიმარჯვეს, ხოლო გესლით აღსავსე გოგონების აფეთქებას აღარაფერი უკლდა. ყველაზე მეტად სავალალო კი ის იყო, რომ მართა გუმანითაც ვერ გრძნობდა მოსალოდნელ საფრთხეს, იგი კვლავინდებურად ბედნიერი გულუბრყვილობით შეჰხაროდა თავის ახალ მეგობრებს და აზრადაც არ მოსდიოდა, თუ რა ცუდი თვალით უკებდნენ ისინი, ანდა, რისიც ნიკოს ყველაფერზე მეტად ეშინოდა, რას ეტყოდნენ პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში, რა ტყვიის მიაყენებდნენ თვეების განმავლობაში ნალოლიაგებ ფსიქიკას და ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად ნიკომ თავის თავზე მიიღო დარტყმა, ისარგებლა იმით, რომ

მეგობრებმა (ბიჭებმაც და გოგონებმაც), პირველად მას გაუხსნეს კარტი, მას დაუწყეს მეგობრული ურთიერთობებით გაზაფხული ვითომ ქაუბან-მოსაყვანად გამოხსული საყვედურიანი ნოტაციების კითხვა, რასაც ნიკომ განზრახ გადაჭარბებული გაცხარებით უპასუხა, ზოგს გაღმა შეედეგა, ზოგს უკმებად მოაყვინთა, ზოგს აწყენინა, ამგვარად; გლობალური კონფლიქტის შედეგად დროებით ყველას ჩამოსცილდა და ამ ტაქტიკის მეოხებით მართაც ააცილა შეურაცხმყოფელ მითქმა-მოთქმასთან უბრალო შეხების საშიშროებას, თავისი წამოსვლით ისიც გამოარიდა უსიამოვნებას.

ადრტვინდნენ. მშობლები ადრტვინდნენ, ხმებმა ოჯახშიც შეაღწია: „ვიღაც მართას გამო დასცილდა ტოლმეგობრებს, აწყენინა მათ!“ ნიკოს სტუდენტობის მეტე აღარ სძენია მშობლების საყვედურები. ბრძოლისაგან ისედაც აღგზნებული ამ ახალი ფრონტის გახსნამ სულ გააცოფა და კონფლიქტმა ოჯახურ ასპარეზზე გადაინაცვლა. შეტაკება ელვისებურად დასრულდა, ვინაიდან ნიკომ არ ინდომა დიდაქტიკის მიღება, მან ცალი ყურადან მეორის გავლით სივრცეში გაგზავნა დედამისის ბუზღუნნი, კარი გამოიჯახუნა და ერთხანობას საერთოდ გაქრა ახლობელთა თვალთახედვიდან.

გაქრა. აგვისტოც მოვიდა. ქალაქში ხალხი გახალავდა. მეგობრებმაც და მშობლებმაც ზღვას მიაშურეს. დარჩნენ სამნი — ნიკო, მართა და ცარიელი ქალაქი. ქალაქი აკვირდებოდა უცნაურ, გარეგნულად შეუფერებელ წყვილს და აეჭვებდა მათი წყვილობა. ქალაქს, მეგობრებისა და მშობლებისაგან განსხვავებით, ჩინებული ინტუიცია ჰქონდა და საეჭვო ამბავი არასოდეს ჩაჰპარვია, ნიკოსა და მართას შემხედვარე კი ვერ ბედავდა ეფიქრა, ამ ბიჭსა და ამ გოგოს შორის რაიმე შრის მეგობრობის გარდაო. სწორედ ეს იყო ყველაზე უჩვეულო და უცნაური საუკუნეთა მანძილზე ათას მამამადლობაში გამობრძმედილი ქალაქისთვისაც და სა-

ერთოდაც ამ ყოველად არასტანდარტულ ურთიერთობაში, ერთ წვიმიან ღამეს უკაცრიელ სკვერში რომ ჩაისახა.

ცხელოდა. საშინლად ცხელოდა. ქალაქელები პლაცებზე შეადებოდნენ, ზღვაში ცურავდნენ, მთებზე აღიოდნენ, პამაკებში ეძინათ. ზოგიერთები, რა დასამალა, თვრებოდნენ, მრუშობდნენ და სხვა ცოდვებსაც ჩაღიოდნენ. ქალაქს უკვე მონატრებოდა ხალხმრავლობა და სექტემბერიც შორს აღარ იყო. მალე აავსებდნენ ქუჩებს მზით გარუჯული ღამაზ-ღამაზი გოგო-ბიჭები, განსაკუთრებით რომ იწონებენ თავს „შმოტყებითა“ და „ზაგრებით“. ღაზათს სწორედ ისინი მატებენ ქალაქს თავიანთი ხმაურიანი ლაპარაკებით, აბურღულ-დაბურღული ურთიერთდამოკიდებულებებითა და ინდფერენტულ-ექსტრაგავანტური ზნეობით, თორემ ყოველივე ამისაგან დაღლილი და ყოველივე ამას განრიდებული ოცდაათსაგადაცილებული უმცროსი ინსტრუქტორის უმწიველო და კეთილშოგფური მეგობრობა მარტოობით დაკომპლექსებულ პროვინციულ გოგონასთან ქალაქს აგვისტოს პაპანაქებასავით მომზერებოდა უკვე.

გადიზაფხულა, შემოდგომა დადგა, რთველი მოახლოვდა და ნიკოსაც დაუდგა, თუ შეიძლება ითქვას, მოსავლის აღების დრო. მან სიკეთე დათესა და შედეგიც სახეზე იყო. მართა სრულიად გაჯანსაღდა, რასაც ნიკო საკუთარ დამსახურებად თვლიდა. აღარც ნევროზული ტკივილები, აღარც გრაფომანული ჩივილები, აღარც ტელეპათური ქროლეები და აღარც მარტოობის თრთოლევები აღარ აწუხებდნენ მართას, და ამაზე ფიქრი დიდ სიხარულს ვერც და ნიკოს, რომელიც საკუთარმა კეთილქმნილობამ ამ ქვეყნის ფილოსოფიური განჭვრეტისაკენ და საერთოდ მშვიდი აზროვნებისაკენ საოცრად მიდრეკილი გახადა.

გამლიერდა, გონება დაეწმინდა, თა-

ვისი თავი ირწმუნა, დამწვიდდა და სალად აღიქვა საშუარო. უნდა იქნებოდა, სინდისმაც შეაწუხებდა, მაგრამ უნდა ყენინა, მშობლებიც გულნატყენი იყვნენ. ნიკომ სხვა თვლით შეხედა ყველაფერს, რაც მის ცხოვრებაში უკანასკნელი თვეების მანძილზე მოხდა. მიხვდა, რომ ბევრ შემთხვევაში მტყუანი იყო, ბევრი თავისი შეცდომა და ცუდი საქციელი დაინახა ნათლად.

დაფიქრდა, აწონ-დაწონა. სამსახურში ძველებურად დადიოდა, მაგრამ ახლა სხვაგვარად აღიქვა. ამ ასპარეზზე სამომავლო პერსპექტივა და დაწინაურებისაკენ სწრაფვის მცდარობა. ნიკომ — კეთილი საქმის ჩამდენმა და მადლცხებულმა — გადაჭრით განდევნა სამსახურებრივ კიბეზე ზეოცვისათვის საქმრო არაკაცური ფანდების შესაძლებლობა საკუთარი ცხოვრებიდან. მან ნათლად შეიგრძნო, სხვა თუ არაფერი, ჩამდენად უხალისო და უსიხარულო საქმიანობაა ლიქნა და მოწყალების გამოძალვა. მან ქვეყნად ყველაზე მიმზიდველსა და გემრიელ საქმეს — მოყვასისადმი დახმარებას — გაუსინჯა გემო, რამაც საშუალოდ წაუხდინა ყველანაირი სასუსნავისა და, მით უფრო ისეთი სისაძაგლის ჭამის მადა, როგორი სისაძაგლეცაა ამქვეყნად კარიერის კეთება.

ფიქრობდა. ფიქრობდა მშობლებზეც. უკვე არაბავშვურად ფიქრობდა. დედა და მამა უკეთესი მოპყრობის ღირსნი იყვნენ შეილისაგან. კვლავაც ძველებურად — ახალგაზრდულად ცხოვრობდნენ „ბებრები“. ნიკომ იგრძნო, რომ მათზე უფროსი იყო და მეტი მოეთხოვებოდა — მას, როგორც ყველაფრისმცოდნე, ყველაფრისმხედველსა და ყველაფრისგამგებ მშობელს, სიყვარულითა და დაყვავებით უნდა მოეთმინა დედ-მამის კაპრიზები და მოთხოვნები, მხოლოდ ერთზე უნდა ეზრუნა — მათთვის დადებითი ემოციების, სიხარულისა და სითბოს ჩუქებზე. სხვას აღარაფერს ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან ნიკოს კაცი ერქვა უკვე და ამ კაცური ფიქრის კვალდაკვალ პრაქტიკული ნა-

ბიჭები გადადგა თუ არა, როგორც არასდროს აქამდე, იდეალურად მოწესრიგდა ოჯახური ურთიერთობები.

ფიქრობდა. ფიქრობდა მეგობრებზეც, ფიქრობდა მრავალწევრიან წრეზე, ფიქრობდა მასში გაერთიანებულ ახლობლებზე და საკმაოდ შემთხვევით ხალხზე. ამ ხალხსაც, რატომღაც, მეგობრები ერქვათ. რამდენიმე კაცი ნამდვილად არ იყო დასაკარგი, დანარჩენებთან ურთიერთობის აუცილებლობას კი ნიკო ველარ ხედავდა. მან მეგობრობად წოდებული ურთიერთობის ფუძე ინერციადქცევის კანონზომიერება აღმოაჩინა, ამიტომ გადაწყვიტა, რომ ამ თავისმომაბეზრებელ, უაზრო დროს-გაყვანისათვის „დამეგობრებულ“ ჭრელ მასას ჩამოსცილებოდა, ხოლო ორიოდ ნამდვილი მეგობარი, ვინც მართლა გულით უყვარდა და ვისთვისაც თვითონაც ძვირფასი იყო, იოლად შემოირიგა.

ფიქრობდა. ფიქრობდა ნინოზეც. ფიქრს დანანება ახლდა. ენანებოდა ჩვეული სიტომ და სიამოვნება, მაგრამ, სიმათლეს ითქვას, ურთიერთობის აღდგენის სურვილი არ ჰქონია ნიკოს, ასეთი უტილიტარული, ურთიერთსარგებლობიანი, გრძობაგამოცლილი ურთიერთკავშირი მხოლოდ ნივთებს — ვთქვათ ბოქლომსა და გასაღებს, ან ბორბალსა და საბურავს შეიძლება ჰქონდეთ, აღმოიანები კი ამგვარ დამოკიდებულებას ან გამოთავყენებამდე მიჰყავს, ან სიგიჟემდე. ამიტომაც არ ღირდა ურთიერთობის აღდგენა, მით უფრო არ ღირდა ფიქრი ირინაზე — სტუდენტობისდროინდელ რომანტიულ სიყვარულზე, რადგან დღეს ამ რომანტიულ სიყვარულთან მიბრუნება უნაძუსობას, ცოდვასა და სიბინძურეს შეყრიდა ნიკოს, უსიამოვნების მეტს არავის არაფერს მოუტანდა, ჰოდა, სჯობდა მოგონებებში ისევ იმ ლამაზ რომანტიკად დარჩენილიყო.

ფიქრობდა. ბევრი იფიქრა. იფიქრა, იფიქრა და... ამდენი ფიქრის შედეგად ერთადერთ, მაგრამ ძვირფას დასკვნამდე მივიდა: კრიზისი, ნიკოსდა საბედ-

ნიეროდ, განქარდა: აღარც მიქნარება ტანჯავდა, აღარც საკუთრივე უმეცრობისა თუ არასაკმარისი შესაძლებლობები, პირიქით: საჭირო და აზრიანი იყო მისი — ნიკო კაბაძის — ამქვეყნიური არსებობა: გრძობდა, რომ ინდუფერენტობისა და დეპრესიისაგან საბოლოოდ განიკურნა. იმასაც გრძობდა, თუ რაოდენ მცდარი იყო მაშინდელი სულდაჩიავებული ყოფა სალი, საესე და დამკვიდრებული კაცის ახლანდელ მდგომარეობასთან შედარებით.

ფოთოლცვენაა. თბილი ამინდია. ლაზათიანი შემოდგომაა ქალაქში. დასვენებული და გალამაზებული თბილისელები ენერგიულად დააბიჯებენ ქუჩებში. ბაზრები, დროის შესაბამისად, მაძლარ ფერებად გამოშრირალი გულუხვი რთველის ნატურმორტებითაა სავსე. მზე ძირსდაშვებულ მარსრუტს მიჰყვება ცარგვალზე და დედამიწა ისე ძლიერ აღარ ხურდება. თბილა, რაც სავსებით ამართლებს ქალაქის სახელწოდებას. ზამთრის სიცივე კი, რომლის გარდუვალი მოახლოების შესახებ ყველამ იცის, ჯერ შორსაა და მასზე ფიქრით თავს არავინ იღლის, არავინ იმღერევს ნათელსა და კეთილ შემოდგომისეულ კმაყოფილებას.

დუმდნენ. სკამძელზე ისხდნენ. აღერსიან მზეს მიფიციხებოდნენ. ნიკო თვალმოხუჭული ასცქეროდა მნათობს და ვარდისფერი ნათლით ავსებულ იყო. კიდევ ერთხელ, ალბათ: მეათასეჯერ იაზრებდა მომზდარს. საკუთარ არსებაში აღმოჩენილ კეთილ შემობრუნებას ნიკო მართას უკავშირებდა — სწორედ მართასადმი დახმარებამ გამოიყვანა იგი სულიერი ჩიხიდან. თვალი გააზილა და დაფიქრებული მართა დაინახა — იქვე, მის გვერდით, სკამძელზე იჯდა და თვალით რამელიდაც წერტილს მიშტერებოდა. სიცოცხლეში პირველად მოუნდა ნიკოს მართასთვის ეკოცნა, ფრთხილად ეკოცნა მოწაფურად შეაგაყოფილ თმაზე ან მუხლზე, ამით გამოეხატა მადლიერება, მაგრამ

ნიკომ თავი შეიკავა, ამ დროს კი მართამ თქვა:

— გახსოვს ის საღამო, პარკში რომ შეგხვდით? ხომ გახსოვს? — ნიკოს არ უპასუხია, მზის სხივთაგან მოთენთილს ხმის ამოღება ეზედმეტა, თუმცაღა მოაგონდა ის ბნელი, ცივი შეხვედრა, არცთუ ხშირად, თითქმის არასდროს რომ არ გახსენებია აქამდე. რატომ? იქნებ იმიტომ, რომ იმ უცნაურ გაცნობას მომდევნო დღეს ჩაშლილი პეიზაჟი მოჰყვება, ახლა ღიმილისმომგვრელი, მაშინ კი კაცური ღირსების შეურაცხმყოფელი და ამდენად თავმოყვარეობის მიერ ტაბუდადებული, საგანგებოდ გადაიწყებულ. ან იქნებ საქმე ის იყო, რომ საერთოდ ადამიანები იშვიათად იხსენებენ ახლობლებთან ურთიერთობის პირველ წუთებს, რადგან მათ ხსოვნას მომდევნო წუთების, საათების და დღეების უთვალავი წყება შლის. ასე იყო თუ ისე, ნიკოს ახლად გაახსენდა ცხადად ის წვიმიანი საღამო და იდუმალი ბაღი, საკუთარი კრთომა და მართას ნათქვამი: „მე აქ გელოდით“.

მაშინდელზე რაღა ითქმის — ნიკოს ახლაც კი გაუკვირდა ეს სიტყვები. მართლაც, რატომ ელოდა მართა იქ, სადაც ნიკოს წესით არც კი უნდა გაველო? „მოდო, ვკითხავ“, გაიფიქრა და სივრცეში მაცქერალ მართას გახედა, მერე თვალი მის მზერას გააყოლა და იქვე მახლობლად ყვითელ ფოთლებში მოფუსფუსე ბელურა დაინახა, მაგრამ იმწამსვე ფრინველი თითქოს რაღაცამ შეაშინაო, შეფრთხილდა და გაფრინდა. ნიკო ანაზღად შეკრთა, თუმცა ბელურა არაფერ შუაში იყო — მას ტელეპატიური გარდასახვები გაახსენდა, რაზედაც მართა ერთხანობას უამბობდა და რაც ნიკომ, რაკიღა ვერაფერი გაუგო, არც დიდ რამედ ჩათვალა. „უცებ თითქოს ჩავიძინებდიო და მერე სხვის გონებაში აღმოვჩნდებოდიო“. მართას ამ აზირობასა და მათ უცნაურ პირველ შეხვედრას შორის ნიკომ რაღაც მოუხელთებელი, იდუმალი კავშირი შეიგრძნო და ისეთი შიში შე-

ცოცდა სხეულში, როგორსაც მხოლოდ საკუთარი ფიქრით შეხვედრა იწვევს ადამიანში. **ბიზლიჩინა**

„შორიდან გიცნობო, მითხრა მაშინ. იცრუა. რა თქმა უნდა, არ მიცნობდა“, იფიქრა ნიკომ და მთელი სიცხადით გაიხსენა ის დღე: (სამუშაოდან გამოსული ფეხით მიუყვებოდა ტალახიან ქუჩას. წვიმდა. გადაღლილ გონებაში ბოროტი ეშმაკუნები აღზევებულ იყვნენ, უსისტემოდ და არათანმიმდევრულად ფუთფუთებდნენ, რასაც ფიქრი ვერ დაერქმევოდა. დამქანცველ და უინტერესო სამსახურში დასაწინაურებლად, რაც ხელფასის მომატებას, მცირედენ პრესტიჟს, პრივილეგიას და კიდევ მეტის პერსპექტივას ნიშნავდა, რამდენიმე კონკურენტის გზიდან ჩამოშორება იყო საჭირო. მაგრამ მაშინ, იმ წვიმიან საღამოს ნიკო მათთან ანგარიშსწორების გონივრულ გეგმას როდი სახავდა, იგი ცბიერი და ლგარძლიანი ფიქრისმიერი ავსულებისგან წაქეზებული, უბრალოდ ბოროტად ოცნებობდა, აზრში კლავდა მეტოქეებს, იმათ საზარელ სიკვდილს ნატრობდა — განუტურნელი სენით, ან ავარიასი, ციხეში გზავნიდა ადამიანებს, რომლებსაც მისთვის არაფერი დაეშავებინათ იმის ვარდა, რომ მათაც ნიკოსავით შანსი ჰქონდათ ერთი საფეხურით ზეასულიყვნენ ჩინთა იერარქიულ კიბეზე. მიდიოდა ნიკო ნეონის ფანრების ბლანტი შუქით განათებულ ავტრიან ქუჩაში, საით თვითონაც არ იცოდა, ამოქნარებდა და გაბოროტებით ფიქრობდა თანამშრომლების განადგურებასა და საკუთარ წარმატებაზე. მერე აზრი უნებლიედ სხვაგან გადაუხტა — თავისი ნინო გაახსენდა, კი არ გაახსენდა, უბრალოდ თვალწინ აუთამაშდა მასთან გატარებული ნამალავი ტრფობის შიშველი სურათები. იმ დღესაც, შესვენებისას, ორიოდ საათით განმარტოდნენ უმშობლოდ დარჩენილ საბლში და ნაჩქარევი სიყვარული შეიტკბარუნეს, მაგრამ წვიმაში მოხეტიალე ნიკო იმდღევანდელ შეხვედრას კი არ იხსენებდა, არამედ თითქოს ისურვი-



ლებდა თავის ქალს, თუმცა ეს არაერთარ სიხარულს არ ანიჭებდა და თვალწინ აელვარებულ სურათებში ნინოს ადგილს უნებლიედ ირინა იჭერდა, ნინოსთან დაკავშირებული რეალობა ერწყმოდა ირინაზე, სტუდენტობისდროინდელ სწორფერზე, აწდაკარგულ და მამაკაცისცოლადქცეულ ქალზე მრუში ოცნება. იქვე ირაკლი გაჩნდა ფიქრში, გულკეთილი, პატიოსანი მეგობარი, ერთგულად უღიმოდნენ ნიკოს მისი თვალები სათვალის სქელი მინებიდან. ნიკო ცდილობდა სულში აძრული მტრული გრძნობა ირაკლისადმი რითიმე დაესაბუთებინა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა, რადგან ამ მტრობას იმას გარდა, რომ ერთ კაცს მეორის ცოლი უნდოდა, სხვა საბუთი არ გააჩნდა. ასეთი აწეწილ-ამღვრეული ფიქრით მიუყვებოდა ნიკო ქუჩას იმ ზამთრის დამით და ვერც კი გაეცნობიერებინა, თუ რარიგ იტანჯებოდა. მერე შეუბრალებელმა სასოწარკვეთამ მოიცივა უცებ, როდესაც გონებამ მანამდე მოუხელთებული და ბუნდოვანი აზრის კრთომა ნათლად, მკაფიოდ და პრიმიტიულად ჩამოყალიბებულ სიტყვებად აქცია: „არავის არ ვჭირდები!“ — გაისმა ხმა მალაღ ფიქრდაქცეული ფორმულა, რომელმაც დამორგუნველ, სევდითა და უმწეოებით აღსავსე ყრყოლად ჩაუბრინა სხეულში და სწორედ მაშინ იყო, იმ ჩაბნელებულ სკვერში რომ გადაუხვია ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე.

იქ კი მართა ელოდა. ასე უთხრა, გელოდიო.

ამ მოგონებისაგან აფორიაქებულმა ნიკომ ისევ გახედა მართას, რომელიც უკვე ბელურას კი არა — მას უტყეორდა და შეთქმულივით უღიმოდა. თუ ეჩვენება ნიკოს. მართა ძველებურად სიყვარულით, მაღლიერებით შესცქერის, ამას კი შეთქმულება ელანდება. განა რა დაუშავა მართამ ამ უნდობლობის ფასი, განა მუდამ გულმართალი არ იყო, ანდა იმ პირველი შეხვედრისას განა იცრუა, როცა ტირილით უთხრა, ძალიან მიჭირსო და დახმარე-

ბა სთხოვა. განა მართას ბრალია, ახლა რომ ძნელი გასარკვევად მისი სჭირდებოდა უფრო მეტად? — ეს სწორედ თუ ნიკოს მართა?

და მაინც, მართა ნიკოს ელოდა ცარიელ, ბნელსა და ცივ სკვერში მაშინ, როცა ნიკო ქუჩაში მიაბიჯებდა და სული სისაძაგლით ჰქონდა საესე. იმხანად საერთოდ ასეთი იყო — გაბორტებული, ცოდვიანი და მართაც იმხანად თურმე სულ ელოდა ნიკოს. ეს კი... ეს კი შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ მართამ იცოდა... იცოდა... ყველაფერი...

აკოცა. ფრთხილად აკოცა. მერე კიდევ დიდხანს დღმდა. მართაც არაფერს ამბობდა, მზეს აპყურებდა. ერთხანს ასე ისხდნენ, მერე კი ჩვეულებრივ, ვითომც აქ არაფერიაო, ერთმანეთს დასცილდნენ. შემოდგომის იმ ღამეზე, მზიან დღეს ნიკო სამსახურში წაივია, მართამ შინისაკენ გასწია. დასცილდნენ ისე, როგორც სცილდებოდნენ თითქმის ყოველდღე, რათა მალე ისევ შეხვედროდნენ ერთმანეთს. ერთია ოღონდ — ნიკო ცდილობდა თავისი მიხვედრით გამოწვეული გაოგნება არა შეტყობოდა, არ უნდა გაემელავებინა, თუ რა მეხად, რა მოულოდნელობად, რა აუხსნელ უცნაურობად დაატყდა თავს საიდუმლოების ასე უბრალოდ და მიამიტად გამელავნება, რამაც დამორგუნველი შიში და აუხსნელი ძრწოლა მოკვეარა.

მორჩა. ნიკო დაიკარგება. ნიკო მართას დაეკარგება. ამ მზიანი დღის შემდეგ ისინი აღარასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს. მართაც, ალბათ მიუხვდება სურვილს, სურვილს კი არა, უფრო სწორად, შიშს, შიშს თუ უმწეობას, რომელიც ნიკოს ამ ურთიერთობიდან სწორედ მაშინ გააქცევს, როდესაც ორივენი, ასე თუ ისე, ერთიმეორეს დაეხმარნენ და ორივენი კარგად გრძნობდნენ ამ დახმარების კეთილ შედეგებს. ამ დღიდან საბოლოოდ შეწყდება მათი მეგობრობა — ნიკო აღარ მივა მართასთან. აღარც მართა გამოჩნდება და მის ასავალ-დასავალს ნიკო ცხოვ-

რებაში აღარასოდეს გაიგებს. პირველ ხანებში ნიკო შვებით ამოისუნთქავს, რადგან მართა ნიკოს შეამონებს, მიახვედრებს, რომ შეუძლებელია არ გაექცე აღმინას, ვისაც შენი ფიქრების, გულის ყველაზე ბნელ კუთხეში მიჩქმალული ცოდვიანი ფიქრების დანახვისა და გაშიშვლების უნარი გააჩნია.

გაქცევა. ფიზიკურად გაქცევა, მაგრამ მხოლოდ ფიზიკურად: ნიკოს სამუდამოდ გაჰყვება მართას შეგრძნება, შიში თუ რიდი: იმის შეგრძნება, რომ არსებობს ამ ქვეყნად ვილაც, ვისაც ყველაზე საიდუმლო ფიქრსაც კი ვერ დაუმალავ, გულში რაც არ უნდა გაივლო, გაიგებს, თითქოს მარტო აღარა ხარ შენს თავთან, თითქოს ვილაცის თუ რალაცის თვალი მუდმივად გამოწმებს. ეს შეგრძნება ერთხანს გატანჯავს ნიკოს, მაგრამ შემდეგ თანდათან შეეჩვევა და ის დროც მოვა, როცა მადლიერებით იფიქრებს, რომ ამ გრძნობამ მას დიდი სიკეთე მოუტანა, უკეთეს კაცად აქცია ამქვეყნად.

თბილა. მზიანი დღეა. შემოდგომა ზე-ლა იწურება. ახლოვდება თბილი, ტალახიანი თბილისური ზამთარი. ზამთარში ქალაქი, როგორც ყოველთვის, მოიწყენს. თოვლის იმედი ნაყლებად და ნიკოსაც ისე მოეჩვენება, რომ ეს უღიმღამო ამინდი, თითქოს მუდმივად რომ დასწებებია დედამიწას, სწორედ ეს მოღუშული ცა და ლაფით სავსე ქალაქი გამოხატავს ზუსტად ამქვეყნიური ყოფიერების არსსა და მულამს. მაგრამ ამიერიდან ნიკოს არც ის დაავიწყდება, რომ ეს ყველაფერი „თითქოს“ არის და არა „მართლა“. და რაკილა არ დაავიწყდება, თავის დაფიქრებულ, ჩვეულებრივ სვლას განაგრძობს თავის ქალაქში, ქალაქში, სადაც პედანტურად მისდევენ ერთმანეთს გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი, თუმცა ზამთარი ზამთარს არ ჰგავს და გაზაფხული—გაზაფხულს, სადაც ზაფხულში პაპანაქება იცის და რომელიც, კაცმა რომ თქვას, ერთი ჩვეულებრივი, მრავალი სხვა ქალაქის მსგავსი ქალაქია და მეტი არაფერი.

## ბ ი ბ ო

დინჯი კაცი ვარ და სხვის საქმეში ჩარევა არ მიყვარს. კინოოპერატორობა ჩემი ხელობა და როცა მსახიობების შერჩევაზე მიდგება ჩერი, აზრის გამოთქმა სულაც არ მევალება, მხოლოდ კუთხეში წყნარად ჯდომა და დაკვირვება მმართველს.

ამჯერადაც — როგორც კი ახალ ფილმზე მუშაობას შევეუდქით, ანუ „კინოშნიკურად“ რომ ვთქვა, „მოსამზადებელ პერიოდში ჩავეშვით“, მაშინვე მოვიხელთე მყუდრო სავარძელი ფანჯარასთან, რათა იქედან შეცქირა ყველაფრისთვის, რაც გადამღები ჯგუფის ოთახში მოხდებოდა.

ჩემზე უფრო მოცილები კომპოზიტორი და ხმის ოპერატორი იყვნენ. მათ შეეძლოთ გადაღებების დაწყებამდე საერთოდ არ ევლოთ სტუდიაში, მაგრამ მაინც დადიოდნენ, რადგან ერ-

თმანეთი უყვარდათ. კომპოზიტორი ახალგაზრდული იერის თმაშვევრცხილი ორმოცდაათი წლის მამაკაცი იყო, ხმის ოპერატორი კი — ოცდახუთი წლის კუდაბზიკა გოგო. კომპოზიტორს ორი შვილი ჰყავდა ხმის ოპერატორზე უფროსი, მაგრამ სიყვარულისთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამიტომ ისინი საათობით ისხდნენ დივანზე, ერთმანეთს თვლებში შესციციებდნენ და ხმამალა ჩურჩულებდნენ. (იმის თქმა მინდა, რომ სიტყვებს ვერ გაარჩევდა კაცი, მაგრამ „ჩუ-ჩუ-ჩუ“ კი გაისმოდა გაუთავებლად). მათ ზემოთ, კედელზე მსახიობთა სურათებიანი მუყაოს დიდი სტენდი ეკიდა და მომავალი ფილმის გმირები ნალვლიანად დაჰყურებდნენ დივანზე მოკალათებულ შეყვარებულებს.

რომ ვთქვი, მხოლოდ ჯდომა და დაკვირება მომეთხოვება-მეთქი, რა თქმა უნდა, გადავჯარბე — მოსამზადებელ ეტაპზე კინოოპერატორებსაც ბლომად გვაქვს საქმე: ტექნიკური აღჭურვილობის მოწესრიგება, ფირის მომარაგება, სასინჯი გადაღებები და უამრავი სხვა. მაგრამ იმხანად უკვე ყველაფერი მომარაგებულ-მოწესრიგებული მქონდა, სასინჯ გადაღებებს კი მანამ ვერ დავიწყებდით, სანამ დეკორაციას არ ააგებდნენ. ამ საქმეს ფილმის დამდგმელი მხატვარი უძღვებოდა; იგი დილიდან საღამომდე პავილიონში ფუს-ფუსებდა, ამიტომ ჩვენს მოთხრობაში არცერთხელ არ გამოჩნდება, მით უფრო, რომ ეს ამბავი მას სრულებით არ ეხება.

ჩვენი რეჟისორი რთული პრობლემის წინ იდგა — მთავარი როლის შემსრულებელ გოგონას ეძებდა, აჩემებული მქონდა, მაღალი და ქერათმიანი უნდა იყოს. ასისტენტს ყოველდღიურად მოჰყავდა ნაირ-ნაირი ასულები. ჩვენ მათ მუშტრის თვლით ვსინჯავდით, ვესაუბრებოდით და ვისტუმრებდით, ზოგიერთს ზრდილობისათვის ფრტოსურათს ვუღებდით, მაგრამ რეჟისორს არცერთი არ მოსწონდა. მას, მართალია, მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი მაღალი და ქერათმიანი ქალიშვილის მოძებნა, მაგრამ ასისტენტს — თავის საქმეზე ფანტიკურად შეყვარებულ შინაბერა ქალს — ყველანაირები მოჰყავდა მათ შორის შავგვრემანებიცა და დაბლებიც, რადგან ყველამ იცის, თუ რა ფშუტეა რეჟისორების კაბრიზი — ერთს მოითხოვენ, მერე კი სულ სხვა რამ მოეწონებათ.

არც მორიგ კანდიდატურას მქონდა საჭირო გარეგნობა — ტანმოორჩილი, წელწერილი გოგო იყო, ვეებერთელა მკერდი და წყლიანი შავი თვალები მქონდა, შემკრთალი იდგა შუა ოთახში და დაჯდომას ვერ ბედავდა.

— გავიცნოთ ერთმანეთი, — თქვა რეჟისორმა, — მე რეჟისორი ვარ, ეს ოპერატორია, ეს კომპოზიტორი, ეს

ხმის ოპერატორი, დოდოს თქვენ უკვე იცნობთ — ასისტენტს ჩვენსაა სახელი?

— ნინო, — თქვა ნინომ სიფრთხიანად ხმით.

— ძალიან კარგი, ნინო, დაქეცი, — თქვა რეჟისორმა.

ნინო დაქდა. ამ დროს ტელეფონმა დარეკა რეჟისორმა ყურმილი აიღო და, გისმენთო, თქვა, მერე კი სახეზე უახრო და უმიზნო ლიმილი გაეწეა. ეს ნიშნავდა, რომ ხაზზე მისი ცოლი იყო. რეჟისორმა პირველი „გისმენთ“ რომ თქვა, მერე ხმა აღარ ამოუღია, ბარე ათი წუთი უსიტყვოდ ისმენდა მხოლოდ მისი ყურთასმენისთვის განკუთვნილ მონოლოგს.

ამასობაში მე პროფესიული კეთილსინდისიერებით ვათვალისწინებდი შემკრთალ გოგონას, რომელსაც საოცრად დიდი მკერდი, ლამაზი, ოდნავ ელამი შავი თვალები და ბავშვურად მიამიტი გამომეტყველება მქონდა.

„არ გამოგვადგება“, გავიფიქრე.

— რომელი კატა? — ჰკითხა რეჟისორმა ყურმილს და კვლავ დუმილში დღინთქა. მე გავხედე და შევნიშნე, რომ ძალიან უცნაური მზერა მიეპყრო ნინოსათვის. — ასე უცქერენ ძველ ნაცნობს, როცა ვერ იხსენებენ, ვინ არის და საიდან ეცნობათ. მერე ისევ ნინოს გადავხედე და მოულოდნელად მეც მომიჩვენა, ეს ადამიანი სადღაც შინა-ხავს-მეთქი.

ერთხანს ოთახში მხოლოდ შეყვარებულთა ხმამაღალი „ჩუ-ჩუ-ჩუ“ ისმოდა. ხმის ოპერატორს აღურსიანად მოეხვია ხელი კომპოზიტორისთვის და ქალარანარეე თმას ლომის ფაფარივით უწეწავდა. ლომს კი ჰგავდა კომპოზიტორი, მაგრამ მე შინაც ვიფიქრე, ბიჭ-ბუჭურად აუწერუკებულ შუა ხნის კაცზე სასაცილო ქვეყნად არავინ არის მეთქი. გავიფიქრე, მაგრამ არც გამღიმება.

რეჟისორმა ცოლთან ლაპარაკი მოამთავრა და ნინოს მიუბრუნდა:

— ნინო! სად სწავლობთ?

— არსად, სკოლა წელს დაეამთავრე.

— გინდა კინოში გადაღება?

— ძალიან! — დაუფარავი სურვილით თქვა ნინომ, სიფრთხიანა ხმა სულ აუთრთოლდა, — ძალიან! მე ძალიან დიდი ხანია ვოცნებობ, რომ კინოში გადამიღონ, ძალიან დიდი ხანია! ეს ჩემი სიცოცხლის მიზანია!

— რამდენი წლის ხარ? — გაეღიმა რეჟისორს.

— თექვსმეტის, თქვა ნინომ.

— ძალიან დიდი ხანი რამდენია?

— მესამე კლასიდან, — განაცხადა ნინომ, — ცხრა წლის ვიყავი მაშინ, ერთ ფილმში გადამიღეს, მაგრამ მერე რომ ვნახე, აღარ ვიყავი, ეტყობა ამომპურეს. იმის მერე სულ დავდივარ კინოსტუდიაში, აქ ჩემი ტელეფონი ყველა რეჟისორს ჩავაწერინე, მაგრამ რატომღაც დღემდე არავინ მიირეკავს.

ამ ბავშვურ გულუბრყვილობაზე ლამის გაგვეცინა.

— ეგ არაფერი, — უთხრა რეჟისორმა, — ჩააბარე თეატრალურში სამსახიობოზე და მოესწრები გადაღებას, შეიძლება მოგებზრდეს კიდეც.

ნინომ თავი საწყლად ჩაიქნია, მოიბუზა ბელურასავით და ძლივსგასაგონად ჩაიბუტბუტა:

— არა! მე ვერასდროს ვერ გავხდები მსახიობი.

— რატომ, კაცო? — გაიკვირვა რეჟისორმა.

— დედა და მამა წინააღმდეგები არიან, იმათ უნდათ რომ ექიმი გამოვიდე. მე კიდე ვერ ვიტან ექიმებს, არც სისხლის დანახვა შემიძლია, მკვდრებისაც მეშინია.

— მერე ვერ აუხსნი? — ჰკითხა რეჟისორმა.

— ვერა, მთელი ცხოვრება ვუხსნი, მაგრამ არაფერი გამოდის. უკვე ვეშაღები ბიოლოგიაში და ქიმიკში. აქ ჩუმაღ, დაუკითხავად გამოვიპარე, რომ სკოლნოდათ, არ გამომიშვებდნენ.

— რატომ, კაცო, რა აქვთ ასეთი საწინააღმდეგო? — ისევ გაიკვირვა რეჟისორმა.

— იცით, თქვენ — ხელოვნების ხალხი — თავისუფლები ხართ ერთმა-

ნეთთან ურთიერთობაში და ამიტომ იმათ გონიათ, რომ... მარტენი... მორიდებულად შეჩერდნენ. რადგან ტექნიკური სიტყვა ვეღარ იპოვნა.

— ჰო, რაო, რა ჰგონიათ?

ამ დროს კომპოზიტორმა ხმაშეშალა დააცემინა და ლომის ფაფარი შეარხია. ისა და ხმის ოპერატორი ვერც კი გვაჩვენებდნენ, აქ თუ ვიყავით.

— შენ თვითონ როგორ გგონია? — ჰკითხა რეჟისორმა ნინოს.

— მე ვიცი, რომ ასე არ არის, — თქვა ნინომ, — თქვენ უბრალოდ მართლა თავისუფლები ხართ. ხელოვნების ადამიანები ყველანი კეთილები და კარგები არიან.

— მდა, — თქვა რეჟისორმა და მერე დაუმატა: — ძალიან კარგი.

რეჟისორი ისევ უყურებდა ნინოს ისე, როგორც კარგ ძველ ნაცნობს, ოღონდ ამჯერად თითქოს უკვე მიმხვდარიყო მის ვინაობას. რეჟისორს სევდიანი ღიმილი და ალტაცება ჩასდგომოდა თვალებში. ვცაღე გამომეცნო რას ნიშნავდა ეს მხერა და ნინოს შევხედე. იგი ისევ თავჩაქინდრული იჯდა და კვლავ მომეჩვენა, საიდანლაც მეცნობა-მეთქი.

— ახლა ერთი თამაში ვითამაშოთ მე და შენ, ნინო, — თქვა რეჟისორმა, — გულახდილობანა! ეს თამაში იმისთვისაა საჭირო, რომ უკეთ გაგიცნოთ. მე შენ კითხვებს დაგისვამ, შენ შეგიძლია ყველა კითხვაზე არ მიპასუხო, მაგრამ თუ მიპასუხებ, სიმართლე უნდა მითხრა თუ სიმართლის თქმა მოგერიდება, მაშინ პირდაპირ მითხარი, მაგ კითხვაზე ვერ გიპასუხებ-თქო. კარგი?

ამ სიტყვებში ნინოს, რომელსაც უკვე იმედი გადაწურული ჰქონდა, „უაჩით მისტუმრებენო“, სახე გაუნათა და გაბრწყინებულმა „კარგიო“, თავი დააკანტურა.

ვიცოდი, რასაც მოასწავებდა ეს ყველაფერი: თამაში არაფერ შუაში იყო. რეჟისორს, რომელიც, სხვათა შორის ჩემი ბავშვობის მეგობარია და მოხარულს ვიცნობ, არაერთხელ გამოუყენებია ფსიქოლოგიური ტესტირების მე-

თოდი, რომელიც მე უხამსად და არა-ეთიკურად მომაჩნია. ქვეიან და გამობ-რძმედილ ადამიანს ამით ვერ მოატყუ-ებ, გულუბრყვილო ხალხს, მით უფრო კი ნინოსთანა მიაშიტ გოგონას ამ თა-მაშის წყალობით სულშიც ჩაუძვრები და, თუ გინდა, კაბის ქვეშაც შეხედავ.

— ოლონდ ჭერ მე შეგეკითხებით ერთ რამეს, თუ შეიძლება, — მოუთ-მენლად თქვა ნინომ.

— კი ბატონო, — დაყაბულდა რე-ეისორი.

— ეს თამაში, ეს, ეს... — ნინო აღე-ლევებისაგან ხმას ვეღარ იმორჩილებდა, ლოყები წამოუწითლდა, — ეს თამაში იმას ნიშნავს, რომ თქვენ მე გადამი-ლებთ?!

რეეისორს გაეცინა:

— კი მაგრამ, რომ გადაგილო, მერე შენი მამა რას მიზამს?

ნინო წამით შეცბა, მაგრამ რეეისო-რის სახის გამომეტყველებამ მოახვედ-რა, რომ ეს მხოლოდ ხუმრობა იყო.

— თუცა ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს, ჩვენ კიდეე არავისი არ გვე-შინია, — თქვა რეეისორმა და ისევ გა-იცინა, მერე კი მოჩვენებითი სიშკაც-რით დაუმატა: — ნინო, შენ უნდა იცოდე, რომ კინოში ასეთი წესია: მსახიობი როლზე მტკიცდება გადალე-ბის წინა დღეს, მანამდე არსებობენ მხოლოდ კანდიდატები. წინასწარ შე-პირება აკრძალულია!

ამ სიტყვების მიუხედავად ნინო უე-ვე ისე შესტკეროდა რეეისორს, რო-გორც განსხვულებულ ღმერთს, სათა-ყვანებელ გმირს და ამ გამოხედვაში ნათლად ჩანდა, თუ რა განუყოფლად და გაუზარებლად იყო შერწყმული მის ჩამოუყალიბებელ არსებაში კინომსახი-ობობის ბავშვური ნატურა და ქალური ინსტინქტის ახლადმოზღვაებული, ყო-ვლისწამლეკავი ენერჯია.

ამას, მე თუ შეითხავენ, ტესტი სულ აღარ სჭირდება.

მაგრამ რეეისორი მაინც შეუდგა სა-ქმეს.

— სიგარეტი თუ მოგიწევია?

— დიას, — გამოტყდა გახალისე-ბული ნინო.

— მშობლებმა შეგებამა?

— არა.

— მშობლები ხშირად მოგიტყუებია?

— დიას, საკმაოდ.

ამრიგად, გულაზდილობა უკვე სა-ხეზე იყო.

— კარგი. ვთქვათ უცხო ქალაქში ხარ, სადაც არავინ გიცნობს. მიდიხარ ქუჩაში და შენს წინ მიმავალ ადამიანს ფულით გატენილი ჩანთა დაუვარდა. რას იზამდი?

— დავეწეოდი და მიეცემდი.

— რომ ვერ დაწეოდი?

— მაშინ მილიციაში წაგიღებდი ან გაზეთში გამოვაცხადებდი.

არ ტყუოდა. ბავშვი იყო და ასე ფი-ქრობდა. შესაძლოა ასეც ექნა, როცა გაიზრდებოდა და მის ზნეობას ცხოვ-რება გამოსცდიდა. რეეისორი პასუ-ხებს ყურს არ უგდებდა. აქამდე იგი მხოლოდ ზეერავდა, ყურადღების მომ-დუნებელ მანევრს ატარებდა, ახლა მა-ლულად მთავარ კითხვას შეაპარებდა.

— კარგი. ვთქვათ ისევ იმ უცხო ქალაქში ხარ, არავინ გიცნობს. მიდი-ხარ ქუჩაში და ხედავ ბიჭს, ისეთს, როგორიც შენ მოგწონს. გიყვარს ვინ-მე?

— არა. მეექვსე-მეშვიდე კლასებში ერთი ბიჭი მიყვარდა. ახლა არავინ.

— კარგი, მაგრამ ხომ არსებობს მა-მაკაცის ტიპი, რომელიც ძალიან მო-გეწონებოდა. პოდა, ხედავ, რომ ეს ბი-ჭი მოდის შენთან და, თქვენი გაცნობა მინდაო, გუუბნება. გაეცნობოდი?

— გვეცნობოდი, — უყოყმანოდ თქვა ნინომ.

— კარგი. ახლა ვთქვათ კინოში გე-პატყვება, ანდა კაფეში ჭიჭა ყავაზე-წყაყვებოდი?

— შევხედავდი და თუ ვიგრძნობდი, რომ კარგი ადამიანია, წაყვებოდი.

— კარგი. ახლა გამოხვედით კაფე-დან. იქ ყავა და შამპანური მიიერთეთ. უკვე საღამოა. მოდიხარ ქუჩაში. ის ჩერდება ერთ სახლთან და გუუბნება:

მე აქ მარტო ვცხოვრობ და ცოტა ხნით ჩემთან ავიდეთო. აუკებოდი?

— არა, — თქვა ნინომ, — ვეტყვოდი, რომ უკვე გვიანი.

— ეს უცხო ქალაქია, არავენ არ გიცნობს, არავენ არ გელოდება. მაინც?

— მაინც არ აუკებოდი, — თქვა ნინომ.

— თუ კი გეტყვოდა, მეზღვაური ვარ, გუშინ ამერიკიდან ჩამოვედი, არაჩვეულებრივი ფირფიტები ჩამოვიტანე და მოგასმენინებო, არც მაშინ?

— არც მაშინ.

— და თუ კი გეტყვოდა, რომ კინორეჟისორია და ფილმში გადაგიღებს?

— მაშინ გაუკებოდი, — თქვა ნინომ.

«და თუკი გეტყვოდა, რომ ცოლი ჰყავს, მამად გერგება, შენხელა შვილის პატრონია და უნამუსო მამამაღლია, მაშინ?» — გავიფიქრე, მაგრამ, რა თქმა უნდა ენას კბილი დავაჭირე.

— კარგი. — მოსხიპა რეჟისორმა, წარმატებული ტესტით გახარებულმა და აღელვებულმა. მერე კი სასწრაფოდ, დაფიქრების საშუალება რომ არ მიეცა, უთხრა, — ახლა ბარემ შენი არტისტული შესაძლებლობებიც ენახოთ, თუ იცი, რა არის აფექტური მოძრაობა? აი, იჯექი მანდ და მაჩვენე, დილით როგორ საუბრობ. წარმოიდგინე, რომ შენს წინ ჩაიდანია, ფინჯანი, საშაქრე და სხვა ყველაფერი. ვითომ საუბრობ. აბა, მიდი, ნუ მოგერიდება.

თავგზაბნეულმა გოგონამ სცადა დავალების შესრულება, მაგრამ ცხადი შეიქნა, რომ პლასტიკა არ ჰქონდა.

მერე რეჟისორმა თხოვა ნინოს ამდგარიყო და რომელიმე ცხოველი გამოესახა. ნინო ფეხებდაბორკილივით წამოღგა და სულმთლად დაიბნა, აღარ იცოდა, რა ექნა. რეჟისორმა ბელურა შესთავაზა. ნინო საცოდავად მოიბუზა და სწორედ იმ წამს მივხვდი, რატომ მეცნობოდა ასე.

ნინო ანკას ჰგავდა. ანკაც ასეთივე დიდმეკრდა და წყლიანთვალა იყო და, რაც მთავარია, ანკა პირველი ქალი იყო რეჟისორის ცხოვრებაში. ერთი წლით

იყო ჩვენზე უფროსი და მეთერთმეტე კლასში რომ ვიყავით, სწორედ მაშინ გააბეს დიდი ამბავი ~~ჩვენს~~ ანკამ. რეჟისორს ანკა არ უყვარდა. ანკასთანა გოგოს შეყვარება არ იქნებოდა, მაგრამ პირველი ქალი კი იყო და რაღა ბევრი ლაპარაკი უნდოდა, რას ნიშნავს პირველი ქალი ჩვიდმეტი წლის ბიჭისათვის, ან იმ ასაკის კაცისთვის, როცა უკვე ეჭვი გლრღნის, ვაითუ ახალგაზრდობამ საბოლოოდ აიკრა გუდა-ნაბადიო.

რეჟისორს შევხედე: ფრთები გამოსხმოდა, მაგრამ არ იმჩნევდა, საქმიანად ლაპარაკობდა:

— ახლა ჩენი პირველი შეხვედრა ამით დავასრულოთ. თუმცა იქნებ ფორტოებიც ახლავე გადაგველო. სად არის ფორტოგრაფი?

— დღეს არ გამოჩენილა. ხვალ ხუთ საათზე მოვა, — თქვა დოდომ, რომელიც ამ ხნის განმავლობაში თავაუღებლად ჩაჰკირკიტებდა კალენდარულ გეგმას.

— კეთილი. მაშინ ხვალ ხუთ საათზე გელოდებით, — უთხრა რეჟისორმა ნინოს, რომელიც ისევ მობუზული ბელურასავით იდგა შუა ოთახში და არსად წასვლა არ უნდოდა, მაგრამ ასისტენტი დოდო ზუსტი მექანიზმივით წამოღგა, გოგონას ხელი მოჰკიდა და როგორც მოიყვანა, ისე წაიყვანა.

რეჟისორი თავდახრილი იჯდა თავის მაგიდასთან და დიდი ყურადღებით ათვალიერებდა ჩვეულებრივ ფანქარს. ოთახში ისევ შეყვარებულთა ხმამალალი „ჩუ-ჩუ-ჩუ“ ისმოდა, მათ თავზე-მოთ კი, სტენდზე მომავალი ფილმის გმირებს თავიანთი დაღვრემილი სიფათები გამოეფინათ.

ნახევარ საათში დოდო დაბრუნდა და ისევ კალენდარულ გეგმას ჩაუქდა, ოღონდ საქმეს სანამ შეუდგებოდა, იკითხა, გამოგვადგებოდა თუ არა ნინო როლისათვის.

— არა მგონია, — გულაბდილად თქვა რეჟისორმა, — არც მაღალია, არც ქერა, — და მერე ისევ ფანქარს მიუბრუნდა.

ნახევარი საათის შემდეგ რეჟისორმა დოდოს თავის ტყვილის წამალი თხოვა. დოდომ დააღევიანა წამალი და რეჟისორი ახლა ჩვეულებრივ საშლელს ჩაუღრმავდა.

მე ვიცოდი, რომ რეჟისორს თავი ფიჭრმა ატყინა. სახელდობრ რას ფიჭრობდა, ღმერთმა იცის, მაგრამ თუ იმის გამორკვევას ცდილობდა, რა კავშირია იმ ანკასა და ამ ნინოს შორისო, ტყუილად იტყივებდა თავს: ეს უბრალო მსგავსება იყო მხოლოდ — ჯერ ერთი, ანკას არავინ არ ჰყავდა, ვადამთიელი იყო, მეორეც — იგი ისე გადაიხვეწა, არავითარი ნათესაურთი კავშირი აქ არ დარჩენია, არც არავინ იცოდა მისი ასეველ-დასავალი, მესამეც — ანკა რომ გადაიხვეწა, იმ დროს ეს ბავშვი, ჩემი გამოთვლით, უკვე სამი წლისა იქნებოდა, ჩვენ კი ყველა მისიანს ვიცნობდით.

იმ დღეს საყურადღებო აღარაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით, რომ სალამოს ჩემს ლაბორატორიაში შევიარე, სადაც ფოტოების საბეჭდი აღჭურვილობის გარდა ერთი განიერი რბილი ტახტი და პატარა მაგნიტოფონი მაჭვს ცხოვრების ყოველი შემთხვევისთვის. ამჯერად იქ მხოლოდ იმისათვის მივედი, რომ ტახტის ვადასაფარებლიდან ერთი ღერი მოგრძო ძაფი ამომეძრო და გარკვეული დაგრაგნილობით ვადასაფარებელზევე ზემოდან დამედო, შემდეგ კი კარგად დამეხსომებინა ის „გარკვეული დაგრაგნილობა“. ეს „შვიონური“ მახე იმიტომ დამჭირდა, რომ ჩემს მეგობარს კარგად ვიცნობდი და ერთი რამ, რასაც ვერ ვკითხავდი, ძალიან მაინტერესებდა.

დასაწყისში რომ ეთქვი, სხვის საქმეში ჩარევა არ მიყვარს-მეთქი, ხედავთ, მართალი არ გამოვდექი. თუმცა იქვე ისიც ხომ დავაყოლე, ჩაურეველი დავვირევა ჩემი საყვარელი საქმიანობა არის-მეთქი.

მეორე დღეს რეჟისორი საგულდაგულოდ დევარცხნილ-გაპარსული გამოცხადდა, მაგრამ მინც გამოუძინებელ კაცს ჰგავდა. აღზნებული და გაღიზიანებული იყო. მთელი დღე არალოგი-

კურად იქცეოდა. ჯერ ხყო და შინ დარევა, ცოლს უთხრა, *„ფრანსიზან“* დასკავშირებით გადაუღებჭრს *„საქმისკა“* გამოიჩინა, რის გამოც შესაძლოა შინ გვიანობამდე, ეგებ დილაამდე ვერ დაებრუნდო. მერე კი, ნახევარი საათის შემდეგ გამოგვიცხადა, დღის მეორე ნახევარში ყველანი თავისუფლები ხართ, მარტო მინდა ჩემს საფიქრალს ჩაუეჭდე და არც ერთი თვალთ აქ აღარ დაგინახოთ.

მერე მაგიდას მიუჯდა და დაყინებით ათვალეირებდა ხან საფანქრეს, ხანაც ტელეფონის ციფერბლატს. ნახევარ საათის ფურცლავდა სატელეფონო ცნობარს, თუმცა არსად დაურეკავს.

თორმეტ საათზე დოდომ კიდევ ორი კანდიდატი მოიყვანა: ტყუპები იყვნენ, მალღები, ქერათმიანები, მაგრამ რეჟისორს ისინი აშკარად არ მოეწონა, არც დაუშალავს ეს: საკმაოდ უგულისყუროდ გამოელაპარაკა და უტაქტოდ უთხრა, არ გამოგვადგებიოთ.

მერე, როდესაც გოგონები წავიდნენ, დოდოს მისდგა:

— როგორ ფიჭრობ, რაში მჭირდება ტყუპები?! ხომ არ გგონია „ბაში-აჩუკს“ ვიღებ?! და საერთოდ, როდესაც გეუბნები, მალალი და ქერათმიანი მინდა-მეთქი, ეს ნიშნავს, რომ დაბლები და შეგვეკრემნები არ მჭირდება, შენ კი გაუთავებლად მოგყავს და მოგყავს. ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრე: მჭირდება მალღები და ქერები, ოღონდ არა ტყუპები!

დოდომ მხოლოდ მხრები აიჩეჩა და არაფერი უთქვამს. მას ნამდვილი პროფესიონალის კვალობაზე გულთან ახლოს არ მიპქონდა რეჟისორის ბუზღლენი.

ორის ნახევარზე, ერთ-ერთი მორიგი პაუზის დროს, როდესაც მდუმარებას შეყვარებულთა ხმაშალალი „ჩუ-ჩუ-ჩუ“ არღვევდა, რეჟისორმა წყნარად ვადადო სიგარეტის კოლოფი, რომელსაც დიდი ყურადღებით ათვალეირებდა, და მშრალად თქვა:

— ძალიან მომწონს შენი მუსიკა, — ეს კომპოზიტორს უთხრა, მერე ხმის



ოპერატორს მიუბრუნდა, — ისიც ვიცი, რომ შენ შესანიშნავი სპეციალისტი ხარ და ფილმის ფონოგრაფია თქვენი წყალობით კარგი რომ გამოვა, ექვცი არ შეპარება, მაგრამ მაინც უნდა გითხრა, რომ საზოგადოებაში, ხალხის თანდასწრებით ჩურჩული დიდი უზრდელობაა — და ისევ სიგარეტის კოლოფს მიუბრუნდა.

შევერებულები საბტად დარჩნენ, რადგან აქამდე მათთვის შენიშვნა არავის უკადრებია. ისინი გულდაწყვეტით გამოეთხოვენ სტენდის ქვეშ მდგარ დივანს და ცოტაოდენ ნაწყენებმა რომელიმე სხვა დივანს მიაშურეს.

დოდოც, რომელიც მუდამ პუნქტუალურად ასრულებდა რეჟისორის ყოველგვარ ბრძანებას, დღის მეორე ნახევარში აღარ გამოჩენილა.

სამაგიეროდ, სამ საათზე გამოჩნდა ფოტოგრაფი, თუმცა, როგორც მახსოვდა, იგი ხუთზე უნდა მოსულიყო. რეჟისორმა უთხრა, დღეს არც სამზე, არც ხუთზე საჭირო არა ხარ და შენს გზას ეწიეო.

ფოტოგრაფი წავიდა.

წესით მეც უნდა წავსულიყავი, მაგრამ ვიცოდი, რომ რეჟისორს ჯერ არ უნდა ჩემი წასვლა, ჯერ საქმე ჰქონდა ჩემთან. ის კი რატომღაც დივანთან იდგა და გულდასმით ათვალეირებდა გმირების ფოტოებს სტენდზე. უკვე გადაწყვიტე, ავღგები და წავალ-მეთქი, მაგრამ იგი სწორედ ამ დროს მოტრიალდა და ხელი გამომიწოდა.

დაექვებით შევხედე. უარის ნიშნად თავი გააქნია და გამიღიმა.

მე მხრები ავიჩეჩე, ჯიბიდან ლაბორატორიის გასაღები ამოვიღე და გავუწოდე.

ავღეძი და წამოვედი.

ჩემდა მოულოდნელად, რეჟისორი იმავე საღამოს რვა საათზე დამადგა

შინ და ლაბორატორიის გასაღები დამიბრუნა.

ერქვენი

შუქი ხომ არ დაგვარდა, მაგისტრალა შეკითხა, მაგრამ:

— იქ არც ვყოფილვარ, — მითხრა.

მე კითხვის თვალით მივაჩერდი, მაგრამ მან გაიღიმა და პასუხის მაგივრად შეკითხა:

— რავე ხომ არა გაქვს, თითო ჭიქა?

შქონდა. სამზარეულოში ჩამოვსხედით.

რეჟისორმა გადაჰკრა, მერე ტელეფონით დოდოს დაურეკა და უთხრა:

— დოდო, იმ გოგონას, შენ რომ მოიყვანე, პო, ნინოს, ძალიან უნდა კინოში გადაღება, მე კიდევ ნამდვილად არ ვაპირებ ამას, ამიტომ, შენი ჭიქი-

მე, მიდი, ახლავე დაურეკე და უთხარი, თორემ რაც მეტ ხანს ექნება იმედი, მით უფრო ეტკინება გული, ხომ გესმის.

დოდოს არ სჭირდებოდა ამდენი ახსნა-განმარტება, ნინოს ტელეფონიც ჩაწერილი ექნებოდა, ასე რომ საქმე მოგვარებული იყო.

რეჟისორმა კიდევ გადაჰკრა, მერე კი თქვა:

— ეს ვერ ვუთხარი, ვერ გავიმეტი, შემეცოდა. საერთოდაც არაფერი მითქვამს. ნახევარ საათს ზრდილობის გამო ველაპარაკე იქვე, სტუდიის წინ და მერე გავისტუმრე.

შემდეგ ისევ გადაჰკრა და თქვა:

— უჰ, რა არის არა თექვსმეტი წელი?! მაგ ასაკში რა ადვილად უყვარდება ადამიანს.

მე ვერ მივხვდი, ნინოზე ამბობდა ამას თუ თავის თავზე. შესაძლოა, ორივეზე ამბობდა, ან ისე, ზოგადად ფილოსოფობდა.

იგი აშკარად დამშვიდებულიყო, რადაც დამთრგუნველისგან განთავისუფლებულიყო თითქოს.





## ორწვიმიანი ბათუმის ზეცა

საბავშვო მწერალს, მეგობარს თამარ ჩხაიძეს.

გადმოვიხატე სურათი შორი,  
ისევ ცოცხლდება დღე მაშინდელი,  
ღრუბელი, წვიმა, ქარი და ჭორი  
იმდროინდელი დღის აღმნიშვნელი.

არ მომასვენა ტყბილმა ნექტარმა,  
იმ სიჭაბუკის მომინდა ქება.  
ისევ მოაგდო ძველმა მხედარმა  
იმ დროინდელი დღის აჩქეფება.

მახსოვს და სულში ტკივილად გამცრა  
იმ გრძნობის ტკივილს კვლავ დავეწაფე.  
დრომ მიმავენა კუთხეში მკაცრად.  
როგორც პირველი ჭგუფის მოწაფე.

მოსკოვის ქუჩას დილის მზე ხევდა,  
ოდეს ბათუმი ვიხილე ერთხელ.

ვერა და ვერა ის დღე ამ დღესთან,  
ღამეც ღამესთან ვერ შევადრთე.

სხვად მეჩვენება იგივე ქუჩა  
მაინც შენს ეზოს ვეძებდი ფრთხილად.  
თითქოს ეს კუთხე დრომ დაამუნჯა,  
წვიმა, ის წვიმა კი არ შეცვლილა.

შევადრთე და ცით ერთად მოდის,  
ბათუმში ორი წვიმა თავს მესხმის;  
წვიმა იმ ცხრაას ორმოცდა ოთხის,  
წვიმა ამ ცხრაას ოთხმოცდა ექვსის.

არ შეეეფარე მაინც ხეს ჭერაც.  
პერანგად ჯობდა დარდი ჩამეცვა.  
განწყობილებას მოგავდა ჩემსას  
ორწვიმიანი ბათუმის ზეცა.

## შენი ნატარვალაზი

თითქოს თავიდან წამოვიწყე ლექსების წერა,  
(ვაი იმათი დღის მოსწრება, თუ მყვანან მტრები!)  
მაგრამ რის წყენა, ვერ შეიძლეს გულის დასერა  
და იმედებით გადმომყურე გულს ვეფერები.

ჯერ არ მომხდარა სასწაული დედამიწაზე.  
ოცი წლის ჰაბუკს დავემსგავსე სამოცდაშვიდის.  
სიცოცხლე თითქო კვლავ აენთო, გავილამაზე,  
განმეორებით განვიცადე დღენი ბავშვივით.

ჩამომეღვარა მომხიბლავი წლების ჩანჩქერი  
 და ხელმოვრედ დამებედა თითქო მგლის შეხლი.  
 წლების ვარამი ონაეარი მხრებით გავკერი,  
 ამაოებას კარზე მომდგარს თავს როდი ვუხრი.

წლებს არ დააკლო სიჭაბუკის შნო და ლაზათი,  
 სიტყვას გააჩნდეს ცხოვრებაში შესვლის უნარი.  
 მეხთან იომე, მობუბუნე ქართან დაზავდი,  
 რომ სიხალისემ ძალა იგრძნოს გაუგონარი.

ბნელეთს გაეჭეც, ცად აანთე ოცნების ბურთი,  
 მოფრინდეს შენთან ოქროს მთვარე — ლამის მდევარი.  
 და გინდაც იმ გზას, რომ გივლია, კვლავ მიუბრუნდი,  
 ოღონდ კაცური დააჩნიე გზას ნაკვალევი.

3066

მოძე

თბილისი

## სამეგრელოს გზაგზა

ვაი, სირცხვილო! —  
ძირ-ფესვს ველარ ვცნობ,  
როგორ გარბიან წელიწადები.

ეს — სენაკია,  
ჩემო ბატონო,  
თქვენ სამეგრელოს  
გულში ბრძანდებით!..

შემეფაქლება  
ლაწვი აღისფრად  
და ორღობეში ეუჩინარდები...

ეს — მარტვილია,  
ჩემო ბატონო,  
თქვენ სამეგრელოს  
გულში ბრძანდებით!..

აქ ძველ ლეგენდებს  
ქარი ათრთოლებს,  
(ოცნებავ, ფრენას ნუ დამზარდები!)

ეს — ფაზისია,  
ჩემო ბატონო,  
თქვენ სამეგრელოს  
გულში ბრძანდებით!..

ფეხი დავადგი სადადიანოს,  
დაელოცე მისი  
მწვანე კალთები;  
ეს — ზუგდიდია,

ჩემო ბატონო,  
თქვენ სამეგრელოს  
გულში ბრძანდებით!..

ვნახე და თვალი  
ვერ მოვაშორე,  
როგორც სკვამცირას,  
ცისფრად შემოსილს...  
ეს — წალენჯიხა  
გახლავთ, ბატონო,  
და — შუაგული სამეგრელოსი!..

აბაშა,  
ხოზი,  
ჩხოროწყუ...  
ყველა

სულში ჩეჩილად ამიმწვანდებით!  
პასუხის ყველგან  
ერთნაირია:  
თქვენ სამეგრელოს  
გულში ბრძანდებით!

ასე დაედივარ  
აღმა და დაღმა,  
შთაგონებული ამ ლექსის ზრუნვით;  
რა შეედრება  
იმ მზარის ნახვას,  
სადაც ერთად ძგერს  
ამდენი გული?!.

## ნოქალაქვი

ეროვნული  
ზინზინოთქვა

აქედან მოველ... სწორედ აქ არი  
ჩემი კათედრაც და საკარცულიც.  
ამ ძველი ნაყრით ვარ ძვალმავარი,  
ფეტვივით გაშლილს მზე რომ აცხუნებს  
და ჰქექავს ყორნის გუნდი და გუნდი...  
და რაც საყბილო ჰგონიათ ყორნებს,  
ჩემთვის ლალია და იაგუნდი.

ფესვები მიდგას მე ამ მხარეში  
და როს წინაპრის ძვლებს ვუხმობ  
გახრულს,  
მესმის მურვან-ყრუს ლაშქრის თარეში,  
არ ესმის იგი მხოლოდ მურვან-ყრუს...

ქარბმაც სისხლის აიღეს გეში  
და მოლოქების ფერი მოლოკეს...  
და უხსოვარი დროის სარკეში  
ვხედავ დღევანდელ არქეოლოგებს,  
მტვერს რომ აცლიან დამარბულ ქალაქს  
და დავიწყების უხსლავენ თალარს...

ნოქალაქევის ეს ატლანტიდა  
ასე მგონია აღსდგა ლანდიდან.

და თვით ეგრისის ერისთავ ქუჩის  
ლაპლაპებს ქედი თითქოსდა თუჯის...

ერთ ამბავშია ფიცხი ტეხური —  
ელვიან კალმახს იქნევს ხმალივით.  
ამ ორთაბრძოლას როცა შევეუბრებ,  
მეც ლამანჩელის ვინი დამივლის!..

არ შეეკვება ერთი წამითაც,  
რომ ეს სიძველეც სუნთქავს სიახლით;  
მაშ, ნულარ ამბობ: „გაქრა, წავიდა“...  
და ნურც უტიფარ სიტყვებს მიახლი!

ახლა თვითონ ვარ ამ ციხეგოჭზე  
ბატონიშვილიც და ერისთავიც!  
თითქოს პირველი მონეტა მოსჭრეს  
და ზედ ჩემივე პროფილი ჰყვავის...

აქედან მოველ... შორი წინაპრის  
აქ გაითალა ძელქვის აკვანი.  
გზაც აქ ეწყება პოეტის აპრილს,  
სად გამობილი გდია ლაგვანი.

## რწმუნარი

ქუჩის ციხიდან დაძრული მწუხრი  
ლურჯ ტბად გარს ერტყმის  
არქეოპოლისის,  
ანდა იმ ლოცვად, ჩვენ რომ ქედს  
ვუხრით  
მიწიერსა და ზენარს შორის.  
მკარანაობს ამ ლექსს მეგრული ფაცხა  
და მიწვენილი კალთას ჩონგურს.  
მწუხრს თოლისქვამის მზერა ამარცხებს  
და იმავ მზერით მეც ვარ მოკლული!..  
კოლხი რომ იტყვის, ჩონგური ვთქვათო,  
ამით სევდა სთქვა და ერუანტელი;  
ასე გგონია, რომ შენ სულს ათოვს  
შორეული და ლურჯი ფანტელი...  
ვინ მისცა სიმებს ამდენი ცრემლი,

რითია იგი იმავ დროს ტყბილი?!  
ანდა რა ხეა ისე ცვრული.  
გულს რომ ამოსკვნის  
გულამოცილილიც!..  
რა ტყვილია მაინც, ჩანაგი,  
გაჩენის დღიდან განუყურნელი?!  
სულ ოთხი სიმი აბია ჩონგურს,  
ზედ კი მოსთქვამენ საუტუნენი!..  
საიდან არის ასეთი ნაზი  
ხან შეხედრა და ხან მონატრება?  
იქნებ იმ ორფეხს ხმა დარჩა ზღვაში,  
თან რომ იახლეს არგონავტებმა?!  
არა, სხვა მაღლი სცხიათ კოლხ ქალებს,  
და თვით კოლხეთსაც სხვა ცეცხლი  
ლადრავს:



ძვალ-რბილში ატანს „ნანა, ქოვალე“  
და ცრემლს აღუღებს „სი ქო ულ  
ბატა...“

დატრიალებულს უიღბლოდ ჭარას  
ველარ უშველეს ძველში ოდებმაც  
და შერჩა ჩონგურს, როგორც ნიყარას,  
გამოყოლილი ზღვისგან ვოდება.  
მოდის, მოწვეთავს... და ნისლში

გარდასულ დროთა ფატეებზე უტყუვით:  
მეგრელ ქალწულთა ცნებად მოსაგებად  
ნაპირს შორდება თურქული გემი...  
მოდის... მოწვეთავს ხმა კურთხეული  
და იმსჯელება სუნთქვით ზენარით  
ღამე — ჩონგურში გამომწყვდეული  
და სამუდამოდ გაუთენარი..

### ქალი მოდის

ქალი მოდის,  
ქალი მოდის,  
ფეხადგმული ლექსი მოდის!  
გაუშვია თმები ქარში  
რიგზე უახლესი მოდის.

მხრებზე წვეილად ილანდება  
კვალი ატმისფერი ზორტის  
და აზღუდში გამოკრული  
დასროლია ნატურმორტის...

ქალი მოდის,  
ქალი მოდის —  
სუნთქვა უმაღლესი ნოტის,  
თეთრი, როგორც უძილობა  
გაფეთქილი ტყემლის ტოტის...

ვაი, კაცის გულის ბრალი —  
ხმა გაუდის, როგორც როდის;  
ქალი მოდის,  
შემოხედვას  
გაიმეტებს როდის-როდის...

ქალი მოდის,  
მისი ხვედრი  
მზე მოაქვს და მთვარე მოაქვს!  
დღე და ღამე ერთერთს შეხვდა —  
რა ზღაპრული გარემოა!..

პატიება ყველა ცოდვის —  
ჩადენილის, ჩასადენის —

ქალი მოდის  
და შუბლიდან  
მწუხრს ნისლივით გადადენის...

სულერთია,  
რა გზით მოდის,  
სიდან მოდის,  
ან სად მოდის  
ნათელყოფა — ნაზი შფოთის,  
ნათელხილვა — მსგავსად მითის..

ნაბიქსა და ნაბიქს შორის  
მარგალიტი იპოვება;  
ე მაგ მანგიო  
მომთოვარობს  
ქართლის მიწის სიტკბოება!..

ქალი მოდის,  
ქალი მოდის!  
სხვა მხლებელი რაში უნდა? —  
სიყვარულის ალილოთი  
სიჭაბუკე კვალში უდგას!..

მოდის,  
თათქოს ლეგენდიდან —  
სახოტბოდ და საგვარმრთელოდ!  
ქალი მოდის...

ეგ ერთი და  
სხვა მრავალი, საქართველოვ!..

## მთავრინას ლანდი მარტვილის მონასტერში

ემარტვილობ მარტვილს. ვარ  
 ალკვეცილი  
 და მარტობით მდიდარი ოდენ.  
 და ყბადაღებულ ოქროს ვერძივით  
 მთვარე ჰკიდია ჭყონდიდის ტოტებს.

გათანგულია ჰაერი რულით,  
 წაერთვა ზღვარი სიზმარს და ნამდვილს.  
 აღსაელის კართან ფეერიული  
 აიშართება მთავრინას ლანდი.

სხვა სავსე მთვარე აწვევა უბეს,  
 ლამის გადმოსკდეს ირმის ნაწველად...  
 მშვენიერებას ვხედავ დამლუპველს,  
 მშვენიერება რამ დააქველა.

ო, დედოფალო, მე შინდა გითხრა,  
 რომ ფრთა გაშალა კოჭლმა გენიამ  
 და უარყოფილს შენგან სიყვარულს  
 ამ მარათონში ყოფნაც რცხვენია...

შენ დაატეხე ერთბაშად ეგრისს  
 ყველა სიმკაცრე მბრძანებელ ძუთა.  
 ახლა კი ვხედავ სხვა სითეთრე ქრის  
 მაჭმანებიან ე მაგ ძუძუდან...

შინც გამშვიდებ გოროზ დედოფალს,  
 არც ისე ცუდად მიგიდის დღენი:  
 უკვდავსაყოფად ისიც გეყოფა,  
 რაც დაგვიბრუნე ილიას ხელით!..

## უფრო მაღალი ცა

(ნაწევები პოემიდან)

სულთა შეხება  
თვალეებით ხდება,  
განრიდებაც თვალეებითაა;  
წარმოსათქმელ სიტყვასაც  
ისინი ამზეტურებენ  
და წარმოუთქმელსაც.  
ამისთვისაა  
სისველის ორი გუბე  
და არა ცხვირის გარდიგარდმო  
ფოსოების ამოსავესებად;  
მათი სილამაზეც პირობითია.  
არც ლამაზია ისინი და  
არც ულამაზო;  
მათი ოვალის კონტურები  
გაგრძნობინებენ —  
ყველაფერი იქ არის,  
იმ პატარა ეზო-ყურეში  
მომწყვდეული და დასაზღვრული,  
სხვაგან ნუ ეძებ.  
ყველაფერი იქ არის —  
აღზევებაც და დაცემაც შენი.  
ღმერთო!  
როგორი ცქერა შეუძლიათ,  
როგორი!  
რა უნარი აქვთ,  
მიგაბეჯდრონ, ნიშანი მოტკენ,  
წაგაქეზონ, ისე გიბიძგონ,  
საშინელება ჩაგადენინონ.  
მათი პატრონი კი გულმშვიდად  
იმავ თვალეებით გაიოცებს:  
მე განა რამე ვითხარიო?  
ზოგჯერ კი როგორ

გისაფრდებიან,  
გიდარაჯებენ,  
• არა იმისთვის, რომ დაგიცვან,  
ავარიღონ საფრთხე-ბიფათი,  
არამედ მოწმე გაბდნენ შენი  
გაცამტვერების.  
შანსაც გიგებენ.  
სულშიაც ხშირად გიძვრებიან,  
უნდათ გაიგონ:  
ეკე, მანდ მშვიდად ხომ არა ხარ?  
ხომ არაფერი განძი იპოვე  
ან იქნებ კიდევ უიშათოდ  
გაბედნიერდი?  
გამოწმებენ, რომ  
თავს ძალიან არ გაგივიდეს.  
და თუკი შენკენ  
ყველაფერი პირიქითაა,  
კმაყოფილნი მოგეშვებიან  
და მომდევნო რევიზიამდე  
არც კი ახსოვხარ.  
ისეთი მზერა  
არასოდეს დაგიჭერია,  
სულ რომ არაფერს გამოხატავს  
და ამით რომ უფრო თავზარს გცემს?  
ანდა ისეთი,  
რომ გამცირობს დაუსრულებლად?  
ისეთი დიდი ოსტატობით  
დაგაჩიავებს,  
თვითონაც გჯერა —  
კნინზე კნინი ხარ!  
დურბინდის ორი ბოლოსავით,  
უნდათ — გაგზრდიან,



მოგწევენ ახლოს,  
გუნდათ — წერტილადგადაქცეულს  
დაგიშორებენ.

ზოგჯერ ვიყურებს თვალები და  
მაინც არ გხედავს —  
არაარობაც კი არა ხარ,  
დაცინვა რომ დაიმსახურო,  
იცოდე მაშინ,  
უმოწყალოდ უგულვებელგვეს.  
საკუთარ თავზეც ბევრს ჰყვებიან,  
მაგრამ ტყუიან:  
„კეთილებივართკეთილებივართ —  
კეთილებივართ,  
ლამაზებივართლამაზებივართ —  
ლამაზებივართ,  
ჭკვიანებივართჭკვიანებივართ —  
ჭკვიანებივართ!  
უკარებებიუკარებებიუკარებები!  
დიდისევედაგვაქვსდიდისევედაგვაქვს —  
დიდისევედაგვაქვს!  
და ეს სევდა ისე გვაძალღებს,  
ვერ შემოგვწვდებივერ შემოგვწვდები —  
ვერ შემოგვწვდები!  
დავიღალენითდავიღალენით —  
დავიღალენით!  
ამქვეყნიური სულ არა ვართ,  
წუთით დავეშვიტ მიწაზე და  
ისე შევჩქვიფდით:  
ოჰ, ამ სოფელში  
თურმე რა ხდება!  
ყველაჩვენგვჩაგრავსყველაჩვენ-  
გვჩაგრავს —

ყველაჩვენგვჩაგვრავს!  
ისეთი საცოდავები ვართ,  
ისეთი არაპრაქტიკულები...  
სულგააჩუყებენსულგვააჩუყებენ —  
სულგვააჩუყებენ...“

ამას ყვეებიან საკუთარ თავზე  
იმ პატარა შუალედებში.

სხვათა გაზომვა-აწონისგან და  
შეთასებისგან რომ ისვენებენ...  
ზინზ-ლინსინჯინ

რას მათწყებენ  
შენი თვალები,  
დაო ჩემო,  
საწყაულო ჩემი კაცობის?  
რომელ წალკოტში მომათავსე,  
რა გალავანი შემომავლე,  
რისგან მიფარავ?  
თურმე როგორი ლამაზი ვარ?  
რა მშვენიერი?  
უმამაცესი,  
კეთილი და სამართლიანი?  
ერთადერთი ვარ?  
ყოვლისშემძლე?  
ყოვლად ძლიერი?  
სხვა ჩემდარი  
არავინ არი?  
ჩემო პატარა!  
დაუფარავი ალტაცებით  
რატომ მიყურებ?  
ნუ მიყურებ,  
ცრემლით ვივსებო.  
განა არ მინდა,  
იმ ბაღნარში ვცხოვრობდე, შენ რომ  
გიშენებია სიყვარულით,  
შეგიქმნია ჩემთვის საეანედ?  
განა არ მინდა,  
ისეთი ვიყო,  
როგორსაც მხედავ?  
მე სხვათა აზრი არ მადარდებს,  
შენ მომიწონე,  
შენი დასტური საკმარისია!  
გემუდარები,  
შეინახე ბროლივით წმინდად  
შენგან შექმნილი ჩემი ხატი,  
თვალის ბროლივით აუმღვრეველად,  
გემუდარები,  
ერთადერთი ეს გადამარჩენს!

• • •

რამდენი ლანდი გაცურდება  
მინის კედლებზე,  
ერთიმეორის მიყოლებით,

გამთენიიდან  
დალამებამდე?  
ვინ აღნუსხავს,



ვინ იმახსოვრებს  
 მათს აღნაგობას,  
 ჩაცმულობას და  
 მიხრა-მოხრას?  
 საით მიდიან,  
 რას ეძებენ,  
 რას ყიდულობენ?  
 თუ ტყუილებრალოდ  
 უვლიან ქალაქს,  
 რათა დამკვიდრდნენ მასში  
 საგულდაგულოდ?  
 რად უნდა ერთი თავშესაფარი?  
 გაიფანტონ,  
 ტყე-ღრეს მოედონ,  
 საყუთარი ციხე-კოშკიდან  
 გაუსწორონ თვალი ერთმანეთს.  
 მაგრამ რა ჭნან, რომ  
 ერთად ყოფნა საიმედოა?  
 ერთად — ფარეხში,  
 დაცულია მათი სიმშვიდე.  
 ფერით და ფორმით  
 შეგუებულ-შეხამებულებს  
 (ვინა თქვა, მხოლოდ  
 ცხოველსა და მცენარესა აქვს  
 მიმიკრიის დიდი უნარი?)  
 კიდევ მეტად სურთ,  
 დაემსგავსონ ერთიმეორეს.  
 და თუკი ვინმე გამოირჩა  
 განმსგავსების მძაფრი სურვილით,  
 ერთხმად სამიზნედ გაიხდიან.  
 შესაშური სოლიდარობით  
 ბუქსა და ნამქერს  
 დააყენებენ.  
 იმასაც ის სურს,  
 მის წისკვილზე იღვრება წყალი  
 და მეგაფონში  
 ჩაყვირის ყველას გასაგონად:  
 „— მოწონებელი  
 და თქვენ მიერ ბეჭედდამსმული  
 ფარვატერი კოჭამდე მწუდება,  
 საჩემო სიღრმე აქ არაა,  
 ვერ ვინაოსნებ!“  
 დამსგავსებულნიც,  
 განმსგავსებულნიც  
 საყუთარ თავს არ ეკუთვნიან,  
 თავნება ძალებს აუტანია,  
 გაუხდია საპამპულაოდ.  
 დიალექტიკა აქაც არის:  
 ჭერ, რაც ყველას აქვს,  
 4. „მნათობი“, № 12.

მხოლოდ ის სურთ:  
 საგანი, ნივთი, სილამაზე,  
 ნიჭიერება,  
 ბედი, ადგილი...  
 იმათი ბრალი სულ არ არის,  
 რომ შური იპყრობთ,  
 ეგ პროტესტია  
 უთანაბრობის წინააღმდეგ,  
 ჩვენ კი ქვენა გრძნობას ვეძახით;  
 მერე ის უნდათ,  
 რაც არავის არა აქვს ქვეყნად:  
 ისეთი ნივთი, სილამაზე,  
 ნიჭიერება,  
 ბედი, ადგილი, —  
 სხვას რომ წილად ჭერ არ ხვდომია.  
 გიყი უწოდო, ურჩვენიათ,  
 ვიდრე ის უთხრა,  
 ჩვეულებრივი კაცი ხარო.  
 რიგილობას ვერ ეჩვევიან;  
 ტელეფონების ამონენტთა  
 გრძელ სიებშიაც,  
 სადაც სუყველა  
 ანბანის დემოკ-  
 რატიული რიგით ლაგდება,  
 საყუთარ გვარებს  
 მოვარაყებულ არშეიებით  
 გამოყოფდნენ,  
 ნება რომ იყოს!  
 პო, რა ჭნას, რა ჭნას?  
 ასეთია ადამიანი,  
 ყოველ დროს ერთი საზრუნავი  
 რომ აპერებდა —  
 სხვას არ ჩამორჩეს,  
 მერე — ყველა ჩამოიტოვოს.  
 მუდამ ვილაყას ედრება და  
 ამოუების ბეგარაში  
 იღვრება ოფლად.  
 ტანჩასაცმელი,  
 საკმელი და თავშესაფარი;  
 საკმელი, თავშესაფარი და  
 ტანჩასაცმელი;  
 თავშესაფარი,  
 საკმელი და...  
 და ასე შემდეგ —  
 შეუცვლელად ადამეგობიდან.  
 კარგა ხანია,  
 მოთხოვნილება აღარ არის  
 ეს ყოველივე —  
 აეროსტატად იქცა პრესტიჟის.

და როცა მოდის დირექტივა:  
 ზომიერება დაეცვათო,  
 გავაჯანსაღოთ ატმოსფერო,  
 ჩვენი კლიმატი ზნეობრივი  
 გავასპექტაყოთ,  
 ალარ იციან,  
 საიდან უნდა დაიწყოთ საქმე  
 ატმოსფეროზე თუ ვართ მიბმულნი,  
 ის ატმოსფეროც ჩვენგანაა  
 დავალებული  
 ისევე, როგორც ბუნებაში —  
 ვინც ჰაერს სუნთქავს,  
 ამ ჰაერსაც ჭმნის,  
 რადგან მუდმივად  
 მონაწილეობს  
 ბიოქიმიურ დიალოგში  
 ჰაერის გარსთან,  
 დედამიწას რომ ახვევია  
 შარავანდედად.  
 ასეა, ძე!  
 რა ცოდვაა ადამიანი!  
 ძალა არ შესწევს,  
 იმ ცდუნებებს გაუძლოს, რასაც  
 მერე მისივე დაცემა მოაქვს.  
 ის მწვერვალზე რომ არ ეთმობა,  
 ის სამყოფელიც,

სადაც ბინადრობს სანუკვარი  
 კაცობრიობის ყველა წევრი,  
 ყველა ოცნება!  
 აბა, ცოდვა როგორ არ არის?!  
 რამდენი ლანდი გაცურდება  
 მინის კედლებზე  
 ერთიმეორის მიყოლებით  
 გამთენიიდან  
 დაღამებამდე?  
 ვინ აღნუსხავს,  
 ვინ იმახსოვრებს  
 მათს აღნაგობას,  
 ჩაცმულობას  
 და მიზრა-მოხრას?  
 საით მიდიან?  
 რას ეძებენ,  
 რას უიღულობენ?  
 რა სტროგატებს?  
 განა ისინი შეუცვლიან  
 ყველაფერ იმას,  
 რაც ბოლოს მაინც დასჭირდებათ,  
 როგორც ეანგბადი?  
 რამდენი ლანდი გაცურდება  
 მინის კედლებზე,  
 ერთიმეორის მიყოლებით,  
 რამდენი ლანდი...

**პატრარხი ოძობარში**

გაფლენთილია პერო, რეგლაციის  
მეფის გულს არ ეკიდება, მაიკით  
სიცივე...  
თოვლი...  
გუნდები...  
არ იქნა აღარ დათბა,  
ბედის ბორბალი ბრუნდება  
სანქტპეტერბურლის კართან.

ბევრმა არც ახლა არ იცის  
პეტრეს ქალაქის ყადრი,  
როცა იძალებს აისი,  
მთვარე დუელში გადის.

გულში გახსნილი იარით  
საყვარელს მიუმღერის,  
ჭიქებს გაუღიოთ ბრდღვიალი,  
თოვლია ქაფის ფერი.

ხვალ აღბათ ღამის ბოქემა  
მანდილოსნებში ჩარგული,  
სუფრასთან ჭორებს მოპყვება,  
რალა თქმა უნდა, ფრანგულად...

ბულეარზე ლამაზ მადმაზელს  
სეირნობანი დაღლის,  
კაბით ფანტელებს მოხვეტავს,  
წინ-წინ გაუსწრებს ძაღლი.

იასამანი თოვლს და სუსსს კარგა ხანია  
დანებდა,  
და ერთგულებას ბართზე წაიღებს  
ფოსტის კარეტა.

თავი დახარეს სიცივიით  
ზამთრის ბაღებში რტოებმა,  
ეტლში შებმული კვიცივით  
გადარეული დროება  
წავა, წაყვება „ტროიკას“  
დადევნებული უკან,  
კორნეტი თავს ვერ მოიკლავს,  
ჩაუსახლდება დუქანს.  
დუქანს ნირი აქვს შეეცლილი,  
ძაღლები ყრია კართან,  
ნათავადარი შეშლილი  
მოგონებებსლა ხლართავს:

შამპანურს გააქვს ლიციცი,  
საყვარელს ახვევს ბოშებს,  
დააყირავებს სიცილით  
ტუჩთან მიტანილ ქოშებს.

— ჰეი ნადეჟდა პეტროვნა,  
ვიყოთ, ვიგიყოთ ასე,  
ქვეყანას არ ჰყავს პატრონი,  
მეფეა ცოდვით სავეს.

ყარყუმის ქურჭში ჩაფლული  
ქალი ქარბუქებს ქარგავს,  
თავადი ოჭროს საფულეს  
ბოშებთან ერთად კარგავს.





უგალობე  
დამფრთხალ ირმების მეგობართა  
მეხოტბეს,

უგალობე,  
ბედის სანთელი ძლივსა ანთია  
საფლავის ქვაზე  
მთვარე ლამბავს  
ლულუნა ჭედნებს დადევნებულ  
ეპიტაფიას,

ჭაღარა სევდა  
ღრუბელივით ცაზე მიგორავს,  
იგალობე,  
იგალობე, ჩიორავ...

გულადმა გაშოტილი თვლემს ბერიკაცი  
ეზმანება:  
ზედაზნიდან გაყურებს სივრცეს,  
უფაღმა სასუფეველი  
უნდა მიუვლინოს,  
სული უნდა ჩააბაროს ფეთიან კვიცებს,  
ან სიმაღ უნდა გაეჭიმოს  
ვიოლინოს.

სულებს ათრთოლებდა პაგანინი  
ერთი ამგვარი სიმის წყალობით.

იგალობე ჩიორავ,  
მოჭქარგე საღამო  
გალობით.

მესამე ღამეა  
ელის ზიარებას სიტყვის  
მესამე ღამეა...  
ამაღამ უნდა იამბოს შექერაზადამ  
ათას მეერთე  
ღამის ზღაპარი.

ჭკრივის ძაძვებით  
იმოსება მუზა,  
ბეუტავს სანთელი...  
ამგვარი არი  
ბოლო ბრძოლა  
ჩაუქ შეფეთა,  
არა, ის არ დაცემულა  
ილიონის კედლებთან,  
უფერულად ეთხოვება  
უოველივეს რაც უწყალობეს.

უგალობე, ჩიორავ,  
მიშწუბრს უგალობე.

ძველებურ სახლში,  
ვაზის ჩუქურთმიანი მოაჭიროთ,  
თვლემს სიტყვის მეფე,  
ფრთაშესხმული დგას სათოხარში...  
თეთრი გიორგი თეთრ ცხენს  
მოაჭიროთებს,  
უთეთრეს ჩოხაში.

• • •

ცამ დაიქუხა...  
მიაბარა მიწას მეუღლე,  
გამოხდა ხანი,  
გადიაცვა ფარჩები ჭრელი,  
გულზე შეეჭრა  
ბულბულაანთ ღვინის მეუფეს,  
დაუდგა რთველი.

იღგა თიბათვე და დარჩენილ ღამეებს  
თვლიდა,  
ზეცამ დაღვარა ლელიანში წვეილი  
კურცხალი,  
შემოდოდა შემოდგომა ალაზნის  
მხრიდან.

ჭკნებოდა ვარდი,  
მაისობის ჭირისუფალი.



## შადრეპანი მრგვალ ბაღში

### მითხრობა

IX

ლისკოვოდან როქსანას კვირა დილით მოკვლად. მატარებლის ჩამოსვლის დრო რომ მოაწია, ყაზანის სადგურისკენ გაქსწიე.

ბაქანზე უამრავი ხალხი ირეოდა. მატარებელი ჩამოდგა, ამაოდ ვეძებე, არსად ჩანდა როქსანა.

მოწყენილი მოვბრუნდი შინ.

ნაშუადღევს საერთო საცხოვრებლისკენ გაეწიე. ჩემდა გასაოცრად გაზეთების ჭიხურთან როქსანა და მისი მეგობარი გოგონები დავინახე. დინჯად გამოაყოლეს მანქანას თვალი. როქსანამ თითქოს სახე მომარჩიდა, არც შემოუხედავს.

მანქანა შევაჩერე. მცირე ყოყმანის შემდეგ კარი გამოვალე და გადმოვედი, ყველას მივესალმე. როქსანა მომიახლოვდა, მაგრამ თვალი ისევ აშარიდა. საერთოდ, დაფიქრებული და შეცვლილი მეჩვენა.

— რატომ არ დამირეკე? — ეუსაყვედურე, მეწყინა, ჩამოსვლა რომ არ გამაგებინა. — როდის ჩამოხვედი?

— გუშინ.

— სოფელში ყველაფერი რიგზეა?

— კი.

— ერთხანს უხმოდ შევეყურებდი, და ვეღუმი, მაგრამ მაინტერესებდა, მა-

მამისს თუ უთხრა რამე ჩვენი ურთიერთობის შესახებ.

— წამო, მანქანაში ჩავსხდეთ, იქ ვისაუბროთ.

— შენ, ალბათ, არ გცალია...

— არ მცალია?

— რა ვიცი, ალბათ სადღაც მიდიოდი... იქნებ პაემანი გაქვს...

ხმა არ ამომიღია.

— გუშინ მთელი დღე სად იყავი?

— გამომძლედად შემომხედა.

— გუშინ? — მკლავში გამოვდე ხელი. — წამო, გავიდეთ აქედან! — მანქანასთან მივიყვანე.

მოწყენილი, ისეთი უსუსური სახით ჩაქდა სავარძელში, გული შეშეკუმშა. აღგილიდან დავიძარით და უცებ მომაგონდა, რომ ტელეფონი გამორთული მქონდა.

— შენ რა დროს დამირეკე?

მუხლებზე დაწყობილ ხელებს დაუწყო თვალიერება, უფრო ჩაქინდრა თავი.

— მაშინვე, როგორც კი ჩამოვედი! — თქვა და ამომხედა. — შემდეგ მთელი დღე გირეკავდი, მთელი საღამო და მთელი დღევანდელი დილაც...

— მე შინ ვიყავი, მაგრამ ტელეფონი გამორთულია. — ვუთხარი და რატომღაც დამაჩერებლად არ გამომივიდა ნათქვამი. — ფირაფონტ პეტროვიჩი როგორაა? — ბანზე აუფგვე სიტყვა.



— გუშინ მთელი დღე ოთახიდან არ გავსულვარ. — ხმადაბლა ჩაილაპარაკა და ხელები სახეზე აიფარა.

— მერე რა მოხდა.

— არაფერი... მთელი დღე ვტიროდი! — მიპასუხა და მოულოდნელად გაიცილა.

გაოცებით შევათვალე რე. სახეზე ხელები რომ აიფარა, რატომღაც მეგონა, ტიროდა.

— სულელი ვარ, ხომ? — თავშეუკავებლად, მთელი გულთ ეცინებოდა.

— არც ისეთი სულელი... ჩემისთანა ყმაწვილკაცები ქუჩაში არ ჰყრიან.

— ვიცი, ამიტომაც გამოვიქეცი ლისკოვოდან ვადაზე ადრე.

— მაგრამ შენისთანა კარგი გოგონაც არ შეგულება ამ ქვეყანაზე.

უნდოდ ამოხვედა.

— ასეა და რა ვქნა? — გამეცინა, თითქოს მძიმე ტვირთი მოვიშორე, შვეებით ამოვისუნთქე, უჩვეულო სიმსუბუქე ვიგრძენი.

საუბარში გართულებმა მალე დიდ თეატრთან ამოვყავით თავი. ვერც კი გავიჯე, როგორ აღმოჩნდი იქ, თეატრი და ბალი რომ დაეინახე, მანქანა შემოვებრუნე.

მანქანა ბალის შესასვლელთან ჩავაყენე და ფანჯრის შუშა ჩამოვწიე. უცებ ელდასავით დამკრა რალაკამ, გვერდით მდგომი „მესერდესის“ საჭესთან ნათანალი დაულანდე. ძლივს ვიციანი, შავი სათვალე ეკეთა, პირდაპირ, ოტრო ფიშერით ჩაბნელებოდა პირი-სახე.

მანქანიდან არ გადმოვსულვარ, ისე მივესალმე, როქსანაც არ გავაცანი.

ნათანალი მომესალმა და როქსანა ვითომ შეუმჩნეველად შეათვალე რა. მერე წამით თვალი გამისწორა, მაგრამ არაფერი მკითხა. რატომღაც უგუნებოდ იყო.

— რა ამბავია შენკენ? — „მერსედესი“ შევათვალე რე.

— აი, ხომ ხედავ?

— კარგია!

— არაუშავს, მაგრამ... რაც ჩრდილოეთში ვიმუშავე და ოფლი ვღვარე,

მთელი დანაზოგი თანხა ამასი ჩაყარე, საქმეა ეს?

— სამაგიეროდ სუფიზების რაღა?

— გაფიცებ, არ გადმოხვიდე და თვალე რება არ დაუწყო...

— არა! — მაშინვე დავამშვიდე, მართლა მეზარება ამისთანა რამეები. — მშვიდობაში მოიხმარე.

— ექმ! — ამოიხვნეშა.

— რა იყო? — გამეცინა.

— შენ კი გეტყვოდი გულახდილად... ვიცი, არ დამცინებ... კაცო, ვზივარ და ვფიქრობ, როგორ მომივიდა, რამდენი მიოცნებია ამ სისულელეზე. — საჭეს დაარტყა ხელი, — რა საოცნებო ეს იყო, ა?

— არა უშავს, აწი სხვა რამეზე იოცნებებ.

— აა? — უცებ გაიბადრა. — ერთი ბეხვერია მუთაქა მინდა, არა?

— კარგი წაბლის ხის ოდაც საჭიროა, ხალიჩაგადაფარებული ტახტი და ეზოში გაშლილი კილობი, ხომ?

— კაცო, საქართველოში ამ ღიპით როგორ ჩავიდე, რას დავემსგავსე?..

— დარბაისელი კაცი ხარ, ძმო!

— ექმ, ადამიანმა ამაზე თუ დაიწყო ფიქრი, შავადაა მისი საქმე... ჩვეულებრივი კაცი უნდა იყოს, ყმაწვილივით ლალი და ხალისიანი. — თქვა და წამით შეყოვნდა, მერე ხმადაბლა მკითხა: — ეს გოგონა ვინაა, რაცხა ჩვენებურსა ჰგავს, არა?

მხარი ავიჩეხე.

ერთხანს უხმოდ მიყურა.

— ანია როგორაა? — ვკითხე.

— გადსაარევა! — გამოერკვა, მკვირცხლად მიპასუხა. — ვემზადებით, ხომ არ დავაგიწყდა ოცი დეკემბერი?

— არა!

— იცოდე, ქორწილში ეს გოგონაც მოიყვანე.

— ენახოთ!

როქსანას ისევ ვახედა ფარულად.

— ქართული იცის? — ხმადაბლა მკითხა.

ყურადღებით მაკვირდებოდა და მოულოდნელად რალაკამ წამოძიარა, ცი-



ვალ გამოვემშვიდობე. იქაურობას მოვუშორდი.

— კარგად იყავი... — ნათანაილმა მანქანას გაოცებული თვალები გამოაყოლა.

გული შემეკუმშა, რაღაც ამაფორიაქა, მაგრამ რა შემართებოდა ვერ გავერკვიე. საჭესთან გარინდული ვიჭექი. მერე ვიგრძენი, რომ როქსანა მითვალთვალებდა, მათვალიერებდა.

— რა იყო? — შევიშმუშნე.

— ის კაცი ვინაა?

— ამხანავია... ლისკოვოში ვიყავით ერთად.

— მართლა? — გაეხარდა. — მამაჩემს იცნობს?

— ჰო, როგორ არა... ჩვენც იქ დავუახლოვდით ერთმანეთს... — აზრგაფანტულად ვბასუბობდი, თან საითყენ წავსულიყავი არ ვიცოდი. — გინდა, ჩემთან ავიდეთ? — ვკითხე როქსანას.

— ახლა? — დინჯად იკითხა.

— ყავა დავლიოთ, იქნება ტელევიზორშიც იყოს რამე, ან მუსიკას მოვეუსმინოთ... — ოდნავ გამოვეთდი, ნელ-ნელა ბურუსი გაიფანტა. — წავიდეთ?

— წავიდეთ!

როქსანამ ჩემს ბინაში შესვლისთანავე დიდი ცნობისმოყვარეობით მოათვალერა იქაურობა. შემდეგ ქურჭი ღერეფანში ჩამოკიდა და სავარძელში უხმოდ ჩაეშვა.

— ყავა გაქვს?

— კი.

— მოვადულოო-ოთ? — გაჭიანურებულად იკითხა.

სამზარეულოში ერთად ვიფუსფუსეთ და შინაურულად იქვე ვივახშმეთ. ტელევიზორი ჩაერთე, მერე ყავა ერთად წამოვიღეთ და ძურნალების მავიდასთან სავარძლებში ჩავსხედით.

როქსანა უხმოდ, სვენებ-სვენებით სვამდა ყავას. გარინდული მისჩერებოდა ეკრანს.

ტელევიზორში რაღაც მხიარულ პროგრამას გადმოსცემდნენ, მაგრამ ოთახში ისეთი მყუდროება გაეფლდა, თითქოს მინავლულ ბუხართან ვისხე-

დით და იქვე გვერდით ტრეკლი კატა კრუტუნებდა.

კარგ-ბანს ვისხედით უხმოდ.

პროგრამა რომ ამოიწურა, ტელევიზორი გამოერთე. როქსანას დივანზე გავუშალე და მეც ჩემს საწოლთან მივედი.

შუქი თვითონ გამოართო.

სადღაც ფანჯრის ტუტკრუტანებში ქარი სუსტად ზუზუნებდა, ზოგჯერ მთლიანად შეაზანზარებდა შეშას და ქუჩის ფანჯრების შუქი ჭერზე მკრთალად ციმციმებდა.

გატრუნული ვიწექი, დაძინებას ამოდ ვედილობდი, ანდა რა დამაძინებდა.

შემდეგ დივანზე გასუსულ როქსანას ფრთხილად გავხედე.

— ვანო! — უცებ ფხიზლად, ხმამალა მომმართა. — შენ როგორ ფიქრობ, ომი იქნება?

— არ ვიცი.

— მაინც, რას იტყვი?

წავუყარე.

— გეძინება?

— არა.

— შენ თუ გინჯუბია ოდესმე?

— ზოგჯერ, ბავშვობისას.

— რატომ ჩხუბობდი?

— რა ვიცი... არ მახსოვს.

— არ გეცოდებოდნენ ისინი?

— რატომ ისინი... შენ გგონია, ყოველთვის მე ვიმარჯვებდი? — ლოგინიდან წამოვიწიე, გამიხარდა, ასე რომ ფიქრობდა.

— არა? — გაიოცა.

— რა თქმა უნდა... მეც ბევრჯერ მომხვედრია.

— რატომ?

— ალბათ, სისუსტისა და ზოგჯერ შიშის გამოც... კიდევ — ვილაცის ხათრითაც.

— შენ რა, მშიშარა ხარ?

— შიში ჰქვია, თუ შედეგზე ფიქრობ, თუ ახლობელ ადამიანებზე — ხათრი.

— მაინც რატომ ჩხუბობდი?

— უკვე აღარ მახსოვს... თუმცა ვიცი, არასოდეს მიჩხუბია იმისთვის,



რომ ძალა მეჩვენებინა, ან რამე წამე-  
როთმია.

— ახლა არ ჩხუბობ?

— ახლა ვეცდილობ, არ მოვხვედ  
ისეთ ადამიანებთან, მუშტი-კრავი რომ  
დამჭირდება.

— და მაინც, თუ მოგიწია?

— თუ მომიწია, მაშინ ვნახავ... —  
გამეცინა.

— არ ნანობ, რომ ჩხუბობდი?

— კი... ზოგჯერ ვნანობ ხოლმე.

— მე დივანზე რატომ ვწევარ? —  
იკითხა მოულოდნელად.

— იმიტომ, რომ რბილია.

— ასე მთელი ღამე ვერ დავიძი-  
ნებთ.

ხმა არ გავეცი.

— ცუდია, რომ დავრჩი, ხომ?

— არა მგონია.

— იცი, რას გეტყვი? — თქვა ჩუ-  
რჩულით. — შენ რა, ჩავეძინა? — ახ-  
ლა უკვე ხმამალა მკითხა.

— დიახ... თანაც, ძალიან ღრმა ძი-  
ლით!

დივანზე წამოჯდა.

— დაიძინე... — ვუთხარი.

— როგორ დავიძინო?

— დაიძინე-მეთქი!

— მე სრულწლოვანი ვარ და ვიცი,  
რასაც ვამბობ... — ხმამალა იყვირა.  
უხმოდ წამოვდექი.

დილით, როცა აბაზანიდან გამოვი-  
და, თითქოს ოთახი განათდა, თუმცა  
ჩემს ძველ ხალათში გამოწყობილი სა-  
საცილოდაც კი გამოიყურებოდა...

სარკესთან დადგა, ჩაიხედა. შემდეგ  
თავი დახარა და მკვეთრი მოძრაობით  
სველი თმა უკან, მხრებზე გადაიყარა.  
მსუბუქი, ნელი ნაბიჯით მომიახლოვდა,  
დივანთან ჩაეუქტა. ერთხანს უხმოდ,  
უსიტყვოდ მიყურა, მერე მაკოცა და  
წამოდგა. ისევ აუჩქარებლად, ნელა მი-  
ვიდა სარკესთან, თმის ვარცხნა დაიწყო.

X

წლის ბოლო თვე იყო.

მთელი დღეები სამსახურის საქმეე-  
ბით ვიყავი დაკავებული.

როქსანასაც უკვე ზამთრის სესიები

ეწეებოდა. ხშირად დასვენების დღეებ-  
შიც მეცადინეობდა, სადღესასწაულო  
თითქმის ყოველდღეს მხატვრობის  
ციებში იყო გაართული. მეცადინეობა-  
ში ხელი რომ არ შეშლოდა, ჩვეულებ-  
რივად აღარ ვხვდებოდი. ტელეფონი  
ისევ გამოვრთე, მაგრამ ამჯერად როქ-  
სანა გავაფრთხილე და საღამოობით,  
დათქმულ დროს მირეკავდა ხოლმე.

იმ დღეს სამუშაოს დამთავრების  
შემდეგაც სამსახურში დავრჩი, ქუჩაში  
გასვლა დამეზარა. დერეფანში ნათუ-  
რაც, თითქოს დალოდად ციმციმებ-  
და. თანამშრომლები რომ გაიკრფნენ,  
როგორც ზღვა ღელვის შემდეგ, ისე  
მიწყნარდა იქაურობა.

დაცარიელებულ ოთახში ვიჯექი და  
რა საქმეს ვწეოდი, არ ვიცოდი. პარა-  
სკევი საღამო იყო. წინ შაბათ-კვირა  
მელოდებოდა, დასვენების დღეებიც  
ნეტავი სააუშაო დღეები იყოს-მეთქი,  
გავიფიქრე.

შემდეგ ყურმილი ავიღე და პავლეს  
დავურეკე.

— ჭადრაკის თამაშის გუნებაზე ხომ  
არა ხარ? — არც მომსალმებია, ისე  
მომახალა.

— ვარ, რატომაც არა? — მეც გა-  
მომწვევად ვუბასუხე.

ოდნავ გამოვეცოცხლდი.

პავლე ვალუევი, ჩემი მეზობელი და  
კარგახნის მეგობარიც იყო. ხშირად  
თეატრის ბალშიც შემოდებოდა და გვიან  
საღამომდე ჩვენთან რჩებოდა. შემდეგ  
ოჯახს მოეკიდა, ბინებიც ერთ უბანში  
მივიღეთ, ავტობუსის ორიოდ გაჩე-  
რება გვაშორებდა ერთმანეთს.

თანაბრად ვთამაშობდით ჭადრაკსაც,  
ხან ერთი იგებდა და ხანაც მეორე, მა-  
გრამ თუ დავიწყებდით, ზოგჯერ დი-  
ლამდე შევეყვებოდით ხოლმე თამაშს.

შინ რომ ავედი, მართლა ჭადრაკის  
დაფას ვეცი და ეურნალების მაგიდა-  
ზე გავშალე. ფიგურებიც დავალაგე-  
კარგახანი არ მომეკიდა ჭადრაკისთვის  
ხელი და თამაშის სურვილით ავენთე.

მანგოს წვენი და ჭიჭიბიც იქვე და-  
ვაწყვე. დივანზე წამოვწექი, სიგარეტი  
გავაბოლე.

გერ ზღვა მომაგონდა, სადღაც შორს, ცისა და ხმელეთის დასალოერთან გასისინებელი... მერე უსასრულო, ლურჯი ცის კამარები და შემოდგომის საღამოები, აჩვილი, უკვე აკონილი, ზოგჯერ ყამასავით მჭრელი ჩალის ღეროები...

მოჭარგულაივნიანი ოდის უკან, შორს, საყანე ნაყვეთის კუთხეში მსხლის ენწეროებზე შემორჩენილი, გადამწიფებული იზაბელას მტევნები... მიჭრიალებს სოფლის შარავნაზე ჩიშიანი სიმინდის ტაროებით დატვირთული ურეში, ტაროებზე დიდრონი, თეთრი გოგრები დაუხვავებიათ. ირგვლივ კი რქაში ჩაქაფული, ღერძზე წასმული საპნის დამწვარი სუნი ფორიაჭობს. დაწყვეტაზე აქვთ კამეჩებს კისრის ძარღვები, მაგრამ მშვიდად, თანაბრად ფშვინავენ ჩემი ჭოტიები. კოფოზე წამოსკუშებული ვინმე თარნაკი ბალლი კი ეშმაკურად წყურავს შავსა და ბრიალა თვალებს...

კავკასიონის მოვერცხლილი მწვერვლებიდან თეთრი, ქათქათა ღრუბელი გუნდ-გუნდად, უხალისოდ, ზანტად, თითქოს იმ ცისა და იმ მიწის მიტოვება ეზარებათ, ტაატით მიიზღაზნება ზღვის გადაღმა უსასრულო სივრცეში. შემოდგომის თბილქარიანი საღამოები მთვარის შუქით ვერცხლისფრადაა გაჩირალდნებული, ისეთი ჯადოსნურითა და ეშმაკით, რომ გაფრენა მოგინდება...

შემდეგ ფიქრები უფრო და უფრო მომეძალა და, სულაც იმ მხარისკენ გაქროლდი, გაქროლდი საითაც გულმა გამიწია და მომესურვა...

ჩრდილოეთიდან რომ საქართველოში მიემგზავრები, დონის-როსტოვის მერე და სულ რაღაც ასიოდ კილომეტრზე, გზატკეცილს გასწვრივ ხეებქვეშ დახლებშიღმა ჩამომსხდარი დედაბრები და მოხუცები შინაური კერძებითა და ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობენ. რა ვინდა, რომ არა ქქონდეთ, დამარილებული თევზიდან დაწყებული, შემწვარ-შებრაწულ ღვინოებით დამთავრებული. ხილი მრავალნაირი, ბოსტნეული ქორფა,

ბამბასავით თეთრი და რბილი პური. კარტოფილითა და კომბოსტოთა დატენილი ღვეზელი.

იმ ადგილას გზატკეცილის ორივე მხარე, მძიმეწონიანი რეფრეცერატორებით, სატვირთო მანქანებითა და ზღვისკენ გაჭროლებული დამსვენებლების ნაირფერი მსუბუქი ავტოებითაა ჩაბერგილი. კაბინის კარებს ზანტად ალბენ დაღლილი შოფრები, სვენებ-სვენებით ჩაუვლიან დახლებს. სოფლიდან ჩამოტანილ შინაური კერძებს მაინც სხვა გემო აქვს...

დახლებს მიღმა ჩამომსხდარი მოხუცების ჯადით დაღარული, დაღლილი სახეების შეხედვაც მსიამოვნებს. მიხვრა-მოხვრაში დინჯნი, ხელმოშვირნენი, მაგრამ ვაჭრობაში დამთმობნი და ღიმილიანნი, ჩემი სოფლის მოხუცებს მაგონებენ.

იქედან სულ რამდენიმე საათის სავალზე, გზიდან მარჯვნივ რომ გადაუხვევ, ჭუბგაში ამოჰყოფ თავს. იქ ხომ მზის მცხუნვარე სხივებით გაცისკროვებული, უკიდვგანო, ლურჯი ზღვა ღვივებს...

...ტყვილად ჩამძინებოდა.

პავლე რომ მოვიდა, უკვე არც ქადრაკის თამაში მინდოდა და არც მასთან საუბარი.

— სიტყვის კაცი არა ხარ! — ვუსავყვედურე.

— ეე! — უხალისოდ ჩაიქნია ხელი.

— ქადრაკის თამაში უნდა გადავდოთ.

— რატომ?

— სოფლიდან მამაჩემმა დარეკა, ახლავე უნდა წავიდე.

დავდუმდი, წყენამაც გამიარა.

— ვანო! — რატომღაც ზეწნით შემომხედა. — წამო, წამყევი, რა?

— ოჰ! — წამოვიძახე და თვალეში მივაჩერდი.

— ხვალ და ზეგ ხომ დასვენების დღეებია? — შემახსენა.

— კი მაგრამ... მე რომ უნდა დამირეკონ!

— როდის?

— ახლა, ათ საათზე.

— უკვე ათია...



— ვნახოთ! — მხრები ავიჩეჩე. — მაყალე, ჯერ ტელეფონზე ვილაპარაკო.

როქსანა დასვენების დღეებშიც თუ იმეცადინებდა და ვერ მოიცილიდა, მაშინ, რა თქმა უნდა, სოფელში სიამოვნებით წავიდოდი.

— შენი ტელეფონი გაფუჭებული ხომ არაა? — პავლემ შემომხედა. — სანამ შინიდან გამოვიდოდი, რამდენიმეჯერ დაგირეკე, მაგრამ ყურმილი არავინ აიღო.

— გაფუჭებული არაა. — ეუპასუხე და საათის დავხედე. ჩაწეული ზარის გასწორების დრო მოსულა.

ტელეფონი ოთახში შემოვიტანე და ზომაზე დავაყენე ზარის ხმა.

როქსანამ დარეკა. დასვენების დღეებშიც ვიმეცადინებთო — მაცნობა და მეც მაშინვე მოვეუწონე. მერე ეუთხარი, სოფელში გამგზავრებას ვაპირებდი-მეთქი.

— ბინის გასაღებს დაგიტოვებ, თუ გინდა ჩემთან იმეცადინეთ!

— შენ რა, ამწუთას, ახლავე მიდიხარ?

— ჰო, წავალთ.

— როდის ჩამოხვალ?

— ხვალ ან ზეგ... — პავლეს გადავხედე.

— სწორია, ასე აჯობებს. — მიჩურჩულა.

— ბიბლიოთეკაში ვაპირებდი მეცადინეობას, მაგრამ... ვნახოთ, გოგონები თუ დამთანხმდნენ. — როქსანას ხმა შეეცვალა, დადარდიანდა. — გასაღები კართან იქნება?

— ჰო... ხომ იცი?

— ვიცი... მიდიხარ უკვე?

— წავალთ, რახან აგრეა.

— მოიცა, ერთი წუთი ყურმილი არ დაკიდო, აგერ გულოპას ვკითხავ და ვნახოთ, იქნება შენთან ამაღამაც წამოვსულიყავით...

— მოდი, რა! — გახარებულმა წამოვიძახე. — მოდი, და მეც არსად არ წავალ!

პავლე მოიღუშა, ხუმრობით თავში წაივლო ხელი, მუშტებით დაემუქრა როქსანას.

— არა, წადით, გაისეირნეთ! — როქსანამ, თითქოს პავლეს მუშტებით შეხებული სცენა დაინახა: — ახლა უკვე გვიანაა, აღარ ღირს წამოსვლა. აბა, ბედნიერი მგზავრობა... გოცინი.

— მეც! — ეუპასუხე, მაგრამ ყურმილს ხელიდან არ ვუშვებდი.

— შენც რაა? — რალაცნაირად იკითხა.

— მეც გოცინი!

— აა, მე კი ვიფიქრე, ვინმე გოგონასთან თუ-მეთქი! — როქსანამ მუქარაგარეული ხუმრობით ჩაილაპარაკა.

პავლემ შემომხედა.

— ვინ იყო?

— გზაში მოვიყვები.

თავი გადააქნია.

— ეგ რა გიყლია? — ეუთხეში, კარადის გვერდით ყუთზე მანიშნა.

— ტელევიზორია.

— უყურე შენ... ორი გაქვს? — არ მესია მოვნა ისე იკითხა და გაიოცა.

— ძველი გამიფუჭდა.

— მერე?

— მერე ძველი ისევ შევაცეთებინე, რა გინდა, რა იყო?

— მამაჩემს უნდოდა ტელევიზორია, მაგრამ მალაზიები უკვე დაკეტილია.

— კი ბატონო, ტელევიზორია აგერაა, წავილოთ.

— რა ფასიანია?

— პატარა ტელევიზორია, შავ-თეთრი.

— ზუსტად ასეთი მინდოდა.

— აგერაა და წაილე.

— საფასურს გადაგიხდი ანდა ზუსტად ასეთივეს ამოგიტან, როცა მოვბრუნდებით.

სამგზავრო ჩანთაში ვისკი და სიგარეტები ჩავალაგე.

— შენ ის მითხარი, ვისი მანქანით მივიღვართ? — ვკითხე.

— ჩემით, რა თქმა უნდა, — მიბასუხა.

ტელევიზორიანი ყუთი გამოვეჩოჩე.

— აბა! — გაუღიმე. — მოკიდე ხელი.

მალე ვოლოკალამსკის გზატკეცილზე



ქათმის „უხა“ რას ნიშნავს? — პავლე ვუჩურჩულე. დამიანტერესა, „უხა“ მრავალნაირი გამეგო, მაგრამ ქათმისა — არა.

— „უხა პო მონასტირსკი“ ჰქვია, ეს უკვე მამაჩემის საიდუმლოებდა. — პავლემ ხმაშალა ვააცხადა.

— დილით ნახავთ, რაცაა — მოხუცი თითქოს დაგვემუქრა. — ანდა ახლავე ვავაშნადებ, ნახევარი საათი უნდა ყველაფერს. მეტი კი არა! — ისევ შეგვათვალაოერა.

ხელშეორედ განვაცხადეთ მტკიცე უარი.

— შაცალებო! — პავლოვიჩმა ჩაიციხა, ისევ დაგვემუქრა. — მე შინც გამოვნახავ ისეთ რამეს, რასაც მოსკოვში ვახშად ვერ მიირთმევდით! — თქვა და წამოდგა, სამზარეულო ოთახში იატაკის ხალიჩა გვერდზე გასწია და სარდაფში ჩასასვლელი კიბის სახურავი ამოაღო. — აბა, ჩახტი და ამომაწოდე რასაც გიტყვი! — შვილის ჭიბის ფანარი მიაწოდა. — აქ რაღაცეებია გადანახული! — დიშმორეულმა მაეცნობა.

სარდაფიდან ცივი, ნესტიანი ჰაერი ამოვარდა, გამაყრყოლა.

პავლემ მგავე კომბოსტო, სოკო, კიტრი და პამიდორი ამოგვაწოდა სარდაფიდან.

— ახლა იქეთ, მარცხენა მხარესაც მოაფათურე ხელი! — მოხუცი თვალყურს ადევნებდა, კარნახობდა. — ყველა არსებული კანონების ძალით იქ ერთი ბოთლი არაყი უნდა იდოს.

— არ გვინდა არაყი. — პავლე შეიკმუნხა. — შენ ხომ არ სვამ?

— მე რომ არ ვსვამ სწორედ იმიტომაც შემომჩრა! — პავლოვიჩს გაეცინა.

სარდაფიდან პავლე როგორც კი ამოვიდა, სახურავს ვეცი, სარდაფის ჩასასვლელი ჩავკეტე და ხალიჩაც გადავაფარე. იქედან ამოვარდნილმა სიცივემ, სამზარეულოს თბილი ოთახიც გააცივა.

— ნუ გეშინია, სამხრეთელო, ხუთ

წუთში დათბება! — მოხუცმა დამამშვიდა, შენიშნა ჩემი დანაკარგობა.

მართლა მშვენიერად გუფოა ვაშალი.

დამარილებული ღორის ქონი, შინაური კარაქი, ცხელი კარტოფილი, სოკო, კომბოსტო, კიტრი, პამიდორი და ისეთი პირშუშხა, რომ სულ კურცლები გვაყრევინა თვალებიდან. ერთი სიტყვით, სუფრაზე ელაგა ყველაფერი ის, რაც რუსულ ზამთარსა და ირგვლივ გაწოლილ თვალწვედნელ, უსიერ ტყეებსა და თოვლიან სტეპებს მოუხდებოდა.

შვილთან საუბარში გართულ მოხუცს უნებურად ვაკვირდებოდი და გუნებაში მომწონდა, საცხოვრებლად სოფელში რომ გადმოვიდა. მოვახსენე კიდევ სადღეგრძელოში, პავლეს არ მოვერიდე და ამიტომაც მოღუშული მისმენდა.

პავლოვიჩმა ოდნავ შესამჩნევად გამოიღიმა.

— ჰო, კარგია ყველაფერი, მაგრამ მე უკვე დავებრდი.

— რატომ, ყოჩაღად გამოიყურები! — შვილმა მხარზე გადაუსვა ხელი.

— სწორედ რომ გამოვიყურები და მეტი არაფერი. — მოხუცმა თვალებში ჩახედა.

სიგარეტი გავაბოლე.

— პაშა, ჩანს შენი მეგობარი კარგი ახლავარდაა. — შემდეგ პავლოვიჩმა რატომღაც შემაქო. — გაუფრთხილდით ერთმანეთს, მოუარეთ.

— კარგი კია, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს... — პავლემ თვალი ჩამოიპაჭუნა.

— რა ნაკლი? — შეიშმუნხა მოხუცი.

— აი, რუსი არ არის...

— ოჰ, შე ცინგლიანო შენა, მამახხარავებ? — პავლოვიჩი საჩვენებელი თითით დაემუქრა. — შენ დაბადებულად არ იყავი, მე რომ ქართველი მეგობრები მყავდა.

— ვიცი, ვიცი! — პავლეს გაეცინა.

— თქვენ ალბათ რესტორანში ან გოგონებთან გამართულ საღამოზე გაიცანიით ერთმანეთი, ჩვენ კი სანგარში

ვიწეკით და სიკედლის ვუყურებდით თვალბში — პავლოვის მართლა ბრაზი მოერია. — უყურე შენ ამას?

— არაფერია. — დაემშვიდე. — პაშამ იხუმრა!

— ხუმრობაც არ შეიძლება ასეთი! გამიკვირდა მოხუცმა რომ ხუმრობა მართალივით მიიღო, მეც ბევრჯერ მი-თქვამს პავლესთვის — ეს ერთი ნაკლი გაქვს-მეთქი, ვხუმრობდით ხოლმე, დაეცინოდით იმათ, ვინც მართლა ასე ფიქრობდა.

ლამის სამი საათი იყო.

არ მინდოდა მამა-შვილის საუბრი-სთვის შემეშალა ხელი და დაღლილ-ობა მოვიმიზეზე. მოხუცი მაშინვე წა-მოდგა, გვერდითა ოთახში შემიძღვა და მიუხედავად ჩემი დაჟინებული უა-რისა, ლოგინი თვითონ გამიშალა.

გატრუნული ვიწეკი. კუთხეში, ზამ-ბარებიან საწოლზე მოხუცს უამრავი სხვადასხვა ჭიშის ვაშლი დაეხევები-ნა. ოთახში სასიამოვნო, გამაბრუებ-ელი სურნელი იდგა, ძილის სურვილმა გაიძრა. მთელი ძალით, ღრმად შევი-სუნთქე პაერი და სანამ ფერად-ფერა-დი წრეები არ ამითამაშდა თვალწინ, არ ამომისუნთქავს...

„უხა პო მონასტირსკის“ მზადებას მოხუცი დილიდანვე შეუდგა. ჯერ თე-ვზი მოხარშა, ამოიღო და, მერე ჭათა-ში ჩააგდო ქებაში (ანდა პირიქით, ზუსტად ვერ ვიტყვი). შემდეგ ხახვი, წიწკა და მარილი ჩაუშვა. გვითხრა, ასეთ „უხას“ მარხვის დროს მონასტ-რის ბერები ამზადებდნენ, რადგან წვეს არც ხორცის გემო აქვს და არც თევზისო. სახელწოდებაც იქედან შე-მორჩენოდა კერძს...

სადილის სამზადისში მეზობელიც ეხმარებოდა — ძია ვანია, ასე მიმარ-თავდა მოხუცი მეზობელს (ყოცხალი თევზი მისი მორთმეული იყო).

სადილი რომ გაამზადეს ძია ვანია დიდი თხოვნის შემდეგ, როგორც იქ-ნა, მიუქდა სუფრას, მაგრამ მაინც ფრიად საპატიო მანძილზე გააჩოჩა სკამი, ხოლო ქუდი, მუხლზე დაიდო.

— მოიტა აქ ეგ შენი ფაფაბი! —

პავლოვიჩმა ქუდი აართვა და დივა-ნისკენ ისროლა. — ესენი ჩემი წვი-ლები არიან, ვისი გტრადგმა? მისი უსა-ყვედურა. — ცოტა ყურს აკლია! — მითხრა ღიმორეულმა. — ფაშისტებ-მა თორმეტი წლის ბავშვს დედ-მამა თვალწინ დაუხვრიტეს!..

ვანიამ მუშაობით გაუხეშებულ, დაყოყრილი ხელები მუხლბეზე დაიწ-ყო და უხმოდ შეგვათვლიერა, მერე რატომღაც შეცბა, ფანჯრისკენ მიიხე-და. ჩანდა, სუფრაზე სტუმრებთან ყო-ფნა იშვიათი, გასახარებელი მოვლენა იყო. სამოცდაათ წელს მიღწეული ჩვენი მოხუცი მასთან შედარებით, ბე-ვრად მხნედ და ყოჩაღად გამოიყურე-ბოდა.

მოგვიანებით, პავლე რომ მამასთან სამზარეულოში გავიდა, ვანიამ ცნობის-მოყვარეობით სავეს თვალებით შემომ-ხედა. — დოცენტია! — მოწიწებით მანიშნა პავლეს.

— დიახ! — დავემოწმე.

დადუმდა. მერე ისევ:

— პირდაპირ იქ, ინსტიტუტში ას-წავლის?

— ინსტიტუტში არა, მაგრამ დო-ცენტია... ფიზიკოსი.

თავი გადააქნია.

სიგარეტი ამოვიღე, მივაწოდე.

გამომართვა, კოლოფი ყურადღებით დაათვალიერა, მაგრამ ხელუხლებლად დამიბარუნა.

— არ ვარგა?

— არა, კარგია... მე ჩემსას მოვწევ... თქვენ კაცკასიელი ხართ? — მკითხა.

— ქართველი...

— ქართველი, ხომ?.. აი, ასეც ვი-ფიქრე! — მოულოდნელად ისე აღფ-რთოვანდა რომ აღარ ვიცოდი, რა მეჭ-ნა, დავიბენი. მერე მომავიწყდა, რომ ვისკი მქონდა წამოღებული, ჩანთა გავ-ხსენი და ბოთლი ამოვიღე, ვაჩუქე.

კარგახანს იუარა, მაგრამ გამომარ-თვა და ბოთლიც ყურადღებით დაათ-ვალიერა.

— ქართულია? — ღიმილით ამომ-ხედა.

— არა!..

შეიშმუნა, თითქოს რამე ეშმაკობაზე წამასწრო, ისე გადააქნია თავი. ბოლოს ბოთლი ფართო შარვლის ჯიბეში ჩაუშვა და ოთახიდან უხმოდ გავიდა.

პავლემ პატარა ჩაიდნით ჩაი შემოიტანა.

— ახლავე გამოჩნდება! — ღიმილურულმა დამამშვიდა. — რამე საპასუხო საჩუქარს მოიტანს.

მართლა მალე გამოჩნდა ვანია, ცხენირემას დიდი, ექვსშტოიანი რქა და ახალდადებული, თბილი, ქათმის კვერცხები შემოიტანა, მაგიდაზე დააწყო. კვერცხი კარგია არაყუბო, მითხრა. საჩუქარი კი ჩანთასთან დადო.

მადლობა მოვახსენე, გულითადად ჩამოყართვით ერთმანეთს ხელი. შემდეგ კი ღირსებით აღჭურვილი მიუქდა სუფრას.

— აბა, ახლა ერთი ის უთხარი, სტალინი როგორი იყო? — თხოვა პავლოვიჩმა და გვანიშნა: — ნახეთ, მოუსმინეთ, რა თქვაასო?..

— დიახ. — თქვა ვანიამ. — დიახ!

— სტალინი განსაკუთრებით იმიტომ უყვარს, რომ იმ დაძაბულ დღეებში მოსკოვი არ მიატოვა.

ვანია უხმოდ იჭდა სკამზე.

— სტალ ფოლადს ნიშნავს! — შემდეგ ამიხსნა, თვალეში მომაჩერდა. — სტალ, ესე იგი, ფოლადი... აი, ასე! — თქვა და კმაყოფილი სახით გადახედა მოხუცს.

— იცის, რომ ფოლადია, იცის! — ხმაშალა ჩასძახა პავლოვიჩმა და ამოიხენემა. — ეეჰ, რა ქნას ამ უბედურმა... მეც ამ ადგილებში ვიბრძოდი, აქ შევიძინე და აქვე დავმარხე ჩემი საუკეთესო მეგობრები... არ უთქვამს? — შეიღზე მანიშნა მოხუცმა.

— არა...

— როგორ არა? — პავლემ შემომხედა.

— ჯო, კი, მგონი...

მოხუცი უხმოდ მოგვეჩერებოდა.

— მამა ამიტომაც ვადმოვიდა სოფელში.

— ამიტომაც კი არა, სწორედ ამი-

ტომ! — პავლოვიჩმა გაუსწრა. — ეს სოფელი ჩემთვის წმინდა ადგილია. — იცის.

— არა, არ იცის... არ იცის და შინდა, რომ იცოდეს... ჩვენს ასულში, რამდენიმე ქართველიც იბრძოდა, მათგან ორი — გაიოზი და სულიკო, ჩემი მეგობრები იყვნენ... მახსოვს სულიკო რომ მოკლეს, გაიოზი სანგარში ბალღივით ტიროდა. მეჩუ თვითონაც ანდრეაპოლში დაიღუპა. იმ ბრძოლებში მეც ორი ჭრილობა მივიღე, პირველად მხარში, მეორედ — ბარძაყი მქონდა დამსხვრეული.

მოხუცმა პაპიროსი ამოიღო.

— თუმცა არა! — წამოიძახა. — გაიოზი ანდრეაპოლში კი არა, ნელიდოვოში დაიღუპა... რა ვუთხრა, სიბერესწ... უკვე მახსოვრობაც მალატობს...

სიჩუმე ჩამოწვა.

მოულოდნელად, ქუჩიდან გარმონის ხმა შემოგვესმა. მეჩუ ახლოს, პირდაპირ ჭიშკართან ახმინადა და მოხუცი წამოდგა, ფანჯრის ფარდა გადასწია.

— ეს ჩვენი კლავა და კოლიაა! — პავლეს ღიმილით აცნობა. — აქეთ, შენს სანახავად მოდიან.

პავლე წამოდგა, ფანჯარაში გაიხედა. შემდეგ დერეფანში გავიდა და მეზობლებს კარი გაუღო, მიეგება.

— კლავასა და კოლიას დიდი რომანი აქვთ გაჩაღებული! — პავლოვიჩმა ხმადაბლა მითხრა. — კლავდია ჩვენი სოფლის მალაზიის გამგეა.

სტუმრებს ცივი პაერისა და თოვლის სუნი შემოჰყვავთ ოთახში. კოლიამ გარმონი დივანზე წამოაგორა და გრძელბეწვიანი ქურქი გაიხადა. ერთმანეთს რომ წარგვიდგინეს, რატომღაც ისე მომიჭირა ხელზე ხელი, ტკივილებისაგან კინალამ ვიყვირე.

სტუმრების შემოსვლისთანავე ვანიამ გულახდილად მოიწყინა. გარმონს მიუქდა და თვალეები მიღულა, მაგრამ სანამ დაიძინებდა, წინდახედულად ქუდი თვალეებზე ჩამოიფხატა.

მაგიდას ვუსხედით და ვსაუბრობდით. მომწონდა, სასმელს რომ არავინ



მძალეზდა და ერთი სული მქონდა, როდის გადასწდებოდა კოლია დივანზე წამოგორებულ გარმონს.

— ძია ვანის ჩასძინებია? — კლავამ გაიოცა. — რაო, ბებერი დალია?

— არა, ეგ ზომ არ სვამს, ვანიჩკა უბრალოდ დაილა.

— თქვენ? — კლავამ პავლოვიჩს შეხედა.

— არც მე... მე ჩემი გეგმა უკვე შევასრულე.

— ოო, ეს საკითხი ჭერ გასარკვევია, ასე ადვილად ვერ დავიჭერებთ! — ქალმა გადაიყისისა. — ზომ მართალია?

— გინდათ, რამე დავუქრა? — იყითხა კოლიამ.

— ეს არის საქმე?.. — პავლოვიჩმა მუხლებზე გადაისვა ხელები და ნაწყენი მომაჩერდა. — შეილს ვეხვეწები მოპედი მიყიდე-მეთქი, ვთხოვ, ვეხვეწები...

პავლემ ამოიხენეშა.

— კარგი... გიყიდი, მაგრამ მოსკოვიდან როგორ ჩამოვიტანო?

— ჩამოტანა არ უნდა, ახლა აგერ რქევიცი იყიდება რამდენიც გინდა.

— მოპედი? — კვლავ ჩაიციხა. — რად გინდათ?

— სტეპებში გავისეირნებდი, ძმათა სამარხებს მოვინახულებდი, ან წაგიდოდი სადმე სათევზაოდ...

— ეს კი, რა თქმა უნდა!

— ჰოდა, ასორმოცდაათი მანეთი მისთვის რა არის? — პავლოვიჩმა მრავალმნიშვნელოვნად გადმოგვხედა. — ასორმოცდაათი მანეთი მისთვის, აი, თფუ!

— ფული რა შუაშია? — პავლე შეიშმუნა, შეეტყო რომ საუბარი არ ესიამოვნა. — საქმე ფული არაა, რამე ფათერაკს არ ვადაეყარო...

კოლია უცებ გარმონს გადასწდა, მარაოსავით მსუბუქად გაშალა და სიმღერა წამოიწყა.

«Всюду деньги, деньги, деньги.

Всюду деньги господа.

А без денег жизнь плохая.

Не годится никуда!..»

— სიმართლე გითხრათ, ფული მე

არ მაკლია, საქმე ისაა, რომ მოპედი შეილმა უნდა მიყიდოს, მოხუცი მე მეუბნებოდა, მაგრამ კოლია ვეხვეწებოდა თვალს. — აი, შეილმა მიხნდა მიყიდოს... შენ ნუ გაახტე აქ ნებას-დროინდელი სიმღერები! — შემდეგ კოლიას შეუტია და ოთახიდან გავიდა.

— სად მიდიხარ? — პავლემ კითხვა დაადევნა.

— წავალ, წყალს მოვიტან... საერთოდ დამანებეთ თავი, ჩემი საქმე მე ვიცი.

— შენთვის ერთი სიურპრიზი მაქვს გადანახული.

მოხუცი წამით შედგა.

— კარგი, წავედი! — შემდეგ ხელო ჩაიქნია.

პავლემ ისევ ამოიხენეშა.

— გული არ უვარგა. — ჩაიდუღუნა და კლავას შეხედა. — ტელევიზორი ჩამოვტანე, აგერ მანქანის საბარგულშია... წუხელ არაფერი მიტყვამს, ვიცი, დღეს მოპედზე დამიწევება საუბარს...

მოხუცი რომ შემოვიდა, პავლე და კოლია უხმოდ გავიდნენ გარეთ, მანქანის საბარგულიდან ყუთი ამოიღეს და ოთახში შემოიტანეს.

მოხუცი თვალს ადევნებდა, არაფერს ამბობდა.

— აი, სიურპრიზი! — პავლემ გაუღიმა. — აბა, გამოიციანი, რა არის!

— ტელევიზორია, რა უნდა იყოს! — პავლოვიჩმა თვალებში ჩახედა. — ყოჩაღ პაშა, ეს უკვე კაცობაა... მოიტა ხელი!

— ახალია? — იყითხა კლავამ.

— აბა, ნახმარს ჩამოვიტანა? — მოხუცმა გადახედა. — ძია ვანია სადაა? — შემდეგ ოთახში მიმოიხედა.

— ახლავე ანტენასაც დავაყენებთ! — პავლემ ტელევიზორი ყუთიდან ამოიღო და თვითონაც საკმარად გულახილი ცნობისმოყვარეობით დაათვალიერა.

ეზოში გავედით.

მოხუცმა გრძელი კიბე და თოვლსაწმენდი ნიჩაბი გამოაჩინა. პავლე სახურავზე ავიდა.

ირგვლივ თოვლით დახუნძლული მყუდროება სუფევდა. საკვამლე მიღებიდან შავი ბოლი ამოდიოდა, ალბათ, ქვანახშირით ათბობდნენ ღუმელებს. სახერხის ეზოში ნათურა ისევ თვალისმომკრელად კაშკაშებდა.

პავლემ სახურავზე ანტენა დაამავრა. მერე დააზუსტა ის წერტილიც, რითაც უზრუნველყოფდა გამოსახულებისა და ეკრანის სიწმინდეს.

ოთახში რომ შევედით, კოლიამ აციმციმებულ ეკრანს თვალი აარიდა, უხალისოდ გახედა გარმონს.

ვანიამ გამოიღვიძა, მოჯადოებულებით მიაჩერდა ტელევიზორს. მერე წამოდგა და პავლეს ენერგიულად ჩამოართვა ხელი.

— თევზი ჩემზე იყოს! — უთხრა დიმილით.

— საიდან ამდენი თევზი? — მოგვიანებით ხმადაბლა ვკითხე პავლეს. — რით იჭერს?

— დინამიტით... — ჩადებს პენიცილინის შუშაში, გადაადგებს მდინარეში და მორჩა...

— დინამიტს სად შოულობს?

— ტყეში... ომისდროინდელი ქურვები აქა-იქ დღემდეა შემორჩენილი... რა ვიცი... გარედან ენაგითაა შექმულო, შიგნით კი უვნებლადაა შენახული, განახებ მერე...

— დინამიტით თევზის ხოცვა ხომ აკრძალულია?

პავლემ ხელი ჩაიჭნია, გაეცინა. მეც აღარაფერი მიკითხავს, არ მესიამოვნა დინამიტით თევზაობის ამბავი.

სტუმრები როგორც კი გავაცილეთ, მაშინვე წამოვწეკით და კარგახანს ვიძინეთ.

სალამოს მდინარისკენ ჩავისეირნეთ. პავლემ ის ადგილები დამათვალიერებინა, სადაც ვანია დინამიტით თევზაობდა. პატარა, ღელესავით ვიწროკალაპოტიანი მდინარე ჩქარი დინების გამო გაყინული არ იყო. ზედაპირს ზოგან თეთრი, ორთქლიანი ოზონივარი ასდიოდა და მშვენიერი სანახავი ვახლდათ, შინ კმაყოფილი მივბრუნდით.

კონსტანტინ პავლოვიჩმა ხელახლა

გაშლილი სუფრა და ახალი მარჯალბული, ცხელი ჩაი დაგვხვედნენ. პავლე რატომღაც შეუღებულად — ჩვენ წავალთ! — მოულოდნელად აცნობა მამას.

— მოხუცმა გაცილებით შეგვათვალიერა.

— ახლავე მიდიხართ? — ესლა იკითხა.

— არა, ჯერ ჩაის დავლევთ...

მოხუცი უხმოდ ჩააჩერდა თქვშს. მერე ნელა წამოდგა — რახან გადაგიწყვეტიათ, ბავშვებისთვის რამე საჩუქრებს გავამზადებო — ჩაიდუღუნა და ოთახიდან გავიდა.

— ეწყინა, აჯობებდა ხვალ წავსულიყავით. — ტიქა დავდგი და პავლეს თვალბეჭე ჩავხედე. — იცოდე, ჩემი არ მოგერიდოს, მე ხვალ საღამომდე შემიძლია დაერჩე.

— ყველაფერი რიგზეა „მოხუცო“, მერე კიდევ ჩამოვალთ! — პავლემ სიგარეტს ამოიღო. — რა ვქნა, ველარ ვჩერდები სოფელში.

კონსტანტინ პავლოვიჩი ჭიშკართან გამოგვემშვიდობა. საკმაოდ უღიმღამოდ ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი.

მთავარ ვხატეკეილზე რომ გავედით, პავლემ მანქანა მთელი სისწრაფით, თითქოს გამწარებითაც გააჭროლა. მერე ასევე შეაწვავა სვლა და ამოიხვეწა.

— მოდი და ამის შემდეგ შვილი გაზარდე, ა? — გადმოხხედა. — გინდა მომკალი, ველარ ვძლებ სოფელში და რა ვქნა?..

— ეგ ხდება ხოლმე... მგონი, გადაულარა მოხუცს, მერე...

— ნახე, როგორ გამომეშვიდობა?

— არაუშავს, ყველაფერი კარგად იქნება...

მოსკოვში ღამის თორმეტ საათზე ჩავედით.

პავლემ მანქანა სადარბაზოსთან შეაჩერა, ცხენ-ირემას რქა და ვაშლით სავსე პარკი შემომამჩნია.

შინ შესასვლელი კარი რომ გავალე, ოთახში ანთებული შუქი დამხვდა.

— ვინ არის მანდი! — ხმა დავებო-



უთხრა, მაგრამ ისე, რომ რობსონი არ აღელვებულყო.

ოფიციალური განსაკუთრებული ყურადღება, რომელსაც ასე პროფესიულად და მონდომებით გვახვევდა თავს, ასეთივე განსაკუთრებულ, სამკეც პატივს ითვალისწინებდა, რა თქმა უნდა, ანგარიშსწორების დროს.

ნათანაილმა სიგარეტის კოლოფი მაგიდაზე დაავდო.

— ალბათ ანია პირდაპირ სასახლეში მოვა, ჩვენც იქ შევხვდეთ.

— კი ბატონო, თქვენ როგორც მეტყვით! — ვუპასუხე, ვატყობდი, მთლად კარგად ვერ იყო საქმე, რაღაცას მიმალავდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— დათა აქაა? — შემდეგ საქმეში გართულ ოფიციალტს მიმართა.

— დიას... სამზარეულოშია.

დათა იმ რესტორნის მთავარი შეფ-მზარეული, ჩვენი ნაცნობი, ყველასთვის საჭირო „ოქრო კაცი“ გახლდათ.

ნათანაილი წამოდგა, როგორც შევატყვე, სამზარეულოსაკენ გაემართა.

გარინდული ვაბოლებდი სიგარეტს. ფიქრები მომაწვა. ერთი სული მქონდა, მალე გასულიყო ხვალინდელი დღე, რატომღაც ტვირთად დამაწვა ნათანაილის ქორწილი და მისი ცერემონიალი... მერე როგორც იყო, ნათანაილი გამოჩნდა და გარინდებამ გამიარა.

— გაცივდა ყველაფერი? — ბოდიშის მაგიერ იკითხა. — აგერ, დათასთან ვსაუბრობდი, რამდენი ხანია, არ მინახავს.

— აკი ქორწილს არ ვიხდიო?

— შე კაცო, ისე ვისაუბრეთ!

რესტორანში დიდხანს არ დავრჩენილვართ, მალე გამოვედით. მანქანას რომ მიუვახლოვდი, ნათანაილი შეჩერდა.

— მოიტა ვასალები! — გაშლილი მარჯვენა გამომიწოდა.

მანქანაში ჩავსხვდით და ძრავა ავამუშავე.

გორკის ქუჩისკენ ვაპირებდი მოხვევას, რომ მოსკოვის საბჭოს შენობას-

თან მდგარმა ავტონისპექტორმა მოკლედ და მკვეთრად დაუხტვიან...

— აი? — ყვედრებში გადვხედე მხათანაილს.

ინსპექტორი მოლუშული მომესალმა, თავისი გვარ-ჩინი მამცნო.

— გამარჯობათ! — მანქანიდან ნათანაილი გამოვიდა, მიესალმა. — ნათანაილ გაბრავა, „ცალენჯიხისკი“ — საკუთარი გვარ-სახელიც მოახსენა.

ინსპექტორმა არც შეხედა.

— თქვენი საბუთები! — მკაცრად მომმართა.

უხალისოდ მივაწოდე.

— რამდენი დალიეთ?

— აა, „გურჯაანი“? — ნათანაილმა კითხვითვე მიმართა.

ინსპექტორი თვალებს არ მაშორებდა.

— დავლიეთ... — გულახდილად ვუპასუხე.

— რამდენი? — იკითხა და თითქოს გაეღიმა.

ვაჭრულად, ვხედავდი მართვის უფლებას მართმევდნენ და მაინც არ მწყდებოდა გული...

— მანქანა იქ ჩააყენეთ, სადაც იდგა! — ინსპექტორმა წიგნაკი მოულოდნელად უკანვე გადმომაწოდა. — დილაზე აქაურობას არ გაეკაროთ, ვასაგებია?

— აა? — ესლა ამომხდა.

— შეასრულეთ, რაც ვითხარით! — ინსპექტორმა ჯობი ასწია და მოძრაობა შეაჩერა, მოხვევის საშუალება მომცა.

სწრაფად მოვეხვიე, მანქანა ისევ ბალის შესასვლელთან ჩავაყენე და ჩაეკეტე.

— აი, კაცი! — ეუთხარი ნათანაილს.

— აბა, მოსკოვის საბჭოსთან ვიგინდარას ზომ არ დააყენებდნენ? — მიუპასუხა.

ინსპექტორს მიუვახლოვდი, მადლობა მოვახსენე.

— კარგი, კარგი! — თვალებით გამიღიმა და მსუბუქად შეტრიალდა, ქუჩის შუაგულისკენ გაემართა თავაწეული.

ტროტუარს ჩაეუყვებით.

— აი, კაცი! — ჩაედუღუნე ისევ.

— ვინ, ბორისი? — ნათანაილმა დიდი ხნის ნაცნობივით მოიხსენია ინსპექტორი. — ბორისს, შე კაცო, მთელი მოსკოვი იცნობს, საყვარელი კაცია... მაგრამ ჩვენ რომ ფეხით მივჩანჩალებთ?

— ახია... ეგ უკვე შენი წყალობითაა. — ვუპასუხე.

მეორე დღეს შეპირებისამებრ ქორწინების სახლში მივედი. ნათანაილი პირველ სართულზე, სავარძელში ჩასვენებული ვიხილე. შემდეგ ანია რატომღაც მარტო შემოვიდა, მომჩვენა, თითქოს უგუნებოდ იყო.

ერთმანეთს მივესალმეთ.

— ბოდიში, შეიძლება ნათანაილს ტიტ-ა-ტიტ ვესაუბრო?

— კი ბატონო! — მაშინვე განზე გავვდექი.

ნათანაილი ორიოდ წუთის შემდეგ მობრუნდა.

— ხელისმოწერა არ შედგება. — მაცნობა და თვალბეჭეტი შემომხედა.

— რატომ? — გავვოცდი.

— ანიაშ გადაიფიქრა...

მორიგი შეკითხვისგან შევეკავე თავი. თუმცა შეკითხვა ვნის წვერზე მადგა.

— არა, ყველაფერი რიგზეა! — ნათანაილმა გამიღიმა. — ყველაფერი ისეა, როგორც უნდა ყოფილიყო.

მერე ანიაც მოგვიახლოვდა, ხელჩანთიდან სიგარეტი ამოიღო.

ანთებული ასანთის ღერი მივაწოდე, სიგარეტს მოუკიდა და გამიღიმა.

— აბა, წავედით! — ნათანაილმა ორივეს გამოგვლო ხელი. — სულერთია, ეს ამბავი „არაგვი“ უნდა ავლნიშნოთ, არავის არაფერს ვეუბნებით, ყველაფერი რიგზეა.

— წავიდეთ! — ანია მაშინვე დათანხმდა. — წარმოვიდგენია, როგორი უღლისგან გავათავისუფლდე? — გაიცინა.

— შე შენი იმედი ყოველთვის მჭონდა. — ნათანაილმა აკოცა. — შეგობრობაზე ძვირფასი არაფერია.

— ვიცი! — ქალმა რატომღაც გუდაიციკისა.

„არაგვის“ გასახდევად ჩავაბარეთ და საერთო დაბაზში ჩასასვლელი კიბისკენ ვაპირებდი შებრუნებას, რომ ნათანაილმა მაღლა, კაბინეტებისკენ მანიშნა.

ზევით ავედი. ერთ-ერთი კაბინეტის კარს ხელი ჰკრა — შეგვიპატიუა.

გაოცებული შეგჩერდი ზღურბლთან — ოთახის მთელ სივრცეზე გაშლილი მაგიდის გარშემო, ჩვენი საერთო ნაცნობები ისხდნენ, სუფრის თავში კი წითელი ყვავილების გორაკი აღმართულიყო.

## XII

ორიოდ დღის შემდეგ იური მატვეიჩმა დამირეკა.

— ალბათ გაგიკვირდებათ, საიდან მატვეიჩს ჩემი ტელეფონი? — მხიარულად მკითხა. — ფიქრით ნუ შეიწუხებთ თავს, ტელეფონის ნომერი ნათანაილმა მომცა. სადაა ის კაცი, ჩაწერა და სამსახური რომ უნდა?

ნათანაილს დიდი ხნის წინ ეუთხარი, მატვეიჩი იქნებ თათეს როგორმე დაეხმაროს-მეთქი და ახლა გამიკვირდა, რომ დამირეკა, რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ.

— იური მატვეიჩ, გმადლობთ, ნუ წუხდებით!

— და მაინც, სადაა?

— არ ვიცი... ერთხელ წამომცდა ნათანაილთან, თქვენი შეწუხება არც მიფიქრია!

— ჩემი ტელეფონის ნომერი ჩაიწერეთ, მეგობრებთან არ შეიძლება ასეთი მორიდება... თუ ფიქრობთ, მატვეიჩმა მეგობრობის ფორმულა არ იცისო, ძალიან ცდებით.

— რა ფორმულა? — გამეღიმა.

— „მეგობრის მეგობარი — ჩემი მეგობარია“... ასეა დაახლოებით, ხომ?

— ასე! — დაეუმოწმე.

— ჰოდა, დამირეკეთ! ყველაფერს, რაც საჭიროა, გვაკეთებ.

— დიას... — ჭირის ოფლს მასხამდა.

თადეოზის ასავალ-დასავალიც ნამდვილად აღარ ვიცი.

— ეს ყველაფერი კარგი და პატიოსანი, მაგრამ სათევზაოდ როდის წავიდეთ? — მკითხა და სული მოვითქვი.

— როცა თქვენ იტყვი!

— ჩვენ, მხოლოდ ჩვენ ორნი, ისინი, ის კრუ-მეთევზეები არ მიგვყავს! გაეჩუმდი.

— აბა, კარგად იყავით! — გამოემშვიდობა.

— კარგად ბრძანდებოდეთ! — ვუბასუხე და ერთხელაც გადავუხადე მადლობა.

ყურმილი რომ დავდე, კულ დღეში ჩავვარდი. ვინმე გაქნილ საქმოსნად წარმოვიდგინე თავი. მუშაობას გული ვეღარ დავუდე. უბის წიგნაკში დათოს ტელეფონის ნომერი მოვძებნე და ყურმილი ავიღე, რატომღაც ასეთ ხალხთან ურთიერთობაში გამობრძმედილ კაცად მყავდა წარმოდგენილი და როგორც მაშველ რგოლს, ჩავეჭიდე.

— ჰა-ააა... — დათომ ჩახლეჩილი, ნალენივე ხმით მიპასუხა. — რომელი ხარ, შე ოხერო?

— გეძინა?

— რომელი ხარ-მეთქი!..

ვუთხარი, ვინც ვიყავი და მივაყურადე.

— მერე?.. ასე უნდა დაკარგვა?

— შენ რა, ნასვამი ხარ?

— უუჰ, უბედურად!.. წუხელ ბორიასთან ღამის სამ საათამდე ვუბერავდით, მომკლა ამ არაყმა...

— მერე რატომ სვამ?.. თადეოზის კორდინატები ხომ არ იცი?

— ოჰ, მე მაგისი... მოიცა, ახლაც მოგინახვებ ტელეფონის ნომერს.

— ვინ მისცა ტელეფონი?

— ტელეფონი რომელია, თათეს ახლა კარგი ოროთახიანი ბინა აქვს, თავისი ავეჯითა და სხვა დანარჩენი იმეობით გაწყობილი... თუ არ შეეხმიანე, თვითონ არ დაგირეკავს.

— ვისთან ცხოვრობს?

— ჰენრიეტასთან... მოაწერეს ხელი დიდი ხანია.

თათეს ტელეფონის ნომერი ჩაიწი-

რე და უაზრო ლაყბობის შემდეგ უკრმილი რომ დავკიდე, თადეოზის ბრის სურვილმა გამიარა. მხოლოდ ვინც ველარ მოვითმინე და დავურეკე.

— გისმენო! — დიხად მიპასუხა თათემ.

— როგორ ბრძანდებით, ბატონო თადეოზ?

— ვანო, შენა ხარ?!.. ძმავ, სადა ხარ, სად დაიკარგე? — გამოცოცხლდა.

— ვაარ, რა ვიცი... შენ როგორ შეეთვისე ახალ ოჯახს, ახალ მეუღლეს? — ვიკითხე და რა ჩემი საქმეა-მეთქი, გავიფიქრე.

— აა, არა უშავს!

— ჩაეწერე?

— კი, დიდი ხანია.

— მუშაობ?

— სამუშაო სად გამეძებევა, მგელი ხომ არაა?

— დე, ტრაქტორმა იმუშაოს, არა?

— ჰო, ეგრე ჯობია... ჭერჭერობით მაინც.

— შენზე ერთ კაცს ვესაუბრე. — ცოტა ყოყმანით ვუთხარი. — ჩაეწერდა და სამსახურსაც დაგაწყებინებდა...

— რამდენს თხოულობს?

— რას? — უცებ ვერ მივხვდი რას მეკითხებოდა. — არაფერს, შე კაცო, როგორ გეკადრება! — წყენით წამოვიძახე.

— იცი, რა გითხრა, ეგ მე უკვე აღარ მჭირდება, მაგრამ არის ერთი კაცი, რომელსაც...

— არა, არა! ეგ არ გამოვია! — ვაწყვეტიანი.

შემცხარით დადუმდა.

— ნუ დამივიწყებთ, დამირეკეთ ხოლმე. — ჩაიღუდუნა.

სალამოს ისევ დათოს დავურეკე.

— მე ვარ! — წინაწინვე გავაფრთხილე.

— ვიცი, მივხვდი! — გაეცინა. — თათეს ელაპარაკე, ხომ?

— ველაპარაკე.

— ეგეც ვიცი, დამირეკა... ახლა მგო-

ნი შეყვარებულიცაა იმ გუგულოვნაზე, არა?

— ბორიასთან სვამდი? — საუბრის თემა შეცვალა.

